საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (273)
22 - 28 ოქტომბერი, 2014


# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**არამკითხე პროკურორი და ეშმაკის ადვოკატი** 6

**ჯო ბაიდენის შვილი ნარკომანობისთვის სამხედრო-საზღვაო ძალებიდან გააგდეს** 3

**88 წლის მარტოხელა აკადემიკოსი ხელისუფლებამ შიმშილისთვის გაწირა** 7

**«უკრაინაში ძალიან დიდი წნეხის ქვეშაა მართლ-მადიდებლური ეკლესია»** 15

**დამოუკიდებელ გამოცემებს აშშ-ის სპეც-სამსახურები «გუგლის» მეშვეობით ბლოკავენ** 19

**ლეონ პანეტა და ჰილარი კლინტონი ობამას წინააღმდეგ** 26

«ამერიკელებს უკვე შერჩეული ჰყავდათ «სათავისო» ხალხი. დათო უსუფაშვილი, სულ პატარა ბიჭი, შევარდნაძის კანტორაში «დათუნთულებდა» და სწორედ ის წაიყვანეს ამერიკაში და «დაატრენინგეს»...



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## რუსეთმა ქართველების მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოიცვალა 8

გენერალი უესლი კლარკი:

## უკრაინა, როგორც ნატოს წევრი, არ გვჭირდება! 3



## «თუ გვინდა ღვთის უარყოფა და უფლის გმობა, — ევროინტეგრაცია ამას გარდაუვალს გახდის» 10

## კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი 12





«საქართველოს ხელისუფლებას ჰყოფნის უგუნურება, «დააპატიჟოს» ამერიკული რაკეტები, რაც წარმოუდგენელი დანაშაულია ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე»

ვალერი კვარაცხელია:

## ეს ძალა შესაცვლელია და ქართველი ხალხიც გრძნობს, რომ რუსეთთან ამდენი ბრძოლა დამღუპველია! 9

## ნალკაში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს! 11

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილისთვის შეფარდებული სასჯელი ძალაში დატოვა



**სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვანო მერაბიშვილისთვის გამოტანილი 5-წლიანი პატიმრობის გარდა, ასევე, ძალაში დარჩა ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილისთვის დაკისრებული 50-ათასიანი ჯარიმა.**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავდა მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის საქმეს, რომელიც კვარიათის აგარაკის საკითხსა და დასაქმების პროგრამაში აღმოჩენილ დარღვევებთან არის დაკავშირებული.



## თბილისელები კომუნალურ ვაუჩერებს ნოემბრიდან მიიღებენ

**თბილისის მერიის სოციალური განყოფილების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თბილისელთათვის კომუნალური ვაუჩერების გაცემა ნოემბერში დაიწყება. ვაუჩერების თანხა 100 ლარით განისაზღვრა, რომელიც ხუთ თვეზე გადანაწილდება.**

ვაუჩერით გათვალისწინებულია ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და წყლის გადასახადის დაფარვა თვეში 20 ლარის ოდენობით.



## კრემლი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ სიგნალს საქართველოსგან ელოდება

**რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი პესკოვმა ტელეკომპანია „იმედს“ განუცხადა, რომ კრემლი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ სიგნალს საქართველოსგან ელოდება.** „ვითარება უნდა მომწიფდეს, გაჩნდეს პოლიტიკური ნება და შესაბამისი გარემო შეიქმნას. მეტი მოთმინება გვმართებს. ჩვენ ველოდებით კონკრეტულ სიგნალს თბილისისგან. თქვენი მხრიდან უნდა იყოს შესაბამისი პოლიტიკური ნება. პრეზიდენტმა კი თავისი სათქმელი უკვე თქვა. პუტინმა გასაგებად განაცხადა, რომ, თუ საქართველოს მხრიდან მიიღებს სიგნალს, შეხვედრა შედგება“, — აღნიშნა პესკოვმა.





## ირაკლი ღარიბაშვილი: 2 წელიწადში საქართველოსნაირ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ფეხზე ვერ დადგება

**„ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ, განაცხადონ, რომ საქართველოში 2 მილიონ ღარიბ ადამიანს ხელისუფლებამ 2 წელიწადში ვერ უშველა“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტის „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას.**

„საქართველოში 2 მილიონი ადამიანი, ანუ თითქმის ყოველი მეორე ღარიბია. დღეს კი გამოდიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვებიც, რომელთაც უფლება არ აქვთ, განაცხადონ, რომ ამ 2 მილიონ ღარიბ ადამიანს რატომ ვერ უშველა სახელმწიფომ 2 წელიწადშიო“, — განაცხადა პრემიერმა. მთავრობის მეთაურის თქმით, გამორიცხულია, რომ 2 წელიწადში საქართველოსნაირი მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ფეხზე დადგეს.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს გამორიცხულია, მაგრამ გამორიცხული არ არის ის გეგმები, რომლებზეც ხელისუფლებამ დაიწყო მუშაობა.

„შეუძლებელი არ არის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ანუ ეს არის ის, რომ სოფლის მეურნეობა ფეხზე უნდა დავაყენოთ და გავაძლიეროთ სოფელი“, — განაცხადა პრემიერმა.

## წმინდა ბარბარეს ეკლესიის გაქურდვის ბრალდებით 17 და 15 წლის ახალგაზრდები დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის ჯგუფურად გაქურდვის ბრალდებით, დააკავეს წარსულში ქურდობაზე ნასამართლევი, 1999 წელს დაბადებული დავით ლ. და 1997 წელს დაბადებული გიორგი ე.** დაკავებულებმა 14 ოქტომბერს, ღამის საათებში, თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის კარის შემტვრების მემდეგ შესაწირის ყუთი გატეხეს და ფული მიითვისეს. გაიტაცეს ჯვრები, ხატები და სხვადასხვა საეკლესიო ნივთი.

სამართალმდაცველებმა დავით ლ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას პატარა ხატები, გიშრით გაწყობილი ოქროს ჯვარი, ფსალმუნები, ორი კრიალოსანი, ძეწკვები და ბეჭედი, ხოლო გიორგი ე.-ს ბინის ჩხრეკისას საეკლესიო სამაჯური და ასევე ბეჭდები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.





## ლადო პაპავა პარლამენტისგან პოლიტიკურ მხარდაჭერას ითხოვს

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლადო პაპავა ე. წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობის საკითხზე პარლამენტისგან პოლიტიკურ მხარდაჭერას ითხოვს.**

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ლადო პაპავას პოლიტიკური მხარდაჭერა სჭირდება, ამავე ტერიტორიაზე სასაფლაოს გაფართოების პრობლემაა. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ტერიტორია, რომელზეც გაზგასამართი სადგური კეთდება თსუ-ს არ ეკუთვნის და მასთან სამართლებრივად ვერ იდავებს.

ლადო პაპავას თქმით, აღმაშფოთებელია უნივერსიტეტის გვერდით გაზგასამართი სადგურის ან სასაფლაოს არსებობა.

**„ითქვა, თითქოს ლადო პაპავამ კერძო ბიზნესს დაუწყო ბრძოლა. როგორც ეკონომისტი, სწორედ ბიზნესის განვითარებისკენ ვარ მოწოდებული, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის ხარჯზე, მით უფრო, როდესაც საუბარია ისეთ ბიზნესზე, რომელიც უნივერსიტეტისთვის არის შეუფერებელი. ქალაქს სჭირდება გაზგასამართი სადგურიც, სასაფლაოც, სახინკლეც, მაგრამ არა უნივერსიტეტის გვერდით“,** — განაცხადა ლადო პაპაჩვამ კომიტეტის სხდომაზე.

რექტორის თქმით, მასთან შეხვედრის სურვილი აქვს როგორც გაზგასამართი სადგურის, ასევე სასაფლაოს წარმომადგენლებს, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათთან ამ თემაზე გარიგებას არ აპირებს.




## ქართულმა მხარემ გაასაჩივრა საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილება დათა ახალაიას ექსტრადირებაზე

**პროკურორ ირაკლი ნადარეიშვილის განმარტებით, საბერძნეთის სასამართლო არა კონკრეტული პირის ბრალს, არამედ პიროვნების გადაცემის მიზანშეწონილობას განიხილავს.**

„ინფორმაცია, თითქოს დათა ახალაია გამართლებული იქნა ჩადენილ დანაშაულებში საბერძნეთის სასამართლოს მიერ, არის მცდარი. საზოგადოებას ვაუწყებ, რომ საბერძნეთის სასამართლო კონკრეტული პირის დანაშაულში ბრალეულობის საკითხს არ განიხილავს. ის იხილავს მხარისთვის პიროვნების გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხს. ის, რომ დათა ახალაიას ექსტრადირებაზე საქართველოს უარი ეთქვა, უკვე გასაჩივრებულია საბერძნეთის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და ველოდებით საბოლოო შედეგს მის ექსტრადიციასთან დაკავშირებით“, — განაცხადა „მოამბის“ ეთერში პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საბერძნეთის სასამართლომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ექსტრადირებაზე საქართველოს პროკურატურას უარი განუცხადა.





## ობამას სიტყვით გამოსვლისას ამერიკელებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს

**აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოულოდნელად მივიდა მერილენდის შტატის გუბერნატორობის კანდიდატის — ენტონი ბრაუნის მხარდამჭერ მიტინგზე, მაგრამ პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას პროტესტის ნიშნად დარბაზი ბევრმა ადამიანმა დატოვა, — იუწყება სააგენტო „როიტერი“.** — „თქვენ ხმა უნდა მისცეთ!“ „მომავალი ჩვენია!“ — რამდენჯერმე გაიმეორა ობამამ სიტყვით გამოსვლისას, მაგრამ ხალხმა დარბაზი მაინც დატოვა, ზოგიერთი კი პრეზიდენტისთვის კითხვების დასმას შეეცადა. როგორც „როიტერი“ იუწყება, გუბერნატორობის კანდიდატ ენტონი ბრაუნს ობამას მხარდაჭერა სრულიადაც არ სჭირდებოდა, რადგან ის დიდი უპირატესობით ლიდერობს. როგორც ჩანს, საქმე თვითონ პრეზიდენტის პოპულარობის დაცემაშია.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გენერალი უესლი კლარკი: უკრაინა, როგორც ნატოს წევრი, არ გვჭირდება!

**ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების ყოფილმა სარდალმა (1997-2000) ამერიკელმა გენერალმა უესლი კლარკმა განაცხადა, რომ არ ღირს უკრაინის შეყვანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.**



ნატოში უკრაინის მიღების მიზანშეუწონლობაზე ამერიკელმა გენერალმა ატლანტიკურ საბჭოში (აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი ანალიტიკური ცენტრი) გამართული დისკუსიისას განაცხადა.

**„უკრაინა, როგორც ნატოს წევრი, არ გვჭირდება. ეს განსაკუთრებული ქვეყანაა. როდესაც ალიანსის გაფართოებაზე ვსაუბრობდით, არ გვქონდა მასში უკრაინის შეყვანის გეგმა“,** — თქვა უესლი კლარკმა, რომელიც ერთადერთი არ არის, ვინც ეწინააღმდეგება სამხედრო ბლოკში ახალი წევრის მიღებას. უფრო ადრე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულადნმა აღნიშნა, რომ „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოები უახლოეს ხანში არ დათანხმდებიან მათ რიგებში უკრაინის მიღებას. რაც შეეხება უკრაინისა და აშშ-ის ურთიერთმოქმედებას ნატოსგან დამოუკიდებლად, ის უკვე იღებს ყველა სარგებელს ამ თანამშრომლობისგან“. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კი უარი განაცხადა უკრაინის პრეზიდენტისთვის, „ნატოსგან დამოუკიდებლად, აშშ-ის ძირითადი მოკავშირის სტატუსის“ მინიჭებაზე.

**«უკრაინა, როგორც ნატოს წევრი, არ გვჭირდება. ეს განსაკუთრებული ქვეყანაა. როდესაც ალიანსის გაფართოებაზე ვსაუბრობდით, ჩვენ არ გვქონდა მასში უკრაინის შეყვანის გეგმა»**



## ისტორია მეორდება — უკრაინის ხელისუფლება, სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად, ფრონტზე დამარცხების კომპენსირებას ფილმის გადაღებით ცდილობს

**უკრაინის ხელისუფლებას დონბასში გამართულ ბრძოლებზე ფილმის გადასაღებად ამერიკელი რეჟისორების მიწვევა სურს.**

უკრაინის თავდაცვის სამინისტრო დეკემბრამდე დაასრულებს მოლაპარაკებებს ამერიკელ რეჟისორებთან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჩატარებული სამხედრო მოქმედების შესახებ, — წერს „უკრაინსკიე ნოვოსტი“.

„მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის კომპანიების რეჟისორებმა ნახეს ამერიკელი რეჟისორის — მარკ რეიმონდის მიერ გადაღებული სარეკლამო რგოლი უკრაინის არმიაზე, განიხილება საკითხი უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში მიმდინარე ომზე სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღების თაობაზე. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები და, თუ შესაბამისი თანხა გვექნება, რაღაც ახალს ვიხილავთ უკრაინისთვის“, — განაცხადა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ალექსანდრე დანილუკმა.

**P.S. ისტორია მეორდება: სწორედ ასე მოიქცა 2008 წლის აგვისტოს ომში დამარცხებული სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც ჯერ შეეცადა, ომში დამარცხება გამარჯვებად გაესაღებინა და რუსთაველზე ტაშ-ფანდური გამართა იმ დროს, როცა ქართველი ბიჭების ცხედრები უპატრონოდ ეყარა სამაჩაბლოში, შემდეგ კი ამერიკელ რეჟისორს (წარმოშობით ფინელს) — რენი ჰარლინს შეუკვეთა ფილმი „აგვისტოს 5 დღე“ (ენდი გარსიას მონაწილეობით), რომლის გადაღება და პრეზენტაცია 10 მილიონზე მეტი დაჯდა.**

**ანალოგიური რამ ხდება უკრაინაშიც — ამ ქვეყნის ხელისუფლება ფრონტზე დამარცხების კომპენსირებას კინოფილმის გადაღებით ცდილობს.**

**ისე, საინტერესოა, რა უნდა გადაიღონ ამერიკელებმა — როგორ დაკარგეს უკრაინელებმა ყირიმი და ქვეყნის აღმოსავლეთის ტერიტორიები, როგორ გამოწვეს ოდესის პროფკავშირების სახლში ათეულობით ადამიანი და როგორ აქციეს ლტოლვილებად საკუთარ ქვეყანაში ასიათასობით კაცი?**






## დონალდ ტრამპი: ობამა ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის!

**ამერიკელმა მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ეჭვი შეიტანა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ფსიქიკურ ჯანმრთელობაში. ბიზნესმენმა სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მწვავედ გააკრიტიკა ბარაკ ობამას გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ებოლას ვირუსის გავრცელების ზონიდან წამოსულ პირებს არ ეკრძალებათ აშშ-ის ტერიტორიაზე შესვლა.**

„ვფიქრობ, პრეზიდენტი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არის, რატომ არ აკრძალა ფრენები? უგუნურია!“ — დაწერა ტრამპმა თავის მიკრობლოგში.

ტრამპმა ობამას კრიტიკა ტელეეთერშიც განაგრძო; „სტივ მალცბერგის შოუში“ მილიარდერმა განაცხადა:

**„ის ან არაკომპეტენტური და ჯიუტია, ან ფსიქიკურად ავად არის...** ადმინისტრირების სფეროში ჩემი გამოცდილება მეხმარება, მოვისმინო და გავითვალისწინო ადამიანების თვალსაზრისი, მათიც კი, ვინც საწინააღმდეგო პოზიციაზეა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ შემიძლია, პრეზიდენტს გავუგო“.



## ჯო ბაიდენის შვილი ნარკომანობისთვის სამხედრო-საზღვაო ძალებიდან გააგდეს

**44 წლის ჰანტერ ბაიდენი, განათლებით იურისტი, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვში 2013 წლის 7 მაისს ჩაირიცხა. ის იყო ნორფოლკში სამხედრო-საზღვაო ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვედანაყოფის წევრი, მაგრამ ნარკოტიკების მოხმარების გამოსავლენმა სტანდარტულმა ტესტმა აჩვენა, რომ უმცროსი ბაიდენი კოკაინს იყენებდა.**

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვაჟმა, რობერტ ჰანტერმა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც უკრაინის გაზმომპოვებელი კომპანიის — Bursima Holdings-ის დირექტორთა საბჭოს წევრია, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვში ერთ წელსაც ვერ გაძლო — როგორც გაირკვა, აშშ-ის მეორე პირის შთამომავალი, სამხედრო სამსახურში სამშობლოს დასაცავად მომზადების ნაცვლად, ნარკოტიკს ეძალებოდა.

**„აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის შვილი რობერტ ჰანტერ ბაიდენი რამდენიმე თვის წინათ გააძევეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებიდან, მას შემდეგ, რაც ანალიზებმა აჩვენა, რომ ის კოკაინს იყენებდა. 44 წლის ჰანტერ ბაიდენის კარიერამ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში წელიწადზე ნაკლებ ხანს გასტანა“,** — წერს ამერიკული გაზეთი The Wall Street Jornal-ი.

გამოცემა იუწყება, რომ 44 წლის ჰანტერ ბაიდენი, განათლებით იურისტი, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვში 2013 წლის 7 მაისს ჩაირიცხა. ის იყო ნორფოლკში სამხედრო-საზღვაო ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვედანაყოფის წევრი, მაგრამ ნარკოტიკების მოხმარების გამოსავლენმა სტანდარტულმა ტესტმა აჩვენა, რომ უმცროსი ბაიდენი კოკაინს იყენებდა.

ჰანტერ-ბაიდენის სამხედრო კარიერა მიმდინარე წლის თებერვალში კრახით დასრულდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, უკრაინაში მომგებიან ბიზნესში ჩართულიყო. ბაიდენის ოჯახი დაკავშირებულია უკრაინის ეკონომიკასთან, კერძოდ, ბუნებრივი აირის მომპოვებელ დარგთან — რობერტ ჰანტერ ბაიდენი 2014 წლის 12 მაისიდან უკრაინის უდიდესი გაზმომპოვებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრია.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მუდმივმა მცდელობებმა მოიტანეს ის, რომ ნებისმიერი კრიზისის შემთხვევაში მთავრობის რეაქცია რეალურად შემოიფარგლება მხოლოდ დასავლელი პარტნიორების ინფორმირებით და მოწოდებით, დახმარება აღმოგვიჩინონ.**

# აფხაზური გამბიტი

**გასული კვირის მთავარ თემად იქცა შეთანხმება „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“, რომელსაც მოსკოვმა და სოხუმმა ხელი ახლო მომავალში უნდა მოაწერონ. ამ დოკუმენტის პროექტმა როგორც თბილისში, ისე სოხუმში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ შეთანხმების უკან, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც მალე აფხაზეთში მოხდება, სავარაუდოდ, დგას არაერთი სერიოზული მესიჯი, რომელსაც კრემლი საქართველოს და მის დასავლელ პარტნიორებს უგზავნის. როგორც ჩანს, მოსკოვში მიიჩნევენ, რომ ბუნდოვანების და ორმაგი თამაშის დრო სამხრეთ კავკასიაში უნდა დასრულდეს.**



## ცივი ომის ცხელი წერტილი

ერთ-ერთი მთავარი შეცდომა, რომელსაც ქართველი ექსპერტების ნაწილი ამ შეთანხმებაზე საუბრისას უშვებს, ალბათ, ისაა, რომ ისინი განიხილავენ მას, მხოლოდ როგორც გზავნილს დანარჩენი მსოფლიოსთვის. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსები აფხაზეთში ყველაფერს ისედაც აკონტროლებენ და დამატებითი ხელშეკრულება არაფერში სჭირდებათ. მაგრამ, **მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დომინირება აფხაზეთში ამ ეტაპზე ეჭვს არ იწვევს, ალბათ, არასწორი იქნებოდა, მისთვის აბსოლუტური გვეწოდებინა.** თუ ჩვენ შევეცდებოდით, კონტროლის ხარისხი პროცენტებში გამოგვესახა (რაც თავისთავად არასწორია), საუბარი, ალბათ, არა 100%-იან, არამედ 85-90%-იან კონტროლზე მოგვიწევდა. ადგილობრივ ხელისუფლებას მთელი ამ წლების განმავლობაში რჩებოდა გარკვეული სივრცე მანევრისთვის და გაუგებრობა სოხუმსა და მოსკოვს შორის არერთგზის მომხდარა, მაგალითად, რუსეთის მოქალაქეების მიერ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის პრობლემასთან დაკავშირებით, სასაზღვრო-საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებით და ა. შ. ამასთანავე, მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც ხელსაყრელ პირობებში არ შეეცდება, არაფორმალური კონტროლი ფორმალური შეთანხმებების ჩარჩოებში არ მოაქციოს და რუსეთი ამ მხრივ გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენს.

კონტროლის გაძლიერებას შეიძლება სხვა რაკურსითაც შევხედოთ. დაიწყო ახალი ცივი ომი, რომლის „წინა ხაზად“ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე გადაიქცა. აქედან გამომდინარე, როგორც რუსეთი, ისე აშშ ცდილობენ, მათ მიერ დაკავებულ პლაცდარმებზე მოწინააღმდეგის მოქმედება მნიშვნელოვნად შეზღუდონ, იდეალურ შემთხვევაში კი საერთოდ გამორიცხონ. თუ ადრე წამყვან დასავლურ ქვეყნებსა და თურქეთს შეეძლოთ, სერიოზულად ეფიქრათ დამოუკიდებელ, რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო თამაშზე აფხაზეთში და ადგილობრივი ელიტის უკმაყოფილო ჯგუფების დამუშავებაზე, ახლო მომავალში ეს შესაძლებლობა, სავარაუდოდ, მკვეთრად შეიზღუდება. მითუმეტეს რომ ხელშეკრულების პროექტი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ძალოვნებზე მოსკოვის კონტროლის მკვეთრ გამკაცრებას ითვალისწინებს. ზოგადად კი, ცივი ომისთვის და მსგავსი დაპირისპირებებისთვის ყოველთვის დამახასიათებელია კონკურენტი ზესახელმწიფოების პოზიციების სწრაფი გაძლიერება მათი გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში (თუ კვაზისახელმწიფოებში). მარტივად რომ ვთქვათ, ომი ომია და მისი ლოგიკა გამორიცხავს „კონდომინიუმის ზონებს“, „გადატვირთვის ნაკრძალებს“ და ა. შ.

შესაძლოა, სწორედ აქ ჩვენ ვუახლოვდებით განხილული პრობლემის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს. თუ კრემლის მოქმედებას მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში განვიხილავთ, როგორც ამას ბევრი ქართველი კომენტატორი აკეთებს, ის ფრიად არალოგიკურად მოგვეჩვენება, რადგან მან შეიძლება „რუსულ-ქართული გადატვირთვის“ სწრაფი ტორპედირება მოახდინოს, შესაბამისად, ხელი შეუშალოს კრემლს, „რბილი ძალის“ გამოყენებით დაიბრუნოს საქართველოში ის პოზიციები, რომლებიც ბოლო ათწლეულში დაკარგა, შემდგომ კი მათზე დაყრდნობით შეეცადოს, განდევნოს ამერიკელები როგორც ჩვენი ქვეყნიდან, ისე სამხრეთ კავკასიიდან. მაგრამ, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ეპიზოდის უკან ზემოთ ნახსენები ცივი ომის ლოგიკაც დგას, რომელიც პლაცდარმების გამაგრებას და მოწინააღმდეგისთვის ძლიერი საპასუხო დარტყმების მიყენებას მოითხოვს. ამ კონფრონტაციული მოდელის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება (და თანმდევი მოძრაობები ნატო-ს მიმართულებით) კრემლმა აღიქვა, როგორც დარტყმა და გარღვევა მისი გავლენის სფეროში და მას რუსეთ-აფხაზეთის ასოცირების შეთანხმებით უპასუხა. თუ ჩვენ გავიხსენებთ, რით უპასუხა მან უკრაინა-ევროკავშირის შეთანხმებას და მაიდანს კიევში, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამ ეტაპზე შედარებით ნაკლებად დავზარალდით, თუმცა შექმნილი დრამატული სიტუაციის გაუბრალოება ნამდვილად არ შეიძლება.

**რა ქმედით რეაქციას შეიძლება ველოდოთ დასავლეთისგან აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით? რა შეუძლიათ რეალურად? ვინ და რატომ ეწინააღმდეგება რუსეთის ხელმძღვანელობასთან პირდაპირი დიალოგის გამართვას ასეთ მძიმე სიტუაციაში?**

**რუსულ-აფხაზური შეთანხმების პროექტის გამოქვეყნების ფონზე არაერთ პოლიტიკოსს თუ საზოგადოების წარმომადგენელს გაუჩნდა ცდუნება, მწვავედ გააკრიტიკოს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელსაც ივანიშვილის ხელისუფლება ბოლო ორი წლის განმავლობაში ატარებს.** საფუძველი ამისთვის, ალბათ, მაინც არ არსებობს, ეს პოლიტიკა სავსებით ადეკვატური იყო იმ სიტუაციაში, როდესაც ორი ქვეყნის ურთიერთობა მკვეთრად კონფრონტაციული, ხოლო ახალი ომის დაწყების საფრთხე სავსებით რეალური გახლდათ. მაშინ, როდესაც საჭირო იყო სწრაფი განმუხტვა და მთელი რიგი მწვავე პრობლემის გადაწყვეტა, ადგილობრივი კომენტატორები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ახალი მთავრობის მიერ დეკლარირებული ორი სტრატეგიული მიდგომა ერთმანეთს აშკარად ეწინააღმდეგება: ა) საქართველოს სასწრაფო ინტეგრაცია ნატო-ში და ბ) დაახლოება რუსეთთან და მისი დარწმუნება იმაში, რომ საქართველოს მთლიანობის აღდგენა მის ინტერესებშია. მითუმეტეს რომ, „რუსულ-ამერიკული გადატვირთვის“ დასკვნით ეტაპზე გარკვეული დოზის ალოგიკურობა, დეკლარაციების ბუნდოვანება და, მარტივად რომ ვთქვათ, „ორ სკამზე ჯდომა“ საქართველოსნაირი სუსტი ქვეყნებისთვის გარკვეული დოზით დასაშვები იყო. მაგრამ ეს რესურსი ამოიწურა, მსოფლიო შეიცვალა, ხოლო დრო, როდესაც ასეთი პოლიტიკის გატარება შეიძლებოდა, დასრულდა. **იმთავითვე ცხადი გახდა, რომ „ორმაგი თამაში“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა და საქართველოს ახალი ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, პრინციპული არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე დადგებოდა.**

## შიშსა და უპასუხისმგებლობას შორის

მათ, ვინც ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას, შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მთავრობა მოწადინებულია, ეს უსიამოვნო ეპიზოდი როგორმე „გადააგოროს“ და მისი მკვეთრი განცხადებების უკან ცუდად შენიღბული ქვეტექსტი ამოიკითხოს: „ეს შეთანხმება აფხაზეთში არსებითად არაფერს ცვლის, არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ამიტომ ისევ ძველ პოლიტიკას გავაგრძელებთ“. ასეთი მიდგომა ბევრ სხვა სფეროშიც ფიქსირდება — ხელისუფლებას ეშინია, მოიფიქროს რაიმე ახალი, მოახდინოს საკუთარი მიდგომის კორექტირება, რათა მდგომარეობა არ გააუარესოს და რეიტინგი არ დაკარგოს. არსებითად, ქცევის ეს მოდელი პრობლემებისგან გაქცევის, მმართველი ელიტის პოლიტიკური და ინტელექტუალური გაზარმაცების გარდა, ვერაფერს მოიტანს. ამასობაში კი აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სულ უფრო მეტად გვშორდება, ხოლო კრემლი ძალიან მკაფიოდ აფიქსირებს, რომ უარს არ იტყვის საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებაზე, მანამ სანამ ოფიციალური თბილისი ნატო-ზე ფიქრს თავს არ დაანებებს, თანაც ერთხელ და სამუდამოდ.

პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მუდმივმა მცდელობებმა მოიტანა ის, რომ ნებისმიერი კრიზისის შემთხვევაში მთავრობის რეაქცია რეალურად შემოიფარგლება მხოლოდ დასავლელი პარტნიორების ინფორმირებით და მოწოდებით, დახმარება აღმოგვიჩინონ. მაგრამ რის გაკეთება შეუძლიათ მათ (თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს გასაჭირით თავს დიდად შეიწუხებენ, რაც, როგორც წესი, არ ხდება)? დღეს ისინი, ფაქტობრივად, შეგუებულები არიან ყირიმის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში და უკრაინის აღმოსავლეთში „დიდი დნესტრისპირეთის” ჩამოყალიბებას, **რა ქმედით რეაქციას შეიძლება ველოდოთ დასავლეთისგან აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით? რა შეუძლიათ რეალურად? ვინ და რატომ ეწინააღმდეგება რუსეთის ხელმძღვანელობასთან პირდაპირი დიალოგის გამართვას ასეთ მძიმე სიტუაციაში?**

ზურაბ აბაშიძემ ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან სერიოზული სამუშაო შეასრულა, მაგრამ მისი თანამოსაუბრე მოლაპარაკებებზე გრიგორი კარასინი რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფორმირებას არ ახდენს, დიდი გამოცდილების მიუხედავად, ის, უბრალოდ, მაღალი რანგის შემსრულებელია. არავინ უშლის ხელს ირაკლი ღარიბაშვილს (ან, უკიდურეს შემთხვევაში, გიორგი მარგველაშვილს), ვლადიმერ პუტინს შეხვედრა შესთავაზოს (რუსული მხარე ამას, სავარაუდოდ, დათანხმდება), შეხვდეს მას ▶

---

მსოფლიო

## გაეროს უშიშროების საბჭოს 5 ახალი დროებითი წევრი

**გაეროს გენერალურ ასამბლეაში გამართული ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით გაეროს უშიშროების საბჭოს დროებით წევრად 5 ქვეყანა აირჩიეს: ანგოლა, ვენესუელა, მალაიზია, ახალი ზელანდია და ესპანეთი.**

უშიშროების საბჭოს ახალი წევრები შეცვლიან ავსტრალიას, არგენტინას, ლუქსემბურგს, კორეის რესპუბლიკასა და რუანდას, რომლებიც 2 წლის წინათ აირჩიეს. უშიშროების საბჭოში 2015 წლის ბოლომდე დარჩებიან იორდანია, ლიტვა, ნიგერია, ჩადი და ჩილე. უშიშროების საბჭო გაეროს ძირითადი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

გაეროს უშიშროების საბჭო შედგება 15 წევრისგან. მათ შორის 5 მუდმივი წევრია — **დიდი ბრიტანეთი, აშშ, ჩინეთი, რუსეთი და საფრანგეთი**, დანარჩენი 10 კი ყოველწლიურად იცვლება სანახევროდ. გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები სავალდებულოა ამ ორგანიზაციის ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის, მათმა შეუსრულებლობამ კი შესაძლოა, სანქციები და სამხედრო ძალის გამოყენება გამოიწვიოს. რეზოლუციის მისაღებად საჭიროა 15 წევრთაგან უმრავლესობის მხარდაჭერა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მუდმივი წევრი ვეტოს უფლებას არ გამოიყენებს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდესაც დაინახა, რომ ალასანიას გაჩერებას არავინ აპირებს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განხილულ თემებზე ზედიზედ ორი ნეგატიური შინაარსის განცხადება გააკეთა, შემდეგ კი დაიწყო რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების ღია, ხმაურიანი, ლამის დემონსტრაციული განხილვა.

◀ და შეეცადოს, დაარწმუნოს ის საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკის შერბილების აუცილებლობაში. ან, როგორც მინიმუმი, გაიგოს რუსეთის პირველი პირისგან რა უნდა მას ოფიციალური თბილისისგან და როგორ ხედავს ორი ქვეყნის ურთიეთობების მომავალს. საქართველოს ისტორიაში არსებობს არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც ქვეყნის მმართველი მსგავს მისიას საკუთარ თავზე იღებდა და იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ის წარუმატებელი გახლდათ, მას შეეძლო სრული პასუხისმგებლობით ეთქვა: „მე გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო". მაგრამ ჩვენი ხელისუფლების პირველ პირებს, როგორც ჩანს, ეშინიათ ასეთი დიალოგის, რადგან მან შეიძლება სტრატეგიული არჩევანის გაკეთების აუცილებლობის, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დააყენოთ და ისევ დროის გაწელვას ამჯობინებენ. იგივე ეხება ურთიერთობას სეპარატისტული რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან და საზოგადოებასთან — ჩავიდნენ სოხუმსა და ცხინვალში, დაელაპარაკონ, მოუსმინონ და იქნებ შეხების თუნდაც რამდენიმე წერტილი გამონახონ. მაგრამ არა, სხედან თბილისში და ჩხუბობენ იმაზე თუ ვინ წავა ნიუ-ორკში გაეროს სამიტზე, რომელიც კლიმატის ცვლილებებს მიეძღვნა — აბსურდის თეატრია თუ შიზარიუმი?

დღეს კომენტატორები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მოსკოვი ახალი ხელშეკრულებით, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ისედაც წარმოსახვითი სუვერენიტეტის მნიშვნელოვან ნაწილს ართმევს. **ურიგო არ იქნებოდა, ყურადღება იმისთვისაც მიგვექცია, რომ საქართველოს ხელისუფლება თვითონ, საკუთარი სურვილით, რამდენიმე სერიოზული ზეწოლის გარეშე, თმობს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, დამოუკიდებელი (ან თუნდაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი) საგარეო პოლიტიკის გატარებაზე, ფაქტობრივად, უარს ამბობს და რეალურად, დასავლელ პარტნიორებს სთხოვს, დიალოგი რუსეთთან ჩვენს ნაცვლად აწარმოონ.** ეს ერთგვარი პოლიტიკური ხარაკირია, საკუთარი ხელით ჩატარებული დესუვერენიზაცია, რომელის შემდეგ შეუძლებელია ვინმეს მოსთხოვო ქვეყნის ინტერესებს პატივი სცეს ან მის ღირსებას გაუფრთხილდეს.

## ურმის გადაბრუნების მოლოდინში

**ზოგიერთ მიმომხილველს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივა გამარტივებულ ფორმულამდე დაჰყავს: ან საქართველო უარს იტყვის ნატო-ზე და ფინური ტიპის ნეიტრალიტეტისკენ წავა ან კონფრონტაცია გაგრძელდება და კიდევ არაერთ უბედურებას მოგვიტანს. კრემლი კი, სავარუდოდ, შეეცდება, საბოლოო არჩევანისკენ რაც შეიძლება მალე გვიბიძგოს.** ამ მიდგომას ებმის ერთი ფართოდ გავრცელებული, არსებითად კონსპიროლოგიური თეორია იმის თაობაზე, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ, ამის გაკეთება რომც დააპიროს, ამერიკელები ამის შესაძლებლობას არ მისცემენ და შეიძლება მყისიერად „მაიდანი" მოუწყონ.** ამ თეორიის ფარგლებში ჩვენი პოლიტიკური ელიტა განიხილება როგორც ბანალური მძევალი. ყოველივე ეს მთლიანობაში ხელს უწყობს, ასე ვთქვათ „სტრატეგიული პესიმიზმის" თუ „გეოპოლიტიკური ფატალიზმის" გავრცელებას, რომლის ძირითადი იდეა დაახლოებით ასეთია: „ვერაფერს გავაკეთებთ, ჩვენზე დამოკიდებული არაფერია".

ავიღოთ მარტივი მაგალითი — ჩვენ გვყავს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, რომელმაც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში გააკეთა რამდენიმე სკანდალური, რუსეთთან კონფრონტაციაზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, რეალობასთან კავშირის არმქონე განცხადებები. მან ნატოს მოუწოდა, ალიანსის არაწევრ საქართველოში ბაზები (სხვა ვერსიით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტები) განელაგებინა, შემდეგ დაიწყო საუბარი ნატო-ს ბაზის გახსნაზე როგორც თითქმის შემდგარ ფაქტზე და ბოლოს (ამას არ ალიარებს, თუმცა კომენტატორების აბსოლუტური უმრავლესობა ამ განცხადებებს სწორედ ალასანიას უკავშირებს) ამერიკელებს საქართველოში სირიელი მეამბოხეების საწვრთნელი ბანაკის გახსნა შესთავაზა. ამავე დროს, ის საუბრობდა რუსეთზე, როგორც საფრთხეზე, რომელიც დასავლეთმა ერთობლივი ძალისხმევით უნდა გაანეიტრალოს. ბაზების თემაზე **ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური წარმომადგენლების თანმდევი კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უყურებდნენ ალასანიას როგორც რაღაც საშუალოს წარჩინებულ მოწაფესა და სახიფათო გიჟს შორის, რადგან ნატო საქართველოში ბაზების გახსნისთვის მზად არ არის და ხელშესახებ პერსპექტივაში არც იქნება.** შესაძლოა, მათ გულის სიღრმეში სიამოვნებდათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ასეთი პოზიცია, მაგრამ მსგავსი თამამი და არარეალისტური განცხადება შეიძლება გაკეთდეს ერთხელ, მაქსიმუმ ორჯერ, თანაც შესაბამისი შეფუთვით. ხოლო როდესაც ალასანიამ ის თავის ძირითად მესიჯად, ერთგვარ აკვიატებულ იდეად გახადა, ნატოელები ცოტა არ იყოს დაიძაბნენ და ნათლად დააფიქსირეს სურვილი ამ არასამეცნიერო ფანტასტიკას გაემიჯნონ (იხ. უილიამ ლაჰიუს ბოლო კომენტარი). დაიძაბა მოსკოვიც, რომელსაც მშვენივრად ახსოვს ირაკლი ოქრუაშვილის ომამდელი ეპოპეა და ვარიაციები ცხინვალის აღლუმის თუ ფეკალიების თემაზე. მან საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი განცხადებები უბრალოდ „გაატარა" და, შესაძლოა, საქართველოს ახალი ხელისუფლების „ორ სკამზე ჯდომის" პოლიტიკიდან გამომდინარე სიმბოლურ რევერანსად ჩათვალა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ალასანიას გაჩერებას არავინ აპირებს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განხილულ თემებზე ზედიზედ ორი ნეგატიური შინაარსის განცხადება გააკეთა, შემდეგ კი დაიწყო რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების ღია, ხმაურიანი, ლამის დემონსტრაციული განხილვა. ცხადია, პირადაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გავლება ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან რეგიონული პოლიტიკა ალასანიას გარშემო არ ტრიალებს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მისმა განცხადებებმა ვითარების დაძაბვაში სერიოზული როლი შეასრულეს. ან ვის სჭირდებოდა ეს განცხადებები, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა ან რატომ არ დაამუხრუჭებინეს მას ხელისუფლების პირველმა პირებმა? თუ ამის გაკეთებაც არ შეეძლოთ და მათზე მართლაც არაფერია დამოკიდებული?

შაბათს კი ირაკლი ალასანიამ სრულიად უპრეცედენტო განცხადება გააკეთა: „ჩვენ დავიწყებთ ძალიან აგრესიული საგარეოპოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას". უახლეს, ან თუნდაც ძველ ისტორიაში პრაქტიკულად შეუძლებელია ისეთი მაგალითის პოვნა, როდესაც პოლიტიკოსი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკას ახასიათებდა როგორც „აგრესიულს" — ეს აბსოლუტური ნონსენსია. ამ რეპლიკით, ალასანიამ, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ის ან თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლონ, ან (როგორც მინიმუმი) მასმედიასთან ურთიერთობა აუკრძალონ.

ჩვენ შეგვიძლია პრობლემის კიდევ ერთ ასპექტს შევეხოთ. რუსეთის (ისევე როგორც აშშ-ს და ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს) საგარეო პოლიტიკის ფორმირება, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ერთმანეთს სხვადასხვა სახელისუფლებო და ლობისტური ჯგუფები ებრძვიან, მათი დაპირისპირება ძირითადი და სათადარიგო სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე არცთუ უმნიშვნელო გავლენას ახდენს. მარგამ ამ ეტაპზე **საქართველოს ხელისუფლების ლობისტური ძალისხმევა მოსკოვში პრაქტიკულად ნულის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ რესურსები სერიოზული მუშაობისთვის ნამდვილად არსებობს და ამ ვითარების შეცვლის სურვილი ჯერჯერობით არ შეინიშნება.** მერე რატომღაც გვიკვირს, როდესაც რუსეთთან ურთიერთობაში მწვავე კრიზისი იწყება და მოვლენები საქართველოსთვის ყველაზე არასასურველი სცენარით ვითარდება.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ საქართველოს მთავრობა მართლაც მოკლებულია თამამი სტრატეგიული მანევრის შესაძლებლობას (ასე არ არის, მაგრამ მაინც), ეს არ ნიშნავს, რომ ტაქტიკურ მანევრებზე, ქვეყნის მდგომარეობის თუნდაც მცირე გაუმჯობესების გამუდმებულ მცდელობებზე უარი უნდა ვთქვათ. ამ მომენტისთვის, რუსეთის საპასუხო რეაქციამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების „ევროასოცირებაზე" საქართველოს შედარებით ნაკლები ზიანი (როგორც რეალური, ისე სიმბოლური) მიაყენა, ვიდრე უკრაინასა და მოლდოვას. ამმხრივ ქართულმა დიპლომატიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლებამ შეიძლება „გამოტოვოს" და არ გაითვალისწინოს არსებითი ცვლილებები ზოგად კონტექსტში, ის გამოწვევები, რომელსაც დღის წესრიგში „ახალი ცივი ომი" აყენებს. ზურაბ აბაშიძის და თედო ჯაფარიძის (ძალზე სამწუხაროა, რომ გასულ კვირას მათ შორის გაუგებრობა მოხდა; მარტივად რომ ვთქვათ, ახლა ამის დრო არ არის) ძალისხმევა და უფლებამოსილება ამ გამოწვევებთან გამკლავებისთვის საკმარისი არაა. მაია ფანჯიკიძე კი, ალბათ, არ არის მზად იმისთვის, რომ მოახლოებული (ფაქტობრივად, დაწყებული) კრიზისის პირობებში ადეკვატურად იმოქმედოს. ამიტომ სასურველია, ახალი, ბოლოდროინედელი ცვლილებების მიმართ ადაპტირებული პოლიტიკის შემუშავება ხელისუფლების პირველი პირების უშუალო მონაწილეობთ მოხდეს და მასში ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილიც ჩაერთოს. კარგი იქნება, თუ ეს უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ძველი საგარეო პოლიტიკის არაეფეტურობა ყველასათვის ცხადი გახდება და ის ქვეყნის ინტერესებისთვის გაცილებით მასშტაბური ზიანის მოტანას დაიწყებს.

**დიმიტრი მონიავა**



**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოფიციალური წარმომადგენლების თანმდევი კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი უყურებდნენ ალასანიას, როგორც რაღაც საშუალოს წარჩინებულ მოწაფესა და სახიფათო გიჟს შორის, რადგან ნატო საქართველოში ბაზების გახსნისთვის მზად არ არის და ხელშესახებ პერსპექტივაში არც იქნება**

**საქართველოს ხელისუფლების ლობისტური ძალისხმევა მოსკოვში პრაქტიკულად ნულის ტოლია, მიუხედავად იმისა, რომ რესურსები სერიოზული მუშაობისთვის ნამდვილად არსებობს და ამ ვითარების შეცვლის სურვილი ჯერჯერობით არ შეინიშნება**

---

მსოფლიო

## აშშ-ში მოსწავლეებს ჰომოსექსუალიზმის საფუძვლებს შეასწავლიან

**აშშ-ში სკანდალი მწიფდება. ჰავაის უნივერსიტეტთან არსებული ინვალიდობის პრობლემების შემსწავლალი ცენტრის თანამშრომლებმა, სექსუალური აღზრდის სპეციალურ პროგრამაში მონაწილეობისათვის სკოლის მოსწავლეებს უფასო სერტიფიკატები დაურიგეს. —იუწყება ტელეარხი Fox-News-ი.** ამერიკელი საზოგადოება აღშფოთებულია, რომ ამ სერტიფიკატებს (თითოეული ღირებულება 10-დან 20 დოლარამდეა) 11, 12 და 13 წლის მოსწავლეებს აძლევენ და ამისათვის არასრულწლოვანთა საკითხების სამმართველომ 5-მილიონიანი გრანტიდან 50 ათასზე დოლარზე მეტი დახარჯა.

მშობლების ყველაზე დიდ აღშფოთებას კი იწვევს ის, რასაც მათ შვილებს ზემოაღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულ ლექცია-სემინარებზე ასწავლიან. ზოგი მშობლის თქმით, სექსუალური აღზრდის ეს „სამეცნიერო" პროგრამა სინამდვილეში ბავშვებს უსაფრთხო გეი-კონტაქტებსა და ჰომოსექსუალიზმის საფუძვლებს ასწავლის. „ეს პროგრამა უკიდურესად საკამათო და უადგილოა. ის ჰომოსექსუალიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას უწყობს ხელს". — განაცხადა ამერიკის წარმომადგენლობითი პალატის დეპუტატმა ბობ მაკდერმოტმა, რომლის 12 წლის ვაჟიც ჰავაის მუნიციპალური სკოლის მოსწავლეა. მაკდერმოტი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას, რომლის მიზანიც აშშ-ში სასწავლო პროგრამის შეცვლაა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს ირაკლი ალასანიას თავი მოაქვს გამოჩენილ ექსპერტად კონტრდაზვერვის დარგში, კოალიციის ფორმირების პერიოდში „საკადრო ფილტრი" ყველაზე ცუდად მის პარტიაში მუშაობდა და ამ თემაზე, თავის დროზე, რამდენიმე განცხადება გაკეთდა.

# არამკითხე პროკურორი და ეშმაკის ადვოკატი

**ძებნილი სააკაშვილი ბოლო დროს აშკარად გამოცოცხლდა. საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე კომენტარს სულ უფრო ხშირად აკეთებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტ ღონისძიებას დაესწროს. მას, სავარაუდოდ, სურს, თავი მოქმედ, აქტიურ პოლიტიკოსად წარმოაჩინოს და, შესაბამისად, გაამყაროს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ახალი ხელისუფლება მას, როგორც პოლიტიკურ ოპონენტს და რეალურ კონკურენტს, დევნის. ამავე დროს, მთავრობის მოქმედება ყოფილ მაღალჩინოსნებთან დაკავშირებით სულ უფრო გაუგებარი და ძნელად გასაშიფრი ხდება.**



**პროკურატურის უთავბოლოობით, სამართლიანობის აღდგენის ფორმით და შინაარსით უკმაყოფილო ადამიანების ნაწილი უკვე დაუფარავად ოცნებობს ხისტ მეთოდებზე, «რკინის ხელზე» და, საბოლოო ჯამში, დიქტატორზე, რომელიც «ნაცმოძრაობის» პრობლემას დღის წესრიგიდან შემჭიდროებულ ვადებში მოხსნის**

გასულ კვირას საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მორიგი მარცხი განიცადა — საბერძნეთის სასამართლომ ქართულ მხარეს დათა ახალაიას ექსტრადირებაზე უარი უთხრა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის მისამართით კრიტიკა ამ დღეებში ხშირად გაისმის, მომხდარი, ალბათ, არა მხოლოდ მისი ბრალია. **ახალმა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" დამატებითი არგუმენტები და პოლიტიკურ დევნაზე საუბრის შესაძლებლობა მისცა.** მართალია, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მათ მოსაზრებებს არ იზიარებს, მაგრამ უცხოეთში სიტუაცია განსხვავებულია. ჩვენ შეგვიძლია მცირე ექსპერიმენტი ჩავატაროთ და შევეცადოთ, სიტუაციას უცხოელების თვალით შევხედოთ, არა სააკაშვილის ლობისტების, არამედ ჩვეულებრივი დამკვირვებლების თვალით.

13 ოქტომბერს შსს-მ გამოაცხადა, რომ ადამიანის მძევლად ჩაგდების ფაქტზე ოთხი პირი დააკავა, კუდ-ის და სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები, რომლებმაც 10 ოქტომბერს მოტყუებით შეაღწიეს რამინ გიორხელიძის სახლში, იარაღის მუქარით გაიტაცეს მისი შვილი იოსებ გიორხელიძე და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ 300 ათასი დოლარი მოითხოვეს. პოლიციამ ამ ეპიზოდში ძალიან კარგად იმუშავა, გატაცებული გაათავისუფლა, ოთხი პირი დააკავა და იარაღიც ამოიღო. შემდეგ ავანსცენაზე გამოვიდა ირაკლი ღარიბაშვილი და ასეთი განცხადება გააკეთა: „ეს ადამიანები, ეს კრიმინალები მუშაობდნენ სოდ-ში და კუდ-ში, რომლებიც მე გავყარე, როცა დავინიშნე ორი წლის წინ. მინდა შევახსენო მოსახლეობას, თუ ვის ხელში იყო საქართველო. აი, სწორედ ასეთი კრიმინალების, გამტაცებლების, მკვლელების და ყაჩაღების ხელში იყო მთელი სამინისტრო და ესენი მართავდნენ სახელმწიფოს. ეს, რა თქმა უნდა, გასარკვევი არის და მე ვიცი, რომ მინისტრი და სამინისტრო მუშაობს ამის თაობაზე, თუ ვინ დგას ამის უკან. ეს შემთხვევითი არ არის. მე ძალიან გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ამის უკან დგას ორგანიზებული ძალა. მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს არის პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის ხელწერა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, გამოძიება სჭირდება".

**საქართველოს ბევრი მოქალაქე ამ მოსაზრებას, სავარაუდოდ, გაიზიარებს, მაგრამ უცხოელი დამკვირვებელი, დიდი ალბათობით, აღიქვამს ამას, როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის ირიბ (თუ არა პირდაპირ) დარღვევას, რომელიც გამსჭვალულია „კუდიანებზე ნადირობის" სულისკვეთებით, რადგან პრემიერს თავისი ბრალდება კონკრეტული მტკიცებულებებით არ გაუმყარებია.** სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ ამ საქმის პროკურორმა თენგიზ ხარებავამ „ინტერპრესნიუსთან" საუბარში განაცხადა, რომ არ ფლობს ინფორმაციას გატაცებასთან „ნაცმოძრაობის" კავშირის თაობაზე: „ვიცი ის, რომ ხალხმა ჩაიდინა დანაშაული და ბრალდებულებს წარედგინათ შესაბამისი მუხლებით ბრალდება. ის, რომ ამ საქმის უკან დგას რაიმე პოლიტიკური დავა, ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ. „ნაციონალური მოძრაობის" კავშირი რა შუაშია მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან".

ამის შემდეგ „ნაცმოძრაობის" აქტიურმა მხარდამჭერმა, ყოფილმა პოლიციელმა გოგა ონიანმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ნათქვამი იყო, რომ ორი დაკავებული: „დურმიშხან ღვარჩლიანი და ჯემალ შონია ნამდვილად მუშაობდნენ კუდ-ში, მაგრამ არჩევნებამდე 3 თვით ადრე იქნენ გათავისუფლებული სამსახურიდან და გადავიდნენ ირაკლი ალასანიას პარტიაში, ხოლო ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ დაინიშნენ სამხედრო პოლიციაში, სადაც იმუშავეს ერთი წელი". თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, ალბათ, **საუბარი ორ ძირითად ვერსიაზე მოგვიწევს — ან ამ პირებს უცებ აეხილათ თვალი და სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს გაეცალნენ, ან კიდევ ისინი ბანალურად შეაგზავნეს ალასანიასთან, როგორც აგენტები.** მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების მინისტრის ყოფილ მოადგილეს ირაკლი ალასანიას თავი მოაქვს გამოჩენილ ექსპერტად კონტრდაზვერვის დარგში, კოალიციის ფორმირების პერიოდში „საკადრო ფილტრი" ყველაზე ცუდად მის პარტიაში მუშაობდა და ამ თემაზე, თავის დროზე, რამდენიმე განცხადება გაკეთდა. ალასანიამ ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ ბრალდებულებს „თავისუფალ დემოკრატებთან" კავშირი არ ჰქონიათ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი სამხედრო პოლიციაში სწორედ მაშინ მოხვდნენ (2013-ის იანვარი), როდესაც სისტემაში ალასანიას კადრების აქტიური შემოდინება დაიწყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განხილულ პერიოდში ოპოზიციური კოალიციის საქმიანობაში ჩართულ ყველა აქტივისტს როდი უფორმდებოდა პარტიის ფორმალური წევრობა პარტბილეთის საზეიმო გადაცემით. ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ ონიანი ტყუის, ხოლო ალასანია სიმართლეს ამბობს, თუმცა იმის საბოლოო დადგენა როგორ, ვისი რეკომენდაციით მოხვდა ეს ორი პირი სამხედრო პოლიციაში და ჰქონდათ თუ არა რაიმე კავშირი „თავისუფალ დემოკრატებთან", ალბათ მაინც აუცილებელია.

თუმცა აქ მთავარია სხვა რამ — **პრემიერ-მინისტრის განცხადებები ასეთ თემებზე უნდა კეთდებოდეს მხოლოდ ფაქტებზე და არა ეჭვებზე და ვარაუდებზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულები მალე ხელს ყოფილ მაღალჩინოსნებს დაადებენ ან ღარიბაშვილი რაღაც სხვა, საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობ ინფორმაციას ფლობს — ჯერ უნდა „დაიდოს" ფაქტი და შემდეგ გაკეთდეს შეფასება, გამოითქვას ეჭვი ან ვარაუდი** (ესეც საკმაოდ ფრთხილად, ვიდრე სასამართლო განაჩენს არ გამოიტანს). წინააღმდეგ შემთხვევაში, **ხელისუფლება თავიდან ვერ აიცილებს ბრალდებებს „ნაციონალების" მიზანმიმართულ დევნა-შევიწროებაზე.**

**რამდენიმე თვეა, შინაგან საქმეთა მინიტრი თავის ინტერვიუებში მიუთითებს იმაზე, რომ „ნაციონალები" „მაიდანისთვის" ემზადებიან, ხოლო ამას წინათ მისმა მოადგილემ ლევან იზორიამ „რუსთავი-2"-ის ეთერში განაცხადა, რომ ამ საკითხზე მიმდინარეობს გამოძიება 315-ე მუხლით, რაც ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლის მცდელობას გულისხმობს.** გადის დრო, მაგრამ შსს-ს მაღალჩინოსნების მსგავს მონოლოგებში კონკრეტიკის დოზა არ იზრდება. **მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალები" მართლაც ემზადებიან პუტჩისთვის, დამოუკიდებელი დამკვირვებლების თვალში ყოველივე ეს, სავარაუდოდ, გამოიყურება, როგორც პოლიტიკური ოპონენტის „მუდმივ ეჭვმიტანილად" გადაქცევის მცდელობა ან სულაც, როგორც მესიჯი „ნაცმოძრობის" წევრების მიმართ — „ჭკუით იყავით, თორემ შეთქმულების მონაწილეებად გამოგაცხადებთ".** ასეთი განცხადებები ხელს უწყობს „ნაციონალებს" იმაში, რომ პოლიტიკურ დევნაზე სულ უფრო ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ისაუბრონ.

„ქართულმა ოცნებამ" თავად აირჩია კანონის მკაცრი დაცვის და მასთან დაკავშირებული ეთიკის გზა. ახალმა ხელისუფლებამ არ აკრძალა „ნაცმოძრაობა" როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ამას ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მოითხოვდა (და ახლაც მოითხოვს). მან არ მიმართა „ნაციონალების" ტოტალურ დაპატიმრებებს და მათთვის საგანგებო ტრიბუნალი არ შეუქმნია, არ უწამებია ისინი მტკიცებულებების მოპოვებისთვის და ა.შ. ეს სწორი არჩევანი იყო და ხელისუფლებამ მას ბოლომდე უნდა უერთგულოს, გაცილებით ფრთხილი იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან მიმართებაში და დაიცვას უკლებრივ ყველა, მათ შორის ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო აღგვიქვამს, როგორც ველურ ტომს, რომელიც ნიღბავს პოლიტიკურ ანგარიშსწორებას რიტორიკით კანონის უზენაესობასა და სამართლიანობის აღდგენაზე. თუმცა გაცილებით საშიშია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური იდეების დისკრედიტაცია, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდება. გამოძიებების ნელი ტემპით, **პროკურატურის უთავბოლოობით, სამართლიანობის აღდგენის ფორმით და შინაარსით უკმაყოფილო ადამიანების ნაწილი უკვე დაუფარავად ოცნებობს ხისტ მეთოდებზე, „რკინის ხელზე" და, საბოლოო ჯამში, დიქტატორზე, რომელიც „ნაცმოძრაობის" პრობლემას დღის წესრიგიდან შემჭიდროებულ ვადებში მოხსნის.** ამ ფონზე, მუდმივი საფრთხის შეგრძნების პირობებში, ისეთი განცხადებები, რომლებიც ღარიბაშვილმა ადამიანის გატაცებაზე გააკეთა და ჭიკაიძის ნახევრადკონსპიროლოგიური თეორიები, მთელ რიგ ჯგუფებში ბადებს სურვილს, პროცესი სამართლებრივი, კალაპოტიდან „ნაციონალების" წინააღმდეგ მიმართული ჯიჰადის კალაპოტში გადაიტანოს. არავინ უარყოფს იმას, რომ სააკაშვილის არაადამიანურმა რეჟიმმა უამრავი ოჯახი გააუბედურა, მაგრამ თუ ეს სტიქია იმძლავრებს, **საქართველო დაკარგავს შანსს ხელშესახებ პერსპექტივაში სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.**

ყველაზე საინტერესო და, ალბათ, ყველაზე საზიზღარიც ამ ისტორიაში პოლიტიკური ქვეტექსტია. **ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ აქვს ახალი იდეები 2016 წლის არჩევნებისთვის, გარდა იმისა, რომ კამპანია ისევ შავ-თეთრ ბიპოლარულ დაყოფაზე („ჩვენ და მტრები") დააფუძნოს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ აკეთებს ღარიბაშვილი (სხვებთან ერთად) ამ მოდელის გამყარებაზე ორიენტირებულ განცხადებებს მაშინაც კი, როდესაც ამისგან თავი აშკარად უნდა შეიკავოს.** რა საჭიროა ეს მუდმივი, დროში გაწელილი დემონიზაცია, მაშინ როდესაც „ოცნების" ამომრჩევლებმა ისედაც იციან, რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი? ხომ არ არის ეს 2016 წლის არჩევნებამდე 2012 წლის პრობლემატიკის ხელოვნური „მითრევის" მცდელობა? ყოფილი მაღალჩინოსნების ბნელი წარსულით სამართალდამცავები (და მხოლოდ ისინი!) უნდა დაკავდნენ, პრემიერი კი, ალბათ, აწმყოსა და მომავალზე უნდა გვესაუბრებოდეს, რომელთაგან პირველი ძალზე მძიმე, ხოლო მეორე ფრიად ბუნდოვანია.

ყოფილი მაღალჩინოსნების და, საზოგადოდ, „ნაციონალების" უფლებების დაცვა დღეს ძალზე არაპოპულარულია. ბევრ, 2003-12 წლებში აქტიურ უფლებადამცველს თუ სამოქალაქო აქტივისტს, უბრალოდ, არ შეუძლია დაძლიოს ზიზღი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ქვეყანას ამდენი უბედურება დამართეს. მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას — ისინიც საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი უფლებები გარანტირებულია კონსტიტუციით. ვიდრე „ნაცმოძრაობა" არ არის აკრძალული, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია (ეს, დიდი ალბათობით, არც არასოდეს მოხდება დასავლელი პარტნიორების პოზიციის გამო), ხელისუფლება ვალდებულია, მოეპყროს მას, როგორც ერთ-ერთ ჩვეულებრივ, სავსებით ლეგიტიმურ პოლიტიკურ პარტიას. კერძოდ კი, არ დაარღვიოს უდანაშაულობის პრეზუმფცია მის მხარდამჭერებთან მიმართებაში და არ შეეცადოს, ის „დამნაშავეობის პრეზუმფციით" ჩაანაცვლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერასოდეს მოიგერიებს ბრალდებებს პოლიტიკური ოპონენტების დევნასთან დაკავშირებით და, რაც მთავარია, ხელს შეუშლის საქართველოს ჩამოყალიბებას სამართლიან, კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ.

„იმდენი თავი წამალი მჭირდება, მეგობრები რომ არ მეხმარებოდნენ, სად შევძლებდი ყიდვას. კათეტერი რომ მიყენია, ამის გამოცვლა 40 ლარი ღირს. რამხელა ხარჯია ეს ჩემთვის? ვენაცვალე — ტატიშვილის კლინიკაში ჯაფარიძეა ერთი, პროფესორი, ის მიკეთებს უფასოდ.“

ოცნების ორი წელიწადი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 88 წლის აკადემიკოსი, რომელიც მარტოდმარტო ცხოვრობს, ხელისუფლებამ შიმშილისთვის გაწირა

**საქართველოს უახლესი ისტორიის ცოცხალი მემატიანე, 88 წლის ღვაწლმოსილი აკადემიკოსი იური სიხარულიძე უკვე წლებია საბურთალოზე, ჯიქიას 7 ნომერში, მარტოდმარტო ცხოვრობს. ხანდახან მეგობრები თუ მიაკითხავენ, თორემ ხმის გამცემი არავინ ჰყავს, ყრუ კედლები და მორჩა... კიდევ წიგნები, ფოტოები, — სამახსოვროები, ავტოგრაფიანები და... მოკლედ, წარსულის ანდამატი. ყველაფრიდან ისტორია გამოსჭვივის. თითქოს ბიბლიოთეკაა ან სულაც ბიბლიოგრაფიული მინიმუზეუმი.**

**...პირველივე სიტყვაზე მივხვდი, რომ რესპონდენტი ადამიანებთან ურთიერთობას ერთობ მოწყურებულია. სასაუბროც ბევრია და, კაცმა რომ თქვას, ეს ის შემთხვევაა, როცა გრძელი სიტყვა მოკლედ ვერ ითქმის.**

— მარტო ისტორიკოსი კი არა, ლოტბარიც ვარ, მოკრიმანჭულე, — მეუბნება ბატონი იური საუბრის დასაწყისში, — ქართული ხალხური სიმღერების ისტორიას ჩემს მეტი სხვა ვინმე ნაკლებად სწავლობს. უფრო სწორად, კი სწავლობს, მაგრამ ისტორიკოსი თუ არ ხარ, ამ საკითხს ბოლომდე ვერ ჩაწვდები, თანაც, მომღერალიც უნდა იყო.

**— როგორც ვიცი, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის სტუდენტი იყავით.**

— დიახ, ასპირანტურაში სწავლისას ჩემი კონსულტანტი იყო. რომ ჩამოვიდა 1945 წელს, ერთადერთი სტუდენტი მე დავხვდი. გუშინდელ დღესავით მახსოვს ის ამბავი.

**— მოგეცათ მასთან თავისუფლად გასაუბრების საშუალება?**

— აეროპორტში — არა, იქ ვინ შემიშვებდა. შეხვედრა მერე მოვახერხე, როცა თბილისში დაბინავდა. ახლანდელი „თბილისი მარიოტი“ რომაა — სასტუმრო, იქ შეასახლეს. იმ წუთიდან არ მოვშორებივარ, მაგრამ დიდხანს ვერ მიმიღო. აკადემიკოსები, პროფესორები რიგში იდგნენ მის სანახავად და ვერ მოიცალა. მერე ეგენი გამოთავდნენ ასე, ღამის პირველ საათზე, და ორზე მიმიღო. უშიშროება ადგა თავზე და ისინიც მომეხმარნენ. ისე, რომ დაინახეს, არ ვშორდებოდი, ჯერ საეჭვოდ ჩამთვალეს, იქნებ მოგზავნილია და პროვოკაციას აპირებსო. მოვიდა ერთი კაცი და მეუბნება: რატომ ხარ, შვილო, აქ, რას ელოდებიო? ვუთხარი: ვიცი, ძალიან დაღლილია, მაგრამ იქნებ ცოტა ხნით მაინც მიმიღოს-მეთქი. შემიშვეს. კარგა ხანს ვილაპარაკეთ...

**— ამბობენ, სიღარიბეში გარდაიცვალაო, მართალია?**

— ექვთიმე თაყაიშვილი სიმდიდრეზე დახარბებული არასდროს ყოფილა. სიმდიდრე რომ სდომებოდა, მის ხელში არ იყო მთელი ქართული საგანძური?! პატრიოტი კაცი იყო ჭეშმარიტად. ცხოვრებაში თუ რამეს მივაღწიე, დიდწილად მისი დამსახურებაა.

**— თუ არ ვცდები, დღეს რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის წევრი ხართ.**

— დიახ, რამდენიმე აკადემიის წევრი ვარ — საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეროვნული აკადემიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის, რომლის პირველი პრეზიდენტიც იყო ლევან სანიკიძე...

**— რამე სარგებელს თუ ნახულობთ ამ წევრობიდან?**

— არანაირი სარგებელი, ესენი დარგობრივი აკადემიებია.

**— რაც შეეხება თქვენს ნაშრომებს, ძირითადად, რა მიმართულებით მუშაობთ?**

— ამაზე მერე ცალკეც შეიძლება ვისაუბროთ. მხოლოდ სტალინზე და მის ფენომენზე მაქვს დაწერილი ცხრა წიგნი. **დღეს ბევრმა არ იცის, ვინ იყო სტალინი, რა იდეებს ემსახურებოდა ეს ადამიანი და რა საფრთხეები ააცილა მან არა მხოლოდ საბჭოთა კავშირს, არამედ მსოფლიოს.**

**— დღეს განსაკუთრებით გამძაფრებულია ანტისტალინური პროპაგანდა. როგორ ფიქრობთ, რა ინტერესი დგას ამის უკან?**

— უგუნურები არიან. ისტორია გაყალბებულია. ნამდვილი სტალინოლოგები დღეს არ გვყავს და ეს არის უბედურება. საერთოდ, **სტალინი ისეთი ფენომენია, მისი სრულად ამოხსნა მხოლოდ ქართველს შეუძლია, მაგრამ რად გინდა, გამოათაყვანეს ხალხი და კაციშვილს არ უნდა სიმართლის გაგება.**

**— ბევრი სვამს შეკითხვას: რა გააკეთა სტალინმა საქართველოსთვის? რას უპასუხებთ მათ?**

— სტალინი საქართველოსთვის იღვწოდა, ამისთვის გაწირა მან თავი და ამის დაჯერება არავის უნდა. თუნდაც ჩეჩნები რომ გაასახლა, რისთვის გაასახლა? საერთოდ, **წარმოგიდგენიათ, რა გარემოცვაში იქნებოდა დღეს საქართველო, ის ღონისძიებები რომ არა, რომლებიც მან გაატარა ჩრდილოეთ კავკასიაში?... სტალინს დიდი გეგმები ჰქონდა. ართვინისა და ტაოს შემოერთებასაც აპირებდა საქართველოსთვის, დესანტსაც ამზადებდა, მაგრამ არ დაცალდა.**

**— მოდი, ისევ თქვენზე ვისაუბროთ, დასაწყისში თქვით, რომ მეცნიერებათა აკადემიების წევრობისთვის არანაირი მატერიალური სარგებელი არ გაქვთ. სახელმწიფო თუ გაქცევთ ყურადღებას?**



— არა. ის კი არა, ბათუმის უნივერსიტეტის პირველი დოქტორი ვარ და ამ სასწავლებლის ამჟამინდელმა რექტორმა 150-ლარიან პენსიაზე დამტოვა. საერთოდ, 1000 ლარი ერგება პენსიონერ პროფესორს, მაგრამ, იცით, რა მითხრეს? მოქმედი პროფესორი უნდა იყოო. 88 წლის კაცი ვარ, სადღა შემიძლია ლექციების წაკითხვა?

**— და სულ 150 ლარია თქვენი შემოსავალი?**

— ეგაა და საპატრიარქო მეხმარება — საჭმელს მიგზავნიან. სხვა საარსებო წყარო არ მაქვს.

**— კომუნალური გადასახადების გადახდას როგორ ახერხებთ?**

— ყველაფერს ჩემი 150-ლარიანი პენსიით ვიხდი. ძლივს გამაქვს თავი. განსაკუთრებით ზამთარში მიჭირს, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს?! სიცივეში ვერ გავჩერდები, ხომ უნდა გავთბე. შარშან, ზამთარში, მაგალითად, ისეთი სიცივე იყო, პენსიის ნახევარზე მეტი მარტო გაზის გადასახადს უნდებოდა. წელს, არ ვიცი, რა იქნება.

**— ჯანმრთელობის მხრივ როგორ ხართ?**

— იმდენი თავი წამალი მჭირდება, მეგობრები რომ არ მეხმარებოდნენ, სად შევძლებდი ყიდვას. კათეტერი რომ მიყენია, ამის გამოცვლა 40 ლარი ღირს. რამხელა ხარჯია ეს ჩემთვის? ვენაცვალე — ტატიშვილის კლინიკაში ჯაფარიძეა ერთი, პროფესორი, ის მიკეთებს უფასოდ.

**— არ გიცდიათ, შესაბამისი უწყებებისთვის მიგემართათ? იქნებ სოციალურად დაუცველის სტატუსი მოგანიჭონ ან სხვა დახმარება გაგიწიონ.**

— ვის მივმართო ან რა შეიცვლება ამით? 11 წელი ვიმუშავე ბათუმის უნივერსიტეტში და 150-ლარიან პენსიაზე რომ დაგტოვებენ, ასეთ ქვეყანაში რამე აზრი აქვს ვინმესთვის მიმართვას? რა, **თვითონ არ იციან, რომ 150 ლარით ვერ იარსებებს ადამიანი, რა მიმართვა უნდა ამას? ღვთის წყალობით, მეგობრები მყავს, თორემ ამ სახელმწიფოს იმედად მტერი იყოს. ამათ ხელში განწირული ვარ. აქ სულ-ერთია, ვინ ხარ და რა დამსახურება გაქვს...**

## იური სიხარულიძე: «თვითონ არ იციან, რომ 150 ლარით ვერ იარსებებს ადამიანი, რა მიმართვა უნდა ამას?»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. მრავლის მცოდნე და მნახველი იური სიხარულიძე კიდევ უამრავ საინტერესო ამბავს მოყვებოდა, როგორც პირადი ცხოვრებიდან, ისე ისტორიიდან, მაგრამ ყველაფერს ერთ საგაზეთო ინტერვიუში ვერ ჩავტევდით. ალბათ, ამიტომაც გამოვიდა ეს საუბარი ასეთი კონტრასტული — დავიწყეთ დიდი ექვთიმეს სამშობლოში დაბრუნებით და დავასრულეთ რესპონდენტის ყოფითი პრობლემებით. მოკლედ, ყველაფერი მინდოდა ჩამეტია ამ მოკრძალებულ ინტერვიუში.**

**ისე, ყოფით პრობლემებს რაც შეეხება, „მეოცნებეებს“ სინდისის ნატამალი თუ შერჩათ, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ოდნავ მაინც უნდა შერცხვეთ, განსაკუთრებით პარლამენტში მოკალათებულ მანდატიან უსაქმურებს, მხოლოდ თავიანთი ჯამაგირის გაზრდაზე რომ ფიქრობენ. გახსოვთ, ალბათ, 2015 წლის ბიუჯეტი რომ მტკიცდებოდა, ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა: ძალიან რთულ სამუშაოს ვასრულებთ და დეპუტატის ხელფასი უნდა გაიზარდოსო. დაახლოებით იმავე შინაარსის იყო ამას წინათ დავით ნარმანიას კომენტარიც მერიის თანამშრომლების პრემიებზე. მოკლედ, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს შუბლის ძარღვი ჯერ კიდევ ემბრიონის მდგომარეობაში გაუწყდა, ამიტომაა, რომ ამ ქვეყანაში სამართალმა ვერ იზეიმა — ვერც იურიდიულმა და ვერც სოციალურმა. ჩემი რესპონდენტი — დამსახურებული, მხცოვანი აკადემიკოსი, რომელიც მარტოდმარტო, გაჭირვებაში ცხოვრობს, ამის ნათელი მაგალითია; ჰოდა, გრცხვენოდეთ, მუქთახორა პარლამენტარებო, მუქთახორა მინისტრებო!..**

**რაც შეეხება მათ პოლიტიკურ გარანტორს, ბიძინა ივანიშვილს, ბატონო ბიძინა, მედროვე ე. წ. ხელოვანებს თქვენი ნაჩუქარი ფულით უკანალები რომ გაუსივდათ, მაგას არ ჯობია, იური სიხარულიძისნაირ მართლა დამსახურებულ ადამიანებს დაეხმაროთ? ჯერ ერთი, მას რეალურად სჭირდება დახმარება და მეორეც, ჭეშმარიტად ღვთისნიერი საქმე გამოგივიდოდათ. ისე, კაცმა რომ თქვას, ჯერაც არ არის გვიანი.**

**ნათქვამია: მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო...**

**«ბათუმის უნივერსიტეტის პირველი დოქტორი ვარ და ამ სასწავლებლის ამჟამინდელმა რექტორმა 150-ლარიან პენსიაზე დამტოვა. საერთოდ, 1000 ლარი ერგება პენსიონერ პროფესორს, მაგრამ, იცით, რა მითხრეს? მოქმედი პროფესორი უნდა იყოო. 88 წლის კაცი ვარ, სადღა შემიძლია ლექციების წაკითხვა?»**



# «ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა» ორი ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს

**აშშ-ის საომარი მოქმედებების ვეტერანი გორდონ დაფი თავის ახალ სტატიაში წერს, რომ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ორი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.**

გორდონ დაფის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამერიკული გამანადგურებელი F-16 სირიაში ჩამოაგდეს, სამხედრო ფლოტის კუთვნილი სატრანსპორტო თვითმფრინავი Osprey კი, რომელიც ერაყის თავზე რაკეტით დააზიანეს, ზღვაში ჩავარდა. ორივე შემთხვევაში პილოტები სიკვდილს გადარჩნენ.

**„თვითმფრინავების ჩამოგდების ამბავი საერთაშორისო საზოგადოებრიობას რომ არ შეეტყო, პენტაგონმა გამოსცა პრესრელიზი, რომლის მიხედვითაც ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ტაიფუნმა დააზიანა იაპონიაში მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზა კედენაზე.**

საზენიტო რაკეტა „პეტრიოტს“ მიზნის დაზიანება 140 კმ მანძილზე შეუძლია, აქედან გამომდინარე, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებს არ შეეძლოთ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენი აპარატების დაზიანება, თუკი მათ ხელთ არ ექნებოდათ მიზნების მოძრაობის მარშრუტი, რაც საიდუმლოებაა“, — წერს გორდონ დაფი.

**P.S. სირიასა და ერაყში მოქმედი რადიკალური დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა პირველი გაფრენები განახორციელეს თვითმფრინავებით, რომლებიც ხელში ნადავლად ჩააგდეს, ასეთი კი სამი საფრენი აპარატია. ტერორისტები აკონტროლებენ რამდენიმე ავიაბაზას, რომლებიც სირიის სახელისუფლებო ძალებმა მიატოვეს.**



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ახალი მთავრობაც განაგრძობს იმას, რასაც წინა მთავრობა აკეთებდა, არაფერი შეცვლილა, განსაკუთრებით — საგარეო პოლიტიკაში, უფრო მეტიც, ესენი პირდაპირ ამბობენ, რომ მოსწონდათ სააკაშვილის აღებული კურსიცა და გადადგმული ნაბიჯებიც; ამათი მზეც ბრიუსელ-ვაშინგტონში ამოდის“



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# რუსეთმა ქართველების მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოიცვალა

**„ერთია კიდევ მთავარი და უამისოდ არ გამოვა არაფერი. იმედი! სადაა და შენ უნდა მოიგონო ხალხის იმედი. მოვიგონე ჩემი ხალხისათვის იმედი და ნამეტანი იმედიანად მყავს ყველა. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში არაფერს და იქნება ბედნიერად“, — ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი რომანიდან არქიფო სეთურის გმირის ეს სიტყვები 25 წლის თავზე ზედგამოჭრილია ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობის გამოსახატად. „ხალხის ბედნიერებისათვის რა არის საჭირო? — იმედი... გვითხრეს „მამებმა და მარჩენალებმა ჩვენმა“: კენტ ბრაუნმა, კენეტ იალოვეცმა, იმავე რიჩარდ მაელსმა, ჯონ ტეფტმა, ჯონ ბასმა, რიჩარდ ნორლანდმა და მოვდივართ დღემდე ამ იმდით, იმედით, რომ ოდესღაც ნატოსა და ევროკავშირის კარები გაიღება, თუმცა ამ იმედის მოლოდინით, როგორც ცნობილმა პოლიტოლოგმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა (იხ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ №36), „საქართველოს ყოველ ხელისუფლებას მოსახლეობა ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ ხალხი მზადაა, ხმა მისცეს ნებისმიერს, ვინც მოაშორებს ამ ხელისუფლებას“. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კი თავგამოდებით ცდილობს, ხალხი საპირისპიროში დაარწმუნოს და ამბობს, რომ მათი ხელისუფლება არ ჰგავს არც ერთ წინამორბედს და რომ სულ სხვა, უფრო ნათელი კურსითა და გზით მიდიან. ამ თემაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს დაუკავშირდა.**

**— პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ არ ვგავართ არც ერთ წინა მთავრობასო. ხალხი კი სხვანაირად ფიქრობს. თქვენ თუ ხედავთ რაიმე ხელჩასაჭიდ სხვაობას „ოცნების“ ხელისუფლებასა და მის წინამორბედებს შორის?**

— რადგან შეკითხვა ასე დასვით, ცოტა შორიდან დავიწყებ, ვიდრე საქართველოში ამერიკის საელჩი იარსებებდა.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ამერიკიდან საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით ორი დიდი დელეგაცია ჩამოვიდა. იმ პერიოდისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე გამოცხადებული ჰქონდა. ამერიკელები ჩვენი მდგომარეობის გასაცნობად ჩამოვიდნენ და გვითხრეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ საქართველო აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითს გაიზიარებდა. ძირითადად, საუბარი იყო სამხრეთ კორეასა და სინგაპურზე. იქ ცენტრალიზებული მართვა იყო, ასევე იყო ჩვენთან, ამიტომ საქართველო უცბად ვერ გახდებოდა ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩვენ გვინდოდა, რომ ყოფილიყო. დელეგაციის წევრებმა გვითხრეს, რომ ამერიკის სარჩენი გავხდებოდით, ეს კი ხელს არ აძლევდათ ამერიკელებს, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უკვე მათ კისერზე იყვნენ.

**ქართველები იმთავითვე ძალიან გულუბრყვილოდ გამოვიყურებოდით, იყო ასეთი პოლიტიკოსი — ირაკლი წერეთელი, რომელიც თვლიდა, რომ, თუ საბჭოთა ბანაკიდან გამოვიდოდით, მაშინვე მიგვიღებდნენ ნატოშიც და ევროკავშირშიც.**

ამერიკა მეორე ქვეყანა იყო, რომელმაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღიარა და საელჩოც სასწრაფოდ გახსნა. **ამერიკის საელჩო კი იმ მიზნით გაიხსნა, რომ შეესწავლათ, რას წარმოადგენდა საქართველო და რა „ცხოველები“ ვიყავით ჩვენ. მინდა, გითხრათ, რომ გენიალურად შეისწავლეს ქართველების მენტალიტეტი და დიაგნოზიც დაგვისვეს, სათავისოდ ძალიან კარგი და საჩვენოდ — ცუდი. ჰოდა, დაიწყეს ჟურნალისტებისა და ახალგაზრდა, დამწყები პოლიტიკოსების წვრთნა ამერიკაში. მოკლე პერიოდში საქართველოში შექმნეს ისეთი ამინდი, როგორიც სურდათ. ისე, ჩვენ ვამბობთ „მოკლე პერიოდს“, თორემ ჩინეთი 30 წელიწადში აშენდა, ჩინეთი, რომელიც ჩამორჩენილი და მშიერი ქვეყანა იყო.**

25 წელი საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ჩამოყალიბდე და მიხვდე, რა არის შენი ქვეყნისთვის უკეთესი. ვიდრე საგარეო საქმეთა სამინისტროში ვიყავი, ყველა ელჩთან საკმაოდ კარგი და ახლო ურთიერთობა მქონდა, ამიტომ ვიცი მათი აზრი, ისინი გამუდმებით გაგრძნობინებენ, ვინ ხარ და რას წარმოადგენ. როდესაც ადამიანს თხოვნით აბეზრებ თავს, შენზე კარგი წარმოდგენა არ შეექმნება, რა თქმა უნდა.

**1995 წლიდან უკვე აშკარად იგრძნობოდა ამერიკის მხრიდან არა ქართველთა შესწავლის პროცესი, არამედ ჩვენს საქმეებში ჩარევის, თან ისეთ დონეზე, რომ თავად ედუარდ შევარდნაძე წუხდა, ჩემს გემოზე ვერაფერი გამიკეთებია, ყველაფერზე პასუხს მთხოვენო.**

**შემდეგ დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება, ამერიკელებს უკვე შერჩეული ჰყავდათ „სათავისო“ ხალხი. დათო უსუფაშვილი, სულ პატარა ბიჭი, შევარდნაძის კანტორაში „დათუნთულებდა“ და სწორედ ის წაიყვანეს ამერიკაში და „დაატრენინგეს“.**

1996 წელს ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის შენობაში არასამთავრობოების შეხვედრა მოაწყო. იქ შეკრებილი ხალხი — ყველანი ცალ-ცალი კალოშით იყვნენ მოსულნი, სწორედ ისინი ჩაიხუტეს ამერიკელებმა.

**— და მაინც: იქნებ ხალხი ვერ ხედავს და სინამდვილეში არსებობს სხვაობა, რომელზეც პარლამენტის თავმჯდომარე საუბრობს?**

— **წინა ხელისუფლება პირდაპირ აგინებდა რუსეთს, ესენი კი ცოტა განსხვავებულ ტექსტებს გამოიყენებენ, მაგრამ ჯამში მაინც გინებას ნიშნავს. რაც შეეხება უსუფაშვილს, ის ფიზიკურად არ ჰგავს დავით ბაქრაძეს, თორემ სხვაობა სხვა არაფერია. ვერც ამ მთავრობამ მოიშორა სიტყვები — სეპარატისტი აფხაზი, სეპარატისტი ოსი, ტერმინოლოგიაცა და პოლიტიკაც ერთი და იგივეა. 25 წელი აგინო რუსს, რომელიც ყველა პარამეტრით მართალია საქართველოსთან, სრული სიბეცეა.**

გეტყვით ერთ რამეს, რაც ქართველმა საზოგადოებამ არ იცის: ვინ მოიყვანა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში? — ამერიკელმა.

**— ბატონო ჰამლეტ, „ნაციონალები“ ამბობენ, რომ ივანიშვილი რუსეთის კაცია...**

— არავითარ შემთხვევაში. რუსეთი რა შუაშია? ივანიშვილი ამერიკელებმა იმიტომ მოიყვანეს, რომ სააკაშვილმა კრიზისი შექმნა. ამათი საყვარელი მეთიუ ბრაიზა ამბობდა, ჯერ საკმარისად არ გაურეკია მიშას, როცა ეს მოხდება, მაშინვე მოვიშორებთო. ბიძინა ივანიშვილი, ამერიკელების გათვლით, მეორე ძალა უნდა ყოფილიყო და ეს ასეც არის...

**— რას ამბობთ? პირველი ვინ იქნებოდა ან ვინ არის?**

— პირველი ძალა ისევ სააკაშვილია, დიახ, თქვენ გიკვირთ, მაგრამ ეს ასეა, ივანიშვილი უნდა დაპირისპირებოდა სააკაშვილს. თუ გახსოვთ, 2012 წლის არჩევნების წინ „ოცნება“ რეიტინგებით პირველ ადგილზე არ იყო, ხან მესამე ადგილზეც კი ინაცვლებდა, მაგრამ ცნობილმა „ციხის კადრებმა“ ამერიკელების გეგმა შეცვალა და პროცესი თითქმის უმართავი გახდა. სხვა გზა რომ აღარ დარჩა, ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოეყვანათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს კაცი არავის იცნობს, ერთი-ორი ადამიანის გარდა, მაშინვე თავზე დაადგა ამერიკის ელჩი და მიუტანა სრული სია იმ ადამიანებისა, რომლებიც გვერდით უნდა დაეყენებინა.

**— ქართველმა ერმა სააკაშვილს განაჩენი გამოუტანა. მისი საშინაო თუ საგარეოპოლიტიკური კურსის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ ის მოღალატეა... ახალ მთავრობას კურსი არ შეუცვლია, რას წარმოადგენს ახალი მთავრობა?**

— **ახალი მთავრობაც განაგრძობს იმას, რასაც წინა მთავრობა აკეთებდა, არაფერი შეცვლილა, განსაკუთრებით — საგარეო პოლიტიკაში, უფრო მეტიც, ესენი პირდაპირ ამბობენ, რომ მოსწონდათ სააკაშვილის აღებული კურსიცა და გადადგმული ნაბიჯებიც; ამათი მზეც ბრიუსელ-ვაშინგტონში ამოდის, ოღონდ ერთ ფრაზას აკერებენ ამ ყველაფერს — რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაარეგულირონ. იმას ვერ ფიქრობენ, იყო ნატოში და ევროკავშირში და დაარეგულირო ურთიერთობა რუსეთთან, ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. რუსეთმა ქართველების მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოიცვალა.**

ახალმა ხელისუფლებამ არამარტო გააგრძელა სააკაშვილის კურსი, არამედ განამტკიცა ყველა პარამეტრით. ყველა მთავრობამ იმდენი იძახა, ნატოში შევალო, რომ საკუთარი ტყუილის სჯეროდათ კიდეც.

ამერიკელი შენთან ერთად ერთ ჭიქა ღვინოს რომ დალევს, იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერს გააკეთებინებ. მათ ისე უნდა შეხედო, როგორც თავად გიყურებენ.

სახელმწიფო თარჯიმანი ვიყავი, არასდროს გამჩენია სურვილი, მეთქვა იმაზე მეტი, ვიდრე შეიძლებოდა; არასოდეს მოუციათ შენიშვნა და არასოდეს დასაცინად არ გავიხდიდი თავს. შეხედეთ პრემიერ ღარიბაშვილს, როგორ ცდილობს, ილაპარაკოს ამერიკული ინგლისურით, სასაცილოდ გამოიყურება. ჰენრი კისინჯერიც კი არ ცდილობს ამერიკული ინგლისურით საუბარს... ღარიბაშვილის ეს საქციელი უმწიფარობის ნიშანია. ამერიკელები ამ წამბაძველობას რომ ხედავენ, ფიქრობენ, რომ არაფერი საკუთარი არ გაგვაჩნია, თანაც, თუ იმასაც გავიხსენებთ, მიშა რომ ამბობდა — საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყებაო.

ასე რომ, მხოლოდ სახელები, გვარები და სახეები შეიცვალა, თორემ რეალურად ყველაფერი ძველებურადაა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნება, ამერიკელებს უკვე შერჩეული ჰყავდათ «სათავისო» ხალხი. დათო უსუფაშვილი, სულ პატარა ბიჭი, შევარდნაძის კანტორაში «დათუნთულებდა» და სწორედ ის წაიყვანეს ამერიკაში და «დაატრენინგეს»**

**«ამერიკის საელჩო კი იმ მიზნით გაიხსნა, რომ შეესწავლათ, რას წარმოადგენდა საქართველო და რა «ცხოველები» ვიყავით ჩვენ. მინდა, გითხრათ, რომ გენიალურად შეისწავლეს ქართველების მენტალიტეტი და დიაგნოზიც დაგვისვეს, სათავისოდ ძალიან კარგი და საჩვენოდ — ცუდი»**

მსოფლიო

## ესპანელმა ანტიფაშისტებმა უკრაინელი ნაციონალისტები გალახეს

**18 ოქტომბერს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდთან ახლოს მდებარე ქალაქ ალკორკონის ერთ-ერთ კლუბში ანტიფაშისტური კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო — ესპანელი ანტიფაშისტები თანამემამულეებისთვის უკრაინაში ნაციზმის გაძლიერების შესახებ მოყოლას აპირებდნენ.**

კონფერენციაზე დასწრება მადრიდში უკრაინელთა დიასპორის წარმომადგენლებმაც გადაწყვიტეს და დაახლოებით 15 კაცი ალკორკონისკენ გაემართა, მაგრამ მათ ნაციონალისტურმა სიმბოლიკამ და ფაშისტურმა მოწოდებებმა ცუდი სამსახური გაუწია — კლუბისკენ მიმავალი უკრაინელი ნაციონალისტები იცნეს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ღონისძიების დამცველთა ფუნქციას ასრულებდნენ... დაიწყო არეულობა, შემდეგ — ცემა-ტყეპა და უკრაინელი ნაციონალისტების წარმომადგენელთა უმეტესობა ჰოსპიტალში მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ალკორკონის კონფერენცია უკრაინის ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მორიგი ღონისძიება იყო. მანამდე ასეთი აქცია გაიმართა სარაგოსაში (17 სექტემბერი), გრანადასა (2 ოქტომბერს) და მადრიდში (7 ოქტომბერს).



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ორი წელია, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ვერც ერთმა ხელისუფალმა, ვგულისხმობ, ივანიშვილს, ღარიბაშვილს, უსუფაშვილს, მარგველაშვილს, ვერ გარისკეს, გადაედგათ ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ჩასულიყვნენ მოსკოვში, შეხვედროდნენ რუსეთის ხელისუფლებას და დაეწყოთ პირდაპირი მოლაპარაკებები. ამის ნაცვლად მოიგონეს აბაშიძე-კარასინის შეხვედრები, რომლებზეც პოლიტიკაზე არ საუბრობენ და მხოლოდ სავაჭრო საკითხებს წყვეტენ.“



## ვალერი კვარაცხელია:

# ეს ძალა შესაცვლელია და ქართველი ხალხიც გრძნობს, რომ რუსეთთან ამდენი ბრძოლა დამღუპველია!

**რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის დაიდება ახალი ხელშეკრულება, რომელიც ერთიანი სამხედრო დანაყოფის შექმნას ითვალისწინებს. პოლიტოლოგებმა უკვე აღნიშნეს, რომ, თუ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდება, აფხაზეთი საბოლოოდ დაიკარგება. აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებაც შეშფოთებულია, რადგან „თვით“ ლევან ბერძენიშვილიც კი ამბობს, რომ რუსეთის ეს ნაბიჯი საფრთხის შემცველია: „რუსეთმა აიწყვიტა. რუსეთის ეს ნაბიჯები შეიცავს საფრთხეს. ის ემუქრება როგორც საქართველოს, ისე ევროპას და მსოფლიო წესრიგს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არის ქვეყნის უმაღლესი ღირებულება და რუსეთის ქმედებებზე ხელისუფლებას შესაბამისი რეაგირება უკვე აქვს“, — განაცხადა მან.**
**როგორ მოქმედებს ამ „საფრთხის“ წინააღმდეგ საქართველოს მთავრობა და არის თუ არა მომგებიანი საქართველოსთვის ის ნაბიჯები, რომლებსაც ხელისუფლება დგამს? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია ესაუბრა.**

**— ბატონო ვალერი, მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სირიელ ამბოხებულებს საქართველოში მოამზადებს, ხალხი ხელისუფლებისგან ადეკვატურ ქმედებებს ელოდა, ყოველ შემთხვევაში, განცხადებებს მაინც, მაგრამ მოხდა ასეთი რამ: ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა დამაჯერებელი ტონითა და სახით განგვიმარტა, რომ ეს არაფერს ნიშნავს და ნატოს საწვრთნელი ბაზების არსებობა რუსეთის ხელისფლებას არ გააღიზიანებს. რეალობა კი სხვაა — რუსეთი აფხაზეთთან სამხედრო ხელშეკრულებას აფორმებს...**

— არა მხოლოდ ალექსი პეტრიაშვილი, არამედ მთელი პოლიტიკური სპექტრი, ელიტა, რაც გინდათ, დაარქვით, — ყველა ერთად სისულელეებს ლაპარაკობს. „რუსეთს ეს არ ეხება“, — აცხადებენ ესენი, მაგრამ რა არ ეხება რუსეთს? ის, რომ მის ტერიტორიასთან ასე ახლოს, მისი სახელმწიფოსკენ მიმართული უნდა იყოს რაკეტები? აი, ასეთ **სისულელეს უმტკიცებენ მსოფლიოს. შეიძლებოდა, ერთი შეხედვით, არ ცოდნა ან უწყინარი ტყუილი დაგვერქმია ამ ყველაფრისთვის, მაგრამ არ გამოდის, რადგან მათი საქმეცა და საქციელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოს დასაღუპად არის მიმართული. შედეგიც ნათელია. რუსეთის ახალი ხელშეკრულება აფხაზეთთან — ეს არის აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვა, რაც სამ ეტაპად განხორციელდა. პირველი იყო აფხაზეთის დე ფაქტო დაკარგვა, მეორე — აღიარება რუსეთის მიერ და მესამეა აღნიშნული ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთი აფხაზეთის ბატონ-პატრონი ხდება.**

**— პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა ასეთი რამ თქვა: „რუსეთმა აიწყვიტა“... რას ნიშნავს ეს ?**

— ვერ ვიტყვი, რომ რუსეთმა აიწყვიტა. მან გადაწყვიტა, არ შეურიგდეს იმ ბედს, რომელსაც დასავლეთი და განსაკუთრებით — ამერიკა, უმზადებენ, რადგან ეს ნიშნავს რუსეთისთვის ფრთების შეკვეცას, ნატოს მიერ ალყაში მოქცევას, რომელიც რუსეთს საბოლოო დაშლამდე მიიყვანს. ეს ყველაფერი იმისათვის ხდება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე აურაცხელი ქონება ხელში ჩაიგდონ, რაც იოლი საქმე არ არის.

**გავიხსენოთ, 2008 წლის უბედურება, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ომი ჰქვია. ეს ომი გააჩაღა საქართველოს იმჟამინდელმა უგუნურმა ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ის, რაც იმხანად გააკეთა რუსეთმა, ლოგიკური იყო. მან ამ საქციელით მსოფლიოს დაანახვა, რომ დათმობაზე აღარავისთან წავა; არ დაუშვებს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო ვერ აკონტროლებს და დგას მისი სამშვიდობო ჯარები, დათარეშობდნენ ქართველები და ამერიკელები ერთობლივად. აი, რა განაცხადა ამ საქციელით რუსეთმა, განაცხადა და სისრულეშიც მოიყვანა.** დასავლეთსაც და საქართველოსაც ეს უნდა სცოდნოდათ.

მეორე ასეთი მაგალითია უკრაინა. ამერიკასა და ევროპას იქაც პლაცდარმის გაკეთება სურდათ, მაგრამ ამას არ შეეგუა რუსეთი და ელვის უსწრაფესად ჩამოართვა ყირიმი. რუსეთს ეს პრესტიჟის გამო არ გაუკეთებია. ჯერ ერთი, ეს ტერიტორია ისტორიულად რუსეთის იყო, და მეორეც — ეს არის ტერიტორია, რომელსაც აქვს უაღრესად დიდი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. დანარჩენი, **რაც უკრაინაში ხდება, აუცილებლად რუსეთის გამარჯვებით დასრულდება, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ფაქტია, რომ რუსეთი უკანდახევას არ აპირებს.**

**რუსეთმა, უკვე ჩამოაყალიბა ევრაზიული კავშირი და მასში რამდენიმე ქვეყანა გაერთიანდა, მის მიერ გაცხადებული გეოპოლიტიკური პროექტი, სისრულეშია მოყვანილი. ყველაფერი იქით მიდის, რომ რუსეთი უფრო ახორციელებს თავის გეგმებს, ვიდრე დასავლეთი.** ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას ჰყოფნის უგუნურება, დაპატიჟოს ამერიკული რაკეტები, რაც წარმოუდგენელი დანაშაულია ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. ამ დანაშაულისთვის სასჯელი არის ის, რომ რუსეთმა აფხაზეთში სამხედრო ხელშეკრულების გაფორმება გადაწყვიტა.

**«რუსეთის ახალი ხელშეკრულება აფხაზეთთან — ეს არის აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვა, რომელიც სამ ეტაპად განხორციელდა. პირველი იყო აფხაზეთის დე ფაქტო დაკარგვა, მეორე — აღიარება რუსეთის მიერ და მესამეა აღნიშნული ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთი აფხაზეთის ბატონ-პატრონი ხდება»**

**— პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: „ყირიმის რეფერენდუმი ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრეცენდენტია პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუკი ოდესმე საქართველოს გონიერი ხელისუფლება ეყოლება, იგი ამ პრეცენდენტზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა, რუსეთის მხარდაჭერით, შეძლებს, მოითხოვოს ანალოგიური რეფერენდუმის ჩატარება გალის რაიონში“.**

— აბსოლუტურ **სიმართლეს ამბობს ალექსანდრე ჭაჭია, იმიტომ, რომ პროცესებს ყოველთვის აქვს ორი მხარე. ყირიმში რაც მოხდა, ეს ძალიან კარგი პრეცენდენტია, რომლის გამოყენებაც საქართველოშიც შეიძლება, მაგრამ მართალია, ასევე, როდესაც ამბობს, რომ ამისათვის საჭიროა გონიერი ხელისუფლება და კეთილი ნება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია.**

**«საქართველოს ხელისუფლებას ჰყოფნის უგუნურება, «დაპატიჟოს» ამერიკული რაკეტები, რაც წარმოუდგენელი დანაშაულია ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე. ამ დანაშაულისთვის სასჯელი არის ის, რომ რუსეთმა აფხაზეთში სამხედრო ხელშეკრულების გაფორმება გადაწყვიტა»**

ორი წელია, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ვერც ერთმა ხელისუფალმა, ვგულისხმობ, ივანიშვილს, ღარიბაშვილს, უსუფაშვილს, მარგველაშვილს, ვერ გარისკეს, გადაედგათ ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ჩასულიყვნენ მოსკოვში, შეხვედროდნენ რუსეთის ხელისუფლებას და დაეწყოთ პირდაპირი მოლაპარაკებები. ამის ნაცვლად მოიგონეს აბაშიძე-კარასინის შეხვედრები, რომლებზეც პოლიტიკაზე არ საუბრობენ და მხოლოდ სავაჭრო საკითხებს წყვეტენ. რუსეთი მაშინვე წამოვიდა იმაზე, რაც შევთავაზეთ, და ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი გაიხსნა. ცუდი არ არის, მაგრამ ეს ხომ არ არის ქვეყნის უმთავრესი პრობლემა? **შეხვედრები, რომლებიც პრაღაში იმართება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას ვერ მოგვიგვარებს. ახალი ხელისუფლების პირობებში ერთი სასიკეთო ნაბიჯი არ გადადგმულა, ესენიც ჯიუტად მიდიან ნატოსკენ, ოცნებობენ მაპის მიღებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო რუსეთისკენ ნაბიჯის გადადგმას არც აპირებს. ორ ბოცა ღვინოს შეიტანს თუ არა საქართველო რუსეთში, დიდი ვერაფერი ბედენაა, თანაც ქართული ღვინის შეტანა რუსეთის კეთილი ნება იყო.**

რუსეთის პრეზიდენტი, როდესაც ალასანიას განცხადებას ისმენს, რატომ ჰგონიათ, რომ წაუყრუებს? თანაც პუტინი ხომ არაფერს მალავს და პირდაპირ მოქმედებს, დგამს საპასუხო ნაბიჯებს. რუსეთისთვის ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ ევროპის დათმობა საკმარისზე მეტი იყო, ის აღარ დაუშვებს სხვა ტერიტორიების დაკარგვას. საქართველოს ხელისუფლება სწორედ ამაზე უნდა ფიქრობდეს და არა იმ ტყუილზე, თითქოს რუსეთთან ურთიერთობებს „ათბობენ“.

თუ ეს ხელშეკრულება გაფორმდა აფხაზეთთან, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხესთან მისასვლელი ყველა გზა დაეკეტება და ზუსტად ისეთი ვითარება იქნება, როგორიც ტაო-კლარჯეთშია — ჩვენ აფხაზეთზე ოცნებაც კი აგვეკრძალება.

**— ამის შემდეგ მაინც თუ მიგვიღებენ ნატოში?**

— არა! ჩვენ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვა. ასეთი რამ კი ვინმემ რომც ჩაიდინოს, ქართველი ხალხი ხელს ძირში მოაჭრის. ასეც რომ არ იყოს და დავთმოთ ეს ტერიტორია, სხვა დანარჩენ ტერიტორიებს რას ვუშვრებით? დასაკარგი ძალიან ბევრია, **ალასანიასნაირი ტვინგამორეცხილი პოლიტიკოსები ზუსტად საქართველოს დაშლისკენ ილტვიან. ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს იმის განცდა, რომ საქართველოს ინტერესები ამერიკის ინტერესებზე წინ დააყენოს.**

**— ბატონო ვალერი, შესაძლებელია, მთავრობა არ აღიარებდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთ-აფხაზეთს შორის იდება, ჩიხში შევყავართ. ადეკვატურად მოქმედებს ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩვენი ხელისუფლება?**

— საქართველოს ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ბოლო ხანს, რა თქმა უნდა, არაადეკვატურად მოქმედებს. უფრო მეტიც, ისინი სულელურად, გაუაზრებლად ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებენ. ცოტა იმედი მქონდა პრემიერ ღარიბაშვილის, რომელიც თითქოს ამ პოლიტიკური ჯართისგან განსხვავებულად მოქმედებდა, მაგრამ სწორ მახვილებს ვერ სვამს და ანალიზსაც ვერ აკეთებს. აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ **ეს ძალა შესაცვლელია და ქართველი ხალხიც გრძნობს, რომ რუსეთთან ამდენი ბრძოლა დამღუპველია.**

**«ალასანიასნაირი ტვინგამორეცხილი პოლიტიკოსები ზუსტად საქართველოს დაშლისკენ ილტვიან. ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ აქვს იმის განცდა, რომ საქართველოს ინტერესები ამერიკის ინტერესებზე წინ დააყენოს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს დევნიან და ამაზე არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ხმას არ იღებს, არც ის ევროპული სასამართლო, რომელმაც იეღოველების გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.**



მამა გიორგი (რაზმაძე):

# თუ გვინდა ღვთის უარყოფა და უფლის გმობა, — ევროინტეგრაცია ამას გარდაუვალს გახდის

**ე. წ. დემოკრატიული ფასეულობების სტიქიურად შემოდინების ფონზე ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ თითი კიდევ ერთხელ დაგვიქნიეს და, როგორც ჩვევიათ, დირექტივების ქარ-ცეცხლში გაგვატარეს. ლაპარაკია მცირე ხნის წინათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობამ იეჰოვას მოწმეებს „მიყენებული სისასტიკისთვის“ (ასე წერია განჩინებაში) 30 450 ევროს ოდენობის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. სარჩელის თანახმად, 2000-2001 წლებში პოლიციამ ამ ე.წ. მოწმეების შეკრება თურმე ძალის გამოყენებით დაშალა. მან ასევე არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მათთვის სხვა პირების თავდასხმა აეცილებინა და დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის შეტაკება აღეკვეთა. როგორც განაჩენში წერია, საქართველოს მთავრობა აღნიშნულ ფაქტს არ უარყოფს და ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევას ვერ განმარტავს. მოკლედ, მოვესწარით, რომ იეჰოვას სექტა, რომელიც სინამდვილეში ჯორჯ სოროსის დამქაშთა საბუდარია და პირდაპირ ასოცირდება „მეცოცხე ნაციონალების“ ხროვასთან, ქართულ სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე აჩოქებს.**
**რა საფრთხეს წარმოადგენს ეს სექტა საქართველოსთვის, რა ინტერესებს ემსახურებიან იეჰოვას მოწმეები და ჰყავთ თუ არა მათ მფარველები დღევანდელ ხელისუფლებაში? — ამ საკითხებზე გვესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამა გიორგი, დაახლოებით ერთი თვის წინათ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ „იეჰოვას რელიგიური საზოგადოების“ წევრთა სარჩელი დააკმაყოფილა და გამოიტანა განაჩენი, რომ საქართველოს მთავრობამ მომჩივან მხარეს, მათ მიმართ ჩადენილი სისასტიკისთვის, 30 450 ევროს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. ლაპარაკია სისასტიკეზე, რომელიც თურმე სახელმწიფოს 2000-2001 წლებში ჩაუდენია სექტანტების მიმართ. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე? ვინ და რა ძალები დგანან მათ უკან?**

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მათი მოქმედების აგრესიული ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ყველანაირ ნორმას. მოგეხსენებათ, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულია კონკორდატი, რომლის საფუძველზეც სხვა დომინაციებს პირდაპირ, ხაზგასმით ეკრძალებათ თავიანთი სარწმუნოების ასეთი აფიშირება და ქადაგება.

**რაც შეეხება იმას, თუ რა ძალები დგას მათ უკან, ამას ყველა კარგად ვხედავთ — მათ ჯერ მფარველობდა ნაციონალური ხელისუფლება, რომელიც სინამდვილეში, ხელისუფლება კი არა, გაცოცხილების პარტია იყო. ახლა კიდევ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იღებენ გრანტებს და, იმის ნაცვლად, რომ ქვეყანას დაეხმარონ, ყველანაირად ხელს უწყობენ სატანისტურ სექტებს.** ეს სექტა არის უაღრესად საშიში დესტრუქციული ჯგუფი — ქვეყანას რომ დაჭირდეს, არცერთი მათი წევრი ომში არ წავა, ხელში იარაღს არ აიღებს. მათი ე.წ. რწმენა ეწინააღმდეგება ადამიანურ გაგებას. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ღმერთი პირდაპირ გვავალებს ქვეყნის დაცვას, რაც ბიბლიიდანაც დასტურდება.

**— თუ შეიძლება დააკონკრეტეთ, „ნაციონალების“ მხრიდან სექტანტების მფარველობა რაში გამოიხატებოდა?**

— რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... **გაიხსენეთ, რა გააკეთა სააკაშვილმა ხელისუფლებიდან წასვლამდე მცირე ხნით ადრე, — ყველა რელიგიურ კონფესიას იურიდიული სტატუსი მიანიჭა და მართლმადიდებლობას გაუთანაბრა. ჩემი აზრით, სწორედ ამ მოღალატეობრივი საქციელის შედეგია ევროპის სასამართლოს განაჩენიც.**

— ამ ადამიანებს ისე აქვთ მსოფლიოში ფესვები გადგმული, რომ ევროპის სასამართლოშიც ჰყავთ თავიანთი ხალხი?

— ამათ ჰყავთ ერთი მფარველი — ეშმაკი. საით მიექანება მსოფლიო, კარგად ვხედავთ — ყველანაირად ცდილობენ, ანტიქრისტეს დაუდგან ტახტი. რაც შეეხება ევროსტრუქტურებს, ისინი თვალს ხუჭავენ ერთ მხარეზე და, მეორეზე რაც ხდება, საერთოდ არ რეაგირებენ. **კიევში და მთლიანად უკრაინის ტერიტორიაზე უამრავი მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტერი გადაწვეს, ხოლო სასულიერო პირები ან დახოცეს, ან დღემდე დატყვევებულნი არიან.**

**— ამას რომელი მხარე აკეთებს — ევროინტეგრაციის მომხრე თუ მოწინააღმდეგე?**

— ევოინტეგრაციის მომხრეებზე ვლაპარაკობ. იქ **უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს დევნიან და ამაზე არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ხმას არ იღებს, არც ის ევროპული სასამართლო, რომელმაც იეღოველების გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.**

**— რატომ ღუმან?**

— **მათთვის ამოსავალი წერტილი არის მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა და შევიწროება. მნიშვნელობა არ აქვს, უკრაინული იქნება ის, ქართული, ბულგარული, ბერძნული თუ ა.შ.** აი, ეს არის ყველაფრის მიზეზი და საფუძველი. ყცდილობენ, როგორმე ჩრდილი მიაყენონ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

**— მთლიანად ქრისტიანობა არ არის მათი სამიზნე?**

— მთლიანად ქრისტიანობაზე როგორ შეიძლება ლაპარაკი, როცა წარმოიდგინეთ, **რომის პაპმა და მისმა კარდინალებმა მიიღეს ჰომოსექსუალიზმის შესახებ ენით გამოუთქმელი, ბოროტი კანონი. საუბარია ერთსქესიანებისთვის ქორწინების უფლების მიცემაზე. ნახეთ, როგორ ჩაწერეს: მათ აქვთ ღვთისგან მინიჭებული განსაკუთრებული მადლი, რომელიც მთელ ქვეყანას გამოადგებაო. საინტერესოა, რა მადლზე ლაპარაკობს ეს ხალხი და რით უნდა გამოადგნენ მსოფლიოს ჰომოსექსუალები.**

ეს ერთი. ახლა მეორე: ამ ადამიანმა, **რამდენიმე დღის წინათ რომის პაპმა სიქსტის კაპელა, სადაც კარდინალები რომის პაპს ირჩევენ, ავტოკონცერნ „პორშეს“ გადასცა სამართავად, რომ მისგან მატერიალური სარგებელი მიიღოს.** რა გამოდის, “პორშეს” ახლა შეუძლია, იქ შეიყვანოს მანქანა და გააკეთოს რეკლამა.

გეკითხებით, **რომელ ქრისტიანულ სულისკვეთების ადამიანებზე ვსაუბრობთ? ჭეშმარიტების მატარებელი ამ ქვეყანად მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიაა.**

— თანამედროვე ევროპაში მართლმადიდებლობას ყველაზე მეტად ებრძვიან. ამას წინათ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, მართლმადიდებლობა ისლამურ ფუნდამენტალიზმზე საშიშია, რადგან ახდენს ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ ცნობს სექსუალურ უმცირესობებსო.

— **დღევანდელი დასავლეთი ჩემთვის არის ის ევროპა, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე დიდ მეძავად წარმოგვიდგება, თუმცა დარწმუნებული ვარ, იქ უბრალო ადამიანებს არ მოსწონთ, რაც ხდება, და მათაც თავს მოახვიეს ეს გარყვნილება.** სხვათა შორის, ახლახან წავიკითხე ამერიკაში, თუ არ ვცდები, ნიუ ჯერსიში, მოხდა ასეთი რამ: მოსამართლემ დაწერა განცხადება და თავისი ნებით დატოვა თანამდებობა. მიზეზი იყო ის, რომ დაახლოებით ერთი კვირის წინათ იქ დაკანონდა ერთსქესიანთა ქორწინება. ეს ადამიანი პირდაპირ წერდა: როდესაც მოვდიოდი ამ სამსახურში, ფიცი დავდე, რომ ჩემი სინდისის წინაშე ვიქნებოდი მართალი. დღეს ეს სინდისი მამხელს და არ მაქვს უფლება, მოსამართლის პოსტი მეკავოსო. ამას რატომ ვამბობ: **დარწმუნებული ვარ, ამერიკაშიც და ევროპაშიც უბრალო ადამიანების 80 პროცენტი ასე ფიქრობს.** ამის ნათელი მაგალითი იყო თუნდაც ის ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც პარიზში ტარდებოდა, როცა იქ ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს.

**— თუ უმრავლესობა ასე ფიქრობს, მაშინ როგორ ახერხებს ხელისუფლება მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას?**

**«დღევანდელი დასავლეთი ჩემთვის არის ის ევროპა, რომელიც, სამწუხაროდ, ყველაზე დიდ მეძავად წარმოგვიდგება!»**

— სამწუხაროდ, უმრავლესობის ხმა არ ისმის. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს მართავს რაღაც კორპორაცია, გნებავთ, მსოფლიო ბანკი დაარქვით, გნებავთ, არასამთავრობოები და მათი გეგმით მიდის ყველაფერი. კიდევ ვიმეორებ: **ისინი ანტიქრისტეს უმზადებენ ტახტს.**

რაც შეეხება ამ მიზნის მისაღწევ საშუალებებს, ჯერ კიდევ როდის ამბობდა ნაპოლეონი, ხუთ გაზეთს მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე 100 ათას კბილებამდე შეიარაღებულ ადამიანსო. აი, ესაა პროპაგანდის ძალა და ამ პროპაგანდისტულ იარაღს — მათ კონტროლს დაქვემდებარებულ მასმედიას, ისინი კარგად იყენებენ.

**— დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ახლახან სერბეთში სექსუალურმა უმცირესობებმა აღლუმი ჩაატარეს. იქაც უამრავი მორწმუნე ადამიანი ცხოვრობს და საზოგადოება რელიგიურია, მაგრამ ფაქტია, ეს მოახერხეს. როგორ ფიქრობთ, რიგში შემდეგი საქართველო ხომ არაა?**

— აქ სწორედ ამას ამზადებენ და ყველაფერი კეთდება სიტუაციის მოსამწიფებლად.

არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: **ილიას უნივერსიტეტი არის ეკლესიის მტრების ბუდე!** როცა ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა, იქ ჩატარდა წმენდა და სამსახურიდან გაათავისუფლეს ძველი პროფესორები, რომლებიც საღად აზროვნებდნენ. მათ ნაცვლად კი მოიყვანეს ე. წ. ლიბერალები და უმოკლეს ხანში ეს სასწავლებელი გახდა ეკლესიის მტრების საბუდარი. დღემდე ასე გრძელდება, ისევ ის სატანისტები არიან ლექტორები და ისევ იმ იდეოლოგიით მოქმედებენ, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ჰქონდათ.

**სააკაშვილს, სადაც კი გამოდიოდა, ყველგან ილია ჭავჭავაძის სურათი ეკიდა. ეს იმიტომ, რომ ხალხი შეცდომაში შეეყვანა.** არადა, ილია ამბობდა: საქართველოს ისტორიიდან ამოიღეთ ეკლესიის ისტორია და იქ არაფერი დარჩებაო; ერთ-ერთი ათონელი მამა კი ამბობდა: სკოლებიდან გაიტანეთ ხატები და მიიღებთ დემონების მოსავალსო. ამათმა პირველი, რაც გააკეთეს, სკოლებიდან ხატების გატანის საკითხი დააყენეს. არ გახსოვთ, რას ამბობდა სააკაშვილის საამაყო მინისტრი კახა ლომაია? „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“ და სხვა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები დაძველებული ტექსტებია, რომლებიც არაფერს აძლევს ადამიანსო. „ვეფხისტყაოსანი“ კი გაუგებარ ენაზე ყოფილა დაწერილი. გგონიათ, ეს ყველაფერი შემთხვევით ხდებოდა? ეს იყო ზუსტად იმ ევროპელების, იმ ბანდისა და ხროვის ნაკარნახევი ინსტრუქცია, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ყველაფერს მართავს.

**— თქვით, რომ პროპაგანდისტული საშუალებები მათ ხელშია. ასეთ ვითარებაში რა გზა გვრჩება ჩვენ, ვისთვისაც მიუღებელია ეს ე. წ. ნეოლიბერალური ღირებულებები?**

— არჩევანი გვაქვს: ან მივყვებით უფლის გზას, რომელიც ჭეშმარიტების გზაა, ან ვემორჩილებით პროპაგანდას, რომელიც შთანთქავს ყველაფერს. ჩვენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი და ახლა მიდის მსჯელობა, რას მიიღებს ამით სახელმწიფო. არანაირი მსჯელობა საჭირო არ არის. შეხედეთ, რა ხდება თვითონ ევროპაში.

თუ გვინდა ღვთის უარყოფა და უფლის გმობა, ევროინტეგრაცია ამას გარდაუვალს გახდის. თუ — არა, გამოსავალი არის ერთადერთი — ეს არის რწმენა და სიყვარული ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რელიგიისა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ადამიანებს აიძულებენ, დატოვონ წალკის რაიონი, ამიტომ ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა ამოქმედდეს, სასწრაფოდ გამოარკვიოს, ვინ და რატომ არის ჩაბუდებული წალკაში. თუ ღარიბაშვილის სახელზე დაწერილ პეტიციას რეაგირება არ მოჰყვება, ხალხი მასშტაბურ საპროტესტო აქციებს დაიწყებს".

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წალკაში ძაღლი პატრონს ვერ ცნობს!

**ადამიანის უფლებების დამცველი მერაბ ბლადაძე წალკის ხელისუფლებას კორუფციული სქემის ჩამოყალიბებაში ამხელს და ცენტრალურ ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდებს.**


მერაბ ბლადაძე

— ცოტა ხნის წინათ წალკის რაიონში შევხვდი ეკოემიგრანტ აჭარელ მოსახლეობას, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. ადგილობრივი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს წალკის რაიონიდან აჭარლების გასახლებას. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ ადგილზე გავმართეთ საპროტესტო აქცია. წალკაში ჩასახლებულმა აჭარლებმა პრემიერმინისტრს მისწერეს წერილი, რომელშიც აღწერილია მათი უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა და სთხოვენ, შეიქმნას სპეციალური კომისია არსებული მდგომარეობის შესასწავლად. **ზამთარი კარს მოგვადგა და ხალხს გათბობის საშუალება არ აქვს. წალკის გამგეობის წარმომადგენლებმა კი იმის ნაცვლად, რომ პრობლემა მოაგვარონ, კორუფციული სქემა შეიმუშავეს და ჯიბეს ისქელებენ.**

**— რა კორუფციულ სქემაზე საუბრობთ?**

— გამგეობა ვალდებულია, თავისი რაიონის მოსახლეობას შეღავათიან ფასად მიჰყიდოს შეშა. მოგეხსენებათ, წალკაში ცხოვრობდა უამრავი ბერძენი, რომლებიც 1990-იან წლებში სამშობლოში დაბრუნდნენ. დღეს კი **წალკის გამგეობა ამ შეშას წერს იმ ბერძნულ ოჯახებზე, რომლებიც, 20-25 წელია, საქართველოში აღარ ცხოვრობენ. შემდეგ ამ საბუთით იაფად ყიდულობენ შეშას და ძვირად ყიდიან.** ვიღაცას შეიძლება ეგონოს, რომ უმნიშვნელო თანხაზეა საუბარი, მაგრამ, როდესაც შეკრებთ, სოლიდურ ციფრებს მიიღებთ. **წალკაში კორუფცია ყვავის. გამგეობა მიწებს არ ურიგებს ხალხს, სარჩო-საბადებელი რომ მაინც მოიყვანოს, გარდა ამისა, ადამიანებს ასახლებენ. უკვე 150-მა ოჯახმა დატოვა წალკის რაიონი და ახლახან კიდევ 600-მდე ოჯახს მიუვიდა უწყება მსგავსი მოთხოვნით. არადა, ამ ხალხს წასასვლელი არსად აქვს.**

**— ვის და რატომ სურს ამ ხალხის წალკიდან გაყრა?**

— **წალკის რაიონში, რომელიც აჭარაზე დიდი ტერიტორიაა, მოქმედებს მიწის მაფია, ანუ მიწები განაწილებული აქვს რამდენიმე პირს და ამ ასეულობით ჰექტარ მიწის ნაკვეთებს იჯარით ასხვისებენ.** ამიტომაც არ სურთ, რომ წალკაში აჭარლებმა იცხოვრონ, ამიტომაც არ ურიგებენ ამ ადამიანებს მიწის თუნდაც პატარა ნაკვეთს ან როგორ მისცემენ, მთელი მიწა რამდენიმე ადამიანმა მიისაკუთრა.

**— ვინ არიან ეს ადამიანები?**

— **წალკის დეპუტატი რევაზ შავლოხაშვილი, რომელიც უშველებელ ტერიტორიას ფლობს; ასევე, არის ვინმე ჯიქია; აგრეთვე, რამდენიმე ბერძენი და სომეხიც, რომლებსაც მისაკუთრებული აქვთ წალკის ტბაც.** წალკაში რომ მივდიოდი, რამდენიმე პატარა სოფელი გავიარეთ, დანარჩენი სულ უშველებელი ტრამალებია, დაუსახლებელი პუნქტები და წარმოიდგინეთ, **ამხელა ტერიტორიის რაიონში გლეხებს მიწა არ აქვთ, ბოსტანი მაინც რომ გააშენონ.**

**— შეშის ე. წ. მაფიას ვინ ხელმძღვანელობს?**

— რა თქმა უნდა, გამგებელი **ილია საბაძე** და წალკის გამგეობა. **„ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში წალკის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსი გახლდათ ილია საბაძე, დღეს კი „ოცნებაშია" „გადაპორტირებული" და ამავე რაიონის გამგებელია. სხვათა შორის, სანდო წყაროს ინფორმაციით, ილია საბაძე ფიგურირებს ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციაში, როცა სამი წალკელი ბიჭი მოკლეს.** პროკურატურის დასკვნაში წერია, რომ წალკელ ბიჭებს ფონიჭალაში კუდის თანამშრომლი დახვდა, რომელმაც წაიყვანა და 3 საათის განმავლობაში თბილისში ატარა ისინი, შემდეგ მიიყვანა ნავთლუღის სადგურთან, სადაც ბიჭები დახოცეს. თუმცა პროკურატურის ამ დასკვნაში არ წერია, როგორ მოხვდნენ ეს ბიჭები წალკიდან ფონიჭალაში. **როგორც წყარომ შემატყობინა, უშიშროების იმჟამინდელი უფროსი ილია საბაძეც ჩართული იყო ამ ოპერაციაში, სწორედ ის აწვდიდა თბილისში ინფორმაციას, რომ ეს ბიჭები აქა და აქ იმყოფებიან, ახლა თბილისისკენ წამოვიდნენ ამა და ამ მანქანითო...** ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ეს ბიჭები ერთ-ერთის მოკლულის ბიძამ თავისი მანქანით ჩამოიყვანა თბილისში. **თუ ეს ყველაფერი დამტკიცდა და აღმოჩნდა, რომ ამ ყველაფერში საბაძე მონაწილეობდა, გამოდის, რომ საკუთარ ბიძას ჩააყვანინა ძმისშვილი სასაკლაოზე.**

**«გამგეობა მიწებს არ ურიგებს ხალხს, სარჩო-საბადებელი რომ მაინც მოიყვანონ, გარდა ამისა, ადამიანებს ასახლებენ. უკვე 150 ოჯახმა დატოვა წალკის რაიონი და ახლახან კიდევ 600-მდე ოჯახს მიუვიდა უწყება, რომ სახლები დაცალონ. არადა, ამ ხალხს წასასვლელი არსად აქვს»**


ილია საბაძე

**— საბაძეს რატომ დასჭირდებოდა ამ ბიჭების დახოცვა?**

— საბაძე ნაცსისტემის ნაწილი იყო, რომელიც, რასაც ახალაია უბრძანებდა, იმას აკეთებდა. **თუ დამტკიცდა, რომ საბაძე ნამდვილად მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში, ამიხსნას დღევანდელმა ხელისუფლებამ, როგორ აღმოჩნდა ეს ადამიანი 2012 წლის შემდეგ წალკის გამგებლის პოსტზე. ცხადია, რომ მას ამ ხელისუფლებაში ვიღაც მფარველობს.** ხელისუფლებაში მყოფ გარკვეულ ჯგუფს დათა ახალაიას ექსტრადიცია ხელს იმიტომ არ აძლევს, რომ პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდნენ წალკელი ბიჭების ლიკვიდაციაში. **დღეს იმჟამინდელი უშიშროების თანამშრომლები „ქართულ ოცნებაში" არიან და ამიტომაც არ სურთ დათა ახალაიას საქართველოში ჩამოყვანა — ეშინიათ, რომ ბევრ რამეს იტყვის სასამართლო პროცესზე.**

**«ვინ არის რეკომენდატორი ილია საბაძისა, რომელიც 2012 წლამდე წალკაში «ქართული ოცნების» მხარდამჭერებს დევნიდა და სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წალკას გამგებლად «ქართული ოცნებიდან» მოევლინა?»**



**«წალკის დეპუტატი რევაზ შავლოხაშვილი უშველებელ ტერიტორიას ფლობს»**

გარდა ამისა, **ილია საბაძე ისეთი აჭარელთმოძულეა, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს.** 2004 წელს საბაძე მეგობრებთან ერთად შველზე წავიდა სანადიროდ, თურმე სამიზნეში ჰყოლიათ შველი ამოღებული, რომ ერთ-ერთ აჭარელს ტრაქტორი დაუქოქია. ტრაქტორის ხმაურზე დამფრთხალა შველი და გაქცეულა. **განრისხებულ საბაძეს ავტომატით დაუცხრილია ტრაქტორი და გინებით აუკლია აჭარელი, შენი თათარი დედის ასე და ისეო.** ეს ამბავი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა გააშუქა და მათ არქივში აუცილებლად იქნება. მაინტერესებს, **ვინ არის რეკომენდატორი ილია საბაძისა, რომელიც 2012 წლამდე წალკაში „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს დევნიდა და სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წალკას გამგებლად „ქართული ოცნებიდან" მოევლინა.** სხვათა შორის, ილია საბაძემ არამხოლოდ ეკომიგრანტი აჭარლები, არამედ იქ ჩასახლებული სვანებიც საშინელ დღეში ჩაყარა. **ადამიანებს აიძულებენ, დატოვონ წალკის რაიონი, ამიტომ ხელისუფლება სასწრაფოდ უნდა ამოქმედდეს, სასწრაფოდ გამოარკვიოს, ვინ და რატომ არის ჩაბუდებული წალკაში. თუ ღარიბაშვილის სახელზე დაწერილ პეტიციას რეაგირება არ მოჰყვება, ხალხი მასშტაბურ საპროტესტო აქციებს დაიწყებს.**

აჭარაში ეკომიგრანტების საკითხების შემსწავლელი კომისია არსებობს და ნაცვლად იმისა, რომ პრობლემების მოგვარებაზე იზრუნონ, ტელევიზიით გამოდიან, — ეს ადამიანები დაკმაყოფილებული არიან — ზოგი ოზურგეთში, ზოგიც ადიგენში, მაგრამ მაინც წავიდნენ წალკაშიო. თუ ეკომიგრანტები დაკმაყოფილებული არიან ოზურგეთსა და ადიგენში, რატომღა წავიდოდნენ წალკაში?!

**— ქობულეთში მედრესეს გახსნას რომ აპროტესტებდა ადგილობრივი მოსახლეობა, ამჟამად რა ვითარებაა?**

— ამ საკითხზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან გამართეს მოლაპარაკება და ლერმონტოვის 13-დან ინვენტარი მოქმედ ჯამეში გადაიტანეს. ხელისუფლება დაჰპირდა, რომ ჯამეს გაუფართოებენ.

**— თქვენ ასევე საუბრობდით ვაჰაბიზმის საფრთხეზე აჭარაში.**

— არსებობს ამის საფრთხე. მაგალითად, აჭარიდან რომ გაჰყავთ თურქეთში ბავშვები სასწავლებლად, იქიდან ზოგი მაინც ქართული სულით ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ ბრუნდებიან აგრესიულებიც. მაგალითად, აჭარაში ცხოვრობს ვაჰაბიზმის მიმდევარი თამაზ ჭაღალიძე, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ღია წერილში მუქარით განაცხადა, მუსლიმანთა მტრების სია მაქვს შედგენილიო. ამ სიაში მეც შევუყვანივარ. არადა, როგორ ვიქნები მუსლიმანთა მტერი, როდესაც ჩემი წინაპრები მუსლიმები იყვნენ?! მაგრამ წინააღმდეგი ვარ, ქვეყნის გარედან რომ აფინანსებენ მედრესეებისა და მეჩეთების მშენებლობას. **აჭარაში გაჩნდნენ ვაჰაბიზმის მიმდევრები, ამიტომ, თუ სახელმწიფომ არ გააკონტროლა თურქების თავის ჭკუაზე სიარული, თუ არ დასრულდა ეს ბაკქანალია, მივიღებთ ისეთ ცუდ შედეგს, როგორიც ამჟამად არის პანკისში.** 10-15 წლის წინათ პანკისში თითო-ოროლა ვაჰაბისტი ცხოვრობდა, დღეს კი — რამდენიმე ასეული...

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ნაციონალური მოძრაობის» ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში წალკის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსი გახლდათ ილია საბაძე, დღეს კი «ოცნებაშია» «გადაპორტირებული» და ამავე რაიონის გამგებელია. სხვათა შორის, სანდო წყაროს ინფორმაციით, ილია საბაძე ფიგურირებს ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციაში, როცა სამი წალკელი ბიჭი მოკლეს»**

გეოპოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქვეყანაში არსებული „მეხუთე კოლონის“ საშუალებით დიდი კრიზისის შექმნა სურთ. მთელი რიგი დაფინანსებული ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც თავის დროს ელოდებიან, მზადდება აფეთქება. ისინი ადამიანის ცნობიერების მანიპულაციას ახდენენ და ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ჩვენი მოსაზრებები მოსახლეობამდე მივიტანოთ. ხალხი მძიმე არჩევანის წინაშე დგას. საკმარისია, ერთი შიდა არეულობა და ჩვენ ვერ შევძლებთ სომხეთის სახელმწიფოს შენარჩუნებას“**

# კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი

**18 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში, ბიზნესცენტრ „იმპერიუმ პლაზაში“, ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე — „კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი“. კონფერენციაში სომეხ ისტორიკოსებთან, პოლიტოლოგებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ქართული დელეგაციაც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კონფერენცია ცოტა ხნის წინათ თბილისშიც ჩატარდა. ერევანში კონფერენცია დაიწყო ათწუთიანი ფილმით — „სამხრეთაღმოსავლეთი უკრაინა — 2014“, რომელიც უკრაინაში მიმდინარე შემზარავ მოვლენებს ასახავდა. შემდეგ გაიმართა მსჯელობა კავკასიის რეგიონში მოსალოდნელ საფრთხეებსა და მათი თავიდან აცილების გზებზე.**



კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა **„ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის ხელმძღვანელმა“ არმან ბოშიანმა.** სომეხი ექსპერტის განცხადებით, დასავლეთი თავისი პრობლემების გადასაჭრელად სხვა ქვეყნებს თვითმკვლელობას სთავაზობს, ხოლო, ე. წ. ფერად რევოლუციებს ქვეყნები სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისკენ მიჰყავს: „ე. წ. მაიდანს, რა თქმა უნდა, აქვს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. მთელი პოსტსაბჭოთა ტერიტორია 1991 წლის შემდეგ დიდი ფინანსების წყალობით დასავლეთის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. **დღეს ჩვენს ქვეყნებს, რომელთა საფინანსო სისტემაც სხვა სახელმწიფოს საფინანსო სისტემას ემორჩილება, შეუძლებელია სუვერენული სახელმწიფოები უწოდო.**

უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებ ხალხებში არსებობს სამართლიანი სოციალური უკმაყოფილება, რომელსაც გარკვეული ძალები სათავისოდ იყენებენ. სწორედ ეს ხდება ახლა უკრაინაში. როდესაც რომელიმე ქვეყანა ცდილობს თავისი სუვერენიტეტის აღდგენას, ეკონომიკის, მრეწველობის, მეცნიერების განვითარებას და უნდა, როგორმე გამოვიდეს კოლონიური სისტემიდან, მის მიმართ მაშინვე იწყება მანიპულაციის ტექნოლოგიების გამოყენება და ამით ცდილობენ, ხალხის სოციალური უკმაყოფილება ქვეყნის სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად გამოიყენონ“.

ორგანიზატორის შემდეგ, საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე:**

— „ბოლო პერიოდში, ვადევნებთ რა თვალს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, დგება საკითხი, რა უნდა ვისწავლოთ ჩვენ ამ ყველაფრიდან.

ყველას გვესმის, რომ **კიევის მოვლენები არ არის ლოკალური შემთხვევა, არამედ მხოლოდ ფრაგმენტია იმ პროცესის დასაწყისისა, რომელიც რუსეთის ფედერაციის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან მუდმივი დაძაბულობის კერების შექმნას ითვალისწინებს.** თავის დროზე მოცემული თეორია გაახმოვანა, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ. მასვე უკუთვნის ცნობილი ფრაზა იმის შესახებ, რომ უკრაინის გარეშე რუსეთი ვერ შეძლებს, გახდეს ზესახელმწიფო. ვვარაუდობთ, რომ **„კიევის მაიდნის“ ორგანიზატორებისა და სპონსორების რიგში საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია დგას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს რევანში სწყურიათ და ამ მისწრაფებაში მათ მხარს მათი ამერიკელი კურატორები უჭერენ. ჩვენი რეგიონის სპეციფიკა კი ისეთია, რომ საკმარისია ერთ-ერთ ქვეყანაში ქაოსის ორგანიზება და შემდეგ მათი სხვა მეზობელ ორ ქვეყანაზე გავრცელება ძალიან იოლი იქნება.**

10 სექტემბერს შს მინისტრმა ოფიციალურად დასდო ბრალი სააკაშვილს სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში, აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც, თუმცა, პარალელურად, აშშ-ში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების ვიზიტის შემდეგ, 13 სექტემბერს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოვიდა ოფიციალური განცხადებით და ღიად დაგმო სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. **სააკაშვილს „მნიშვნელოვანი ოპოზიციური ფიგურა“ უწოდეს და განაცხადეს, რომ აშშ საქართველოში დემოკრატიის მხადრაჭერას განაგრძობს, თუმცა საქართველოში კარგად გვესმის და საკუთარ თავზე გამოვცადეთ, რას ნიშნავს „დემოკრატიის მხარდაჭერა“.** მანიპულატორები სარგებლობენ ხალხში დაგროვილი სხვადასხვა უკმაყოფილებით და საპროტესტო განწყობები მათთვის სასურველი მიმართულებით მიჰყავთ. „ვარდების რევოლუციის“ დროსაც ასე მოხდა. **ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხი, „რევოლუციონერების“ მოწოდებით, ქუჩაში გამოვიდა, ელოდა და ითხოვდა რა მათგან უკეთეს ცხოვრებას. ნაცვლად ამისა, ქართველმა ხალხმა მიიღო ციხე და წამებაგამოვლილი უამრავი თანამოქალაქე, ქონების მასობრივად წართმევა, ნაციონალური თვითმყოფადობის, ტრადიციული სარწმუნოების დევნა, წაგებული ომი და დაკარგული ტერიტორიები. დღესდღეობით ანალოგიურ მოვლენებს ვადევნებთ თვალს უკრაინაში. იგივე ელოდება სომხეთსა და აზერბაიჯანს, თუ გარკვეულ ძალებს „კიევის მაიდნის“ განმეორების შესაძლებლობა იქაც მიეცემათ.** ამიტომ აუცილებელია, საზოგადოებამ არ დაუშვას დესტაბილზიაცია. აშშ ცდილობს, იქცეს მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ. დღეს დასავლეთმა, რუსეთთან, ფაქტობრივად, დაიწყო ომი, რომელიც მიმართულია რუსეთის იზოლაციისა და დასუსტებისკენ.

**«არც ერთ საზოგადოებას არ აქვს იმუნიტეტი პროპაგანდის წინააღმდეგ. თუ ეს პროპაგანდა გონივრულად არის მომზადებული, ნებისმიერი საზოგადოება შეიძლება აქციო ზომბად, როგორც ეს გააკეთეს უკრაინაში. სომხეთი გამონაკლისი არ არის»**



**დასავლეთი გულგრილია აზერბაიჯანისა და მისი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მილსადენები და კასპის აუზის ენერგორესურსები,** მათ არ მოსწონთ აზერბაიჯანის კავშირები რუსეთთან და ხელისუფლების თავშეკავებული დამოკიდებულება ნატოსადმი, ამიტომაც დასავლეთი აუცილებლად იზრუნებს „დემოკრატიის დონესა“ და „ადამიანის უფლებებზე“ ამ ქვეყანაში. **დასავლეთს ასევე არ აწუხებს სომეხი ხალხის ბედი, მაგრამ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, ეს კი ნიშნავს, რომ იქ დემოკრატია არ არის. დასავლეთს ასევე არ ადარდებს ქართველი ხალხის ინტერესები, მაგრამ მას სურს საქართველოს ტერიტორია ნატოს ბაზების განსათავსებლად.** სააკაშვილმა შეაშინა ამერიკელები თავისი ფსიქიკური გაუწონასწორებლობით და ის ჩაანაცვლეს უფრო გონიერი პიროვნებებით, მაგრამ, **ვითარებიდან გამომდინარე, ამერიკელებს საქართველოში ზუსტად ფსიქიკურად არანორმალური მმართველი დასჭირდათ.**

დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ **ნებისმიერმა დესტაბილიზაციამ შეიძლება მთელი ამიერკავკასია სისხლიან კონფლიქტამდე მიიყვანოს.**"

კონფერენციას ასევე ესწრებოდა სტუმარი უკრაინიდან, **პოლიტიკის ანალიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე არმან აბოვიანი:**

— „ვფიქრობ, ის, რაც ახლა პოსტსაბჭოთა სივრცეში და არამხოლოდ იქ ხდება, ერთი ჯაჭვის სხვადახვა რგოლია. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ არსებობს ასეთი ცნება — ცივილიზაციური საზღვარი. ახლა სწორედ ჩვენი სისხლის ფასად ხდება ამ საზღვრის მონიშვნა. **მოვლენები, რომლებიც ვნახეთ მაიდანზე, ერთ და ორ წელიწადში არ მომზადებულა, ეს ყველაფერი 23 წლის განმავლობაში მზადდებოდა. გამოიყვანო ადამიანები თანამოქალაქეები და აიძულო, დახოცონ ერთმანეთი, ამას „მორალური და ეთიკური“ ფონის მომზადება სჭირდება. რასაკვირველია, პარალელურად მიმდინარეობდა სექტანტების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის დისკრედიტაცია, ხოლო ნაციონალური იდეის დისკრედიტაცია მაშინ დაიწყო, როდესაც დაიწყეს ჰეროიზირება ისეთი „გმირებისა,“ როგორებიც იყვნენ შუხევიჩი, ბანდერა, რომელთა სინდისზეც ნახევარი მილიონი ქალისა და ბავშვის სისხლია.** დღეს კი კიევის ქუჩაში გამოდიან ადამიანები, რომლებსაც რთულია, უწოდო ფაშისტებიც კი. ისინი მზად არიან, ნებისმიერს სასტიკად გაუსწორდნენ, ვინც მათ შეეწინააღმდეგება და ვინც ევროინტეგრაციის წინააღმდეგია. უკრაინის ხელისუფლება კი ორმაგ და სამმაგ თამაშს თამაშობს.

**არ მინდა, გამოვიყენო სიტყვა რევოლუცია, რადგან ეს არ ყოფილა რევოლუცია, ეს იყო სასაკლაო. საქართველოშიც ასე მოხდა. მოდი, ვთქვათ პირდაპირ: მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო და ახლა მათ შორის მიმდინარეობს საზღვრების დაგდენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავუშვათ, ჩვენი ქვეყნები მათ პოლიგონებად იქცნენ.**

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც ე.წ. დემოკრატიის სპონსორებად გვევლინებიან, მოლაპარაკების უნარი არ აქვთ. მათ, უბრალოდ, არ სურთ მოლაპარაკება, ვინაიდან მათი ამოცანა არ არის უკრაინის, საქართველოს, იუგოსლავიის მთლიანობის შენარჩუნება, ეკონომიკურ-სოციალური გაძლიერება. რატომ დაიწყო ასე მოულდნელად ომი, რა მოხდა? ყველაფერი ბანალურად მარტივია. იმის ნაცვლად, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ რუსულენოვან მოსახლეობასთან, ეკითხათ მათთვის რა არ მოსწონდათ, რით იყვნენ უკმაყოფილოები, მათი დაბომბვა დაიწყეს. არადა, უკრაინული ტელევიზიები ისე გადასცემდნენ, თითქოს სეპარატისტები საკუთარ დედებსა და შვილებს ხვრეტდნენ. **დასავლეთის მიზანია, მხოლოდ საკუთარი გეოპოლიტიკური ამოცანების გადაჭრა ჩვენი ხალხების სისხლის ხარჯზე. ქართველები და სომხები არ არიან 50 ან 100 მილიონი და არ დაუშვათ ეს მანიპულაციები, ვინაიდან ეს თქვენთვის ერისა და ქვეყნის გადარჩენის საკითხია. “**

**არამ საფარიანი, პოლიტიკური ანალიტიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ხელმძღვანელი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა „ინტეგრაცია და განვითარება“:**

— „მე არ დავიწყებ მიმდინარე მოვლენების დაწვრილებით ანალიზს, ერთს ვიტყვი: ცხადია, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი პრორუსულად არის განწყობილი. პროდასავლელები სოლიდურ უმცირესობას წარმოადგენენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი კარგად დაფინანსებულები და ორგანიზებულები არიან. ვფიქრობ, ჩვენ ეს კარგად უნდა გვესმოდეს და ყველამ კარგად უნდა ავუხსნათ საზოგადოებას, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს, რომ, თუ უცებ სომეხ მოსახლეობაში პოლიტიკური ორიენტაციის, ევრაზიულ კავშირში გაწევრების ან ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „საქართველოს მთავრობის ასეთი მიდგომა, რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ფონზე, შეუძლებელია, დასავლეთის ინტერესებში თავსდებოდეს. მათთვის გაცილებით მისაღებია მიხეილ სააკაშვილის ტიპის პოლიტიკოსი, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციის კონტროლს სრულად ემორჩილება და, შესაბამისად, მათთვის მისაღებ პოლიტიკას ატარებს“

◀ სხვა საკითხზე დისკუსია და დიალოგი დაპირისპირებაში გადაიზრდება, რაც ყოველ წუთს მოსალოდნელია, ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დასრულდება. ჩვენ დავკარგავთ სახელმწიფოებრიობას და სომხეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს.“

**სერგეი შაქარიანცი, პოლიტოლოგი:**

— უნდა გვესმოდეს, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც ხელს აწერს ევროკავშირში შესვლაზე, ხელს აწერს გარკვეულ პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე. **დემოკრატია კი ხალხის მმართველობას ნიშნავს და არა ჩვენს ხალხებზე ამერიკის და ევროკავშირის ბატონობას. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ღირებულებების ცვლილებები** — არც ჩვენი ხელისუფლების და არც უცხო ქვეყნების მიმართ. უნდა გავერთიანდეთ, რათა მათ ჩავუშალოთ გეგმა კავკასიის მიმართ.

**რუბენ ბარენცი, პოლიტოლოგი:**

— გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, უკრაინაზე არ შეჩერდებიან და რიგში სამხრეთ კავკასია, მათ შორის კი, პირველ რიგში, სომხეთი დგას. **ქვეყანაში არსებული „მეხუთე კოლონის“ საშუალებით, დიდი კრიზისის შექმნა სურთ. მთელი რიგი დაფინანსებული ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც თავის დროს ელოდებიან, მზადდება აფეთქება. ისინი ადამიანის ცნობიერების მანიპულაციას ახდენენ და ამიტომ ჩვენი ამოცანაა, ჩვენი მოსაზრებები მოსახლეობამდე მივიტანოთ.** ხალხი მძიმე არჩევანის წინაშე დგას. **საკმარისია, ერთი შიდა არეულობა და ჩვენ ვერ შევძლებთ სომხეთის სახელმწიფოს შენარჩუნებას.** პირდაპირ არავინ ეტყვის ხალხს, რომ მიდით, ერთმანეთი დახოცეთო, უბრალოდ, ეტყვიან, რომ მათ გადასარჩენად მოვიდნენ. სწორედ ეს არის მანიპულაცია. ამიტომ უნდა გავიდეთ აქციებზე, შევხვდეთ ხალხს და სიმართლე გავაგებინოთ. ხალხი გრძნობის მეშვეობით იგებს პოლიტიკას და არა ცოდნით, ამიტომ, ვინც ხალხის გრძნობაზე უკეთ იმოქმედებს, ხალხიც მას უჯერებს. მოდი, ვიმუშაოთ ერის სულიერი გადარჩენისთვის, დღეს ეს ჩვენი ამოცანაა.

**კონსტანტინ ტერ-ნაკალიანი, საინფორმაციო პორტალ www.blognews.am მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

— მოკლედ ვიტყვი, რა ხდებოდა საინფორმაციო ველზე და ამ მიმართულებით რა მანიპულაციებს მიმართავდნენ გარკვეული ძალები. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ყველაფერი: თავდაპირველად ახალგაზრდების ჯგუფი, დაახლოებით ათას კაცამდე, ევროინტეგრაციის მოთხოვნით შეიკრიბა მაიდანზე, მაშინ არ ისმოდა მოთხოვნები, პრეზიდენტის გადადგომისა და ენის შესახებ კანონის მიღებას შესახებ, რომლებიც შემდეგ წამოიჭრა. ამ ეტაპზე მასმედია ინერტული იყო და ნახევრად სიმართლეს აშუქებდა. შეიძლება, ვიმსჯელოთ იმავე სერგეი ნიგოიანის მაგალითზე, რომელიც მაიდნის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. ნიგოიანი მაიდნის დიდი პატრიოტი იყო და ის მართლაც მოკლეს, მაგრამ ეს ხალხს ისე მიაწოდეს, თითქოს სერგეი ნიგოიანი მხეცმა „ბერკუტმა“ სასტიკად მოკლა. არც ერთი მედიასაშუალებას არ უთქვამს, რომ ნიგოიანს ცეცხლსასროლი იარაღით მოყენებული ჭრილობა არ ჰქონდა. მაიდანზე ცეცხლსასროლი იარაღივით იყენებდნენ სპეციალურ მაშხალებს და (хлопушки), მეტალის ბურთულებს. რასაკვირველია, „ბერკუტს“ ასეთი რამ არ ჰქონდა. ეს იყო მაიდნის არსენალი, მაგრამ მკითხველიც და მაყურებელიც დარწმუნებული იყვნენ, რომ სერგეი ნიგოიანი „ბერკუტმა“ მოკლა. მეტიც, გადატრიალების მოახლოებისთანავე, პროცესში ჩაერთნენ დასავლური საინფორმაციო სააგენტოები. დეტალებს უკვე ყურადღება აღარ ექცეოდა, მთავარი იყო უზარმაზარი ტალღის ორგანიზება, მთავარი მესიჯი იყო — „ყველაფერი კარგი, ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ.“ **მასმედია, რომლის მოვალეობაცაა, ჯერ შეისწავლოს მოვლენები, დაეყრდნოს სარწმუნო ფაქტებს და მხოლოდ შემდეგ გაავრცელოს ინფორმაცია, პირიქით იქცეოდა.**

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რომ **არც ერთ საზოგადოებას არ აქვს იმუნიტეტი პროპაგანდის წინააღმდეგ. თუ ეს პროპაგანდა გონივრულად არის მომზადებული, ნებისმიერი საზოგადოება შეიძლება აქციო ზომბად, როგორც ეს გააკეთეს უკრაინაში**. სომხეთი გამონაკლისი არ არის. დიახ, ჩვენ არ გვექნება მაიდანი, როგორც ასეთი, მაგრამ გვაქვს მაიდანზე არანაკლები რისკები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ.

**თამარ კიკნაძე, პროფესორი:**

— საბჭოთა კავშირის დაშლა მთელმა რიგმა ფაქტორებმა გამოიწვია, მათ შორის, ამ პროცესზე მთავარი როლი ითამაშა დასავლურმა ელიტამ, რომელმაც საბჭოთა კავშირი შიგნიდან დაშალა. ერთ-ერთი აქტიური მონაწილე საბჭოთა კავშირის დაშლისა იყო ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ვარაუდობდა, რომ მალე რუსეთიც დაიშლებოდა. მე კარგად მახსოვს მისი ინტერვიუები და განცხადებები რუსეთის დაშლის შესახებ. შესაბამისად, ნათლად გამოხატული პროდასავლური კურსი მას გამართლებულად მიაჩნდა. თუმცა, **ვინც რუსეთის ისტორიას იცნობს, კარგად იცის, რომ ამ ქვეყანას ყველაზე კრიტიკული სიტუაციებიდანაც კი შეუძლია, გამოვიდეს და აღდგეს, როგორც როგორც ფენიქსი ფერფლიდან. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და მხოლოდ დასავლეთისკენ ორიენტირებული პოლიტიკამ საქართველო უბედურებამდე და პრობლემებამდე მიიყვანა.**

საბჭოეთის დაშლის შემდეგ გარკვეული ძალების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ ოლიგარქებთან და ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან. **ის მეთოდები, რომლებმაც იმუშავა უკრაინასა და სხვა „ფერადი რევოლუციების“ ქვეყნებში, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ოც წელიწადზე მეტია, საქართველო ტექნოლოგიური ექსპერიმენტის ქვეშ იმყოფება. 2003 წლის რევოლუცია ამ ტექნოლოგიების კარგი მაგალითი იყო.**

ასევე ირონია იყო, ნაციონალური გეწოდებინა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რთულია, იპოვო უფრო მეტად არანაციონალური არაეროვნული ძალა, ვიდრე ისინი. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანად,



**«კიევის მაიდნის» ორგანიზატორებისა და სპონსორების რიგში საქართველო და მთლიანად ამიერკავკასია დგას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს რევანში სწყურიათ და ამ მისწრაფებაში მათ მხარს მათი ამერიკელი კურატორები უჭერენ. ჩვენი რეგიონის სპეციფიკა კი ისეთია, რომ საკმარისია ერთ-ერთ ქვეყანაში ქაოსის ორგანიზება და შემდეგ მათი სხვა მეზობელ ორ ქვეყანაზე გავრცელება ძალიან იოლი იქნება»**



წარსულთან, სიმბოლოებთან და ძეგლებთან ბრძოლა იქცა.

დღეს კავკასიაში მყარდება არცთუ მარტივი სიტუაცია. სამივე რესპუბლიკამ განვითარების სხვადასხვა გზა აირჩია, მაგალითად, საქართველომ ხელი მოაწერა ერვოკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ამგვარ ვითარებაში ლოგიკურია მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესების დაპირისპირება. სწორედ ამიტომ, ასეთ ვითარებაში რეგიონული უსაფრთხოების დაცვა და შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია.“

**ჯონი მელიქიანი, პოლიტოლოგი:**

— რაც დღეს უკრაინაში ხდება, არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის არის ტრაგედია. რაც შეეხება იმას, მოხდება თუ არა იგივე სომხეთში, ვფიქრობ, სომხეთს სხვა სპეციფიკა აქვს და აქ ძალიან რთული იქნება მაიდნის მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცით, ამ ყველაფერში დიდძალი ფული დაიხარჯა. საქართველო-სომხეთის ურთიერთობას რაც შეეხება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვადასხვა ბანაკში ვიყავით, ყოველთვის ვთანამშრომლობდით. ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოებაზე და მინდა, ორ ქვეყანას შორის უფრო განვითარდეს ურთიერთობები, თუმცა პოლიტიკა, მოგეხსენებათ, ცვალებადია და ვერავითარმა მანიპულაციებმა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას ხელი ვერ უნდა შეუშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია რეგიონის აფეთქება.

**მელინე იავრიანი, პრეზიდენტი საზოგადოებრივი გაერთიანებისა „დედაქალაქი ყველასთვის“:**

— მინდა ვთქვა, რომ აუცილებელია სომხეთმა და საქართველომ ვითანამშრომლოთ, რათა შევძლოთ ერთად ბრძოლა იმ ტექნოლოგიების წინააღდეგ, რომლებიც მნიშვნელოვნად მოქმედებენ ჩვენზე და ჩვენს ქვეყნებს ანგრევენ.

**ირაკლი უბილავა, პოლიტოლოგი:**

— უკრაინის პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა, გვესაუბრა საქართველოში მოსალოდნელი პოლიტიკური სიტუაციის გართულებაზე, რადგან საქართველოცა და უკრაინაც აშშ-ის მიერ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების ზონად განიხილება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელმაც თავის საგარეოპოლიტიკურ კურსად ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია გამოაცხადა. თუმცა, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ახალი მთავრობა ცდილობს, რუსეთთან ზომიერი პოლიტიკა აწარმოოს. ეს უკრაინისადმი დამოკიდებულებაშიც კარგად ჩანს. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს, საქართველომ უფრო მწვავე პოზიცია დაიკავოს რუსეთის მიმართ, ივანიშვილ-ღარიბაშვილის ირგვლივ შეკრებილ „ქართულ ოცნებას“ გაწონასწორებული და ნეიტრალური პოზიცია უჭირავს. თუმცა, **საქართველოს მთავრობის ასეთი მიდგომა, რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ფონზე, შეუძლებელია, დასავლეთის ინტერესებში თავსდებოდეს. მათთვის გაცილებით მისაღებია მიხეილ სააკაშვილის ტიპის პოლიტიკოსი, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციის კონტროლს სრულად ემორჩილება და შესაბამისად, მათთვის მისაღებ პოლიტიკას ატარებს.** ამ ვითარებაში აშშ-ისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა საქართველოდან ანტირუსული მეორე ფრონტის გახსნა..

თუ ვიმსჯელებთ, რამდენად შესაძლებელია „კიევის მაიდნის“ განმეორება სამხრეთ კავკასიაში, ყველაზე სუსტ წერტილად, ვფიქრობ, საქართველო გვევლინება. თუმცა მაინც არა მგონია, რომ კიევის მაიდნის მსგავსი პროცესების გამეორება საქართველოში შესაძლებელი იყოს. ვინაიდან **ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც თბილისში მაიდანიზაცია სურს, „ნაციონალური მოძრაობაა“, მაგრამ „ნაციონალებს“ ისეთი პატარა რეიტინგი აქვთ, რომ საეჭვოა, მათ ავანტიურას ვინმე აჰყვეს**. თუმცა, დიდი ალბათობით, განვიხილავ შესაძლებლობას, წავაწყდეთ მთავრობის შეცვლის მცდელობებს. რაც შეეხება სომხეთსა და აზერბაიჯანს, ამ ქვეყნებში მაიდნის განმეორების შესაძლებლობას არ ვუშვებ, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

რეგიონში დღეს ყველაზე ძლიერი სახელმწიფო აზერბაიჯანია, რაც მას საშუალებას აძლევს აწარმოოს ბალანსირებული და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. რაც შეეხება სომხეთს, მართალია, ის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონით ჩამორჩება აზერბაიჯანს, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც მაიდნის განმეორების შესაძლებლობას გამორიცხავს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ყარაბახის კონფლიქტი, რომელიც სომეხი ხალხის ერთგვარი გამაერთიანებელი ფაქტორია.

**ვიქტორ ცაავა, გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის წარმომადგენელი, პოლიტოლოგი:**

— იუგოსლავიის რევოლუცია, კასკადი ფერადი გადატრიალებებისა, მთელი ჯაჭვი არაბული გაზაფხულისა, „უკრაინის მაიდანი“ — ეს მოვლენები მიგვითითებს იმაზე, რომ, უკვე დიდი ხანია, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პროცესი დაიწყო. წესრიგისა, რომელიც, სავარაუდოდ, „გლობალური მართვადი ქაოსის“ მეშვეობით უნდა შეიქმნას და ამის ნიშნები უკვე ცხადად ჩანს. ეს იქნება წესრიგი, რომლის დასკვნითი ეტაპი მსოფლიოზე ჰეგემონია და მის ყველა ბუნებრივ რესურსზე აბსოლუტური კონტროლის დამყარებაა.

აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ერთი ცენტრიდან იმართება. ამის დასტურია ყველა ამ ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო პროცესების განვითარების იდენტური ქრონოლოგია. **სცენარის მიხედვით, ხელისუფლების ოპონენტები და ლიდერები ხდებიან ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდები, რომლებიც, როგორც წესი, ან სწავლობდნენ, ან სტაჟირებას გადიოდნენ ე.წ. დემოკრატიის ინსტიტუტებში.** ამ სცენარების იდენტურობის კიდევ ერთი მაჩვენებელია პოლიტიკური ბრძოლისთვის ინტერნეტის, სოციალური ქსელების გამოყენება. უკრაინაში მიმდინარეობს ახალი ეტაპი ამ თეორიის, მართვადი ქაოსის დანერგვისა, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო და 2013 წელს მთავრობის სისხლიანი გადატრიალებით დასრულდა. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოღა დარჩა, რომლებზეც შეიძლება ითქვას, რომ ისინი ინარჩუნებენ სტრატეგიული დამოუკიდებლობის ნიშნებს. ერთ-ერთ ასეთ სახელმწიფოდ შეიძლება, რუსეთი მივიჩნიოთ.

თავისთავად, რუსეთის საზღვართან ახლო მდებარეობის გამო, უკრაინას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთისთვის. უკრაინის ტერიტორიაზე შეიძლება აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები განთავსდეს, შესაძლებელია, ის გამოიყენო, როგორც პლაცდარმი რუსეთში ლიბერალური გადატრიალების მოსაწყობად. არც ტურჩინოვს, არც იაცენიუკს, არც პოროშენკოსა და არც იაროშს — ამ მარიონეტებს არ ეცოდებათ ადგილობრივი მოსახლეობა. ისინი მზად არიან, მოქალაქეებზე ჩაატარონ ყველაზე სასტიკი ექსპერიმენტები და ქვეყანა ნებისმიერი საერთაშორისო ავანტიურის განსახორციელებლად გამოიყენონ. ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ევროკავშირში გაწევრება ბლეფი და სიცრუეა. **უკრაინის რევოლუცია არის რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციის განსახორციელებლად მიმართული დასავლეთის სისხლიანი ავანტიურა. პოლიტიკურ დასავლეთს საქართველოც სჭირდება, როგორც ინსტრუმენტი რუსეთის წინააღმდეგ და მეტი არაფრისთვის.**

მოამზადა **შორენა ციჰქარაშვილმა**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მსოფლიოში ერთი სახელმწიფოც არ არსებობს, რომელმაც „ფერადი რევოლუციების“ შედეგად რამე შეცვალა. ტერიტორიული მთლიანობა მაინც შეინარჩუნა რომელიმე ქვეყანამ? ამის ერთი მაგალითიც კი არ არსებობს“.**

არმან ბოშიანი:

# კარგად მესმის, რომ სომხეთს თავს არ დაანებებენ

**18 ოქტომბერს ერევანში გაიმართა კონფერენცია თემაზე „კიევის მაიდნის გამოწვევები, როგორც რეგიონის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი“. კონფერენციაზე სომეხმა პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა კიევში მიმდინარე მოვლენები გააანალიზეს და კავკასიის რეგიონში არსებულ საფრთხეებზე იმსჯელეს. „საქართველო და მსოფლიოს“ კონფერენციის ორგანიზატორი, ერევნის გეოპოლიტიკური კლუბის თავმჯდომარე ᲐᲠᲛᲐᲜ ᲑᲝᲨᲘᲐᲜᲘ ესაუბრა.**



**— კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებამ, კიევში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, კავკასიაში მოსალოდნელ საფრთხეებზეც იმსჯელა. არსებობს ერევანში „კიევის მაიდნის“ განმეორების საფრთხე?**

— ვფიქრობ, **ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ „ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲐᲘᲓᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲥ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.** ამას გარდა, სომხეთში ისეთი მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარებულა, როგორიც უკრაინაში, სადაც ამ პროცესებს 23 წლის განმავლობაში ამზადებდნენ. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ სომხეთს თავს არ დაანებებენ. **ᲓᲦᲔᲡ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲓᲒᲐᲛᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲔᲜ, ᲐᲡᲔᲗᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲘᲥᲛᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲐᲛᲑᲝᲮᲘ ᲒᲔᲛᲖᲔ“.** ასე იღებს აშშ სომხეთის ქმედებებს. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, **ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲪᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲝᲜ ᲡᲝᲛᲮᲔᲗ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ. ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘᲗ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲒᲕᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲡᲝᲛᲮᲔᲗ-ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲔᲜ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ, ᲕᲘᲧᲝᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ.** მანიპულაციის ტექნოლოგიები სომხეთში 100%-ით გამოიყენება. მაგალითად, სომხური მედიასაშუალებების უმრავლესობა მთლიანად დასავლეთის კონტროლით მუშაობს.

**— მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საკმაოდ დიდი ძალაა, როგორ აპირებთ მათ საწინააღმდეგო აზრი დაუპირისპიროთ?**

— დიახ, მედია დიდი ძალაა და აღსანიშნავია, რომ მედია არ არის რუსეთის კონტროლქვეშ, პირიქით. ისინი სპეციალიზებულნი არიან მანიპულაციის ტექნოლოგიების დასანერგავად და მათი პროგრამა, მეთოდიკა, მოახდინონ გავლენა ხალხზე, მუშავდება არა სომხეთში, არამედ ქვეყნის გარეთ და, სამწუხაროდ, გავლენას მაინც ახდენს ხოლმე.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, საინფორმაციო ბლოკადაში ვიმყოფებით. სიმართლე ტელეეთერში არ გადის. სიმართლე კი, ის არის, რომ **ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡᲐᲪ, ᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲢᲐᲑᲣᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ.** ერთი ოლიგარქი მეორეს ცვლის, ერთი პოლიტიკური ძალა მეორით იცვლება, მაგრამ პრობლემების გადაჭრის რეალურ გზას არც ერთი არ გვთავაზობს. უბრალოდ, გვეუბნებიან, შეცვალეთ ეს ხელისუფალი მეორითო. თითქოს ყველაფერში მხოლოდ ერთი ადამიანია დამნაშავე. არადა, დამნაშავეა სისტემა — პრობლემა სისტემაშია. დესტრუქციული დეინდუსტრიალიზაცია, რომელიც მოხდა სომხეთში, ეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს. დეინდუსტრიალიზაცია არ ყოფილა მხოლოდ ბელარუსში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამრეწველო წარმოებიდან არაფერი დარჩა.

ეს ძალები ცდილობენ მოსახლეობის სოციალური პირობებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოყენებას, რათა სომხეთში აშშ-ის პირდაპირი მმართველობა დაამყარონ. დღეს ეს მმართველობა არის, მაგრამ ირიბია. სწორედ კორუფციული მექანიზმებისა თუ კორუფცირებული მაღალჩინოსნების საშუალებით, რომლებიც თანხას დასავლეთის ბანკებში ინახავენ, ცდილობენ, ქვეყანაში ამერიკის მმართველობის დამყარებას. კორუფციაში ჩაფლული სახელმწიფო მოხელე, რომელიც ფულს დასავლეთის ბანკში ინახავს, ადვილი სამართავია. ეს არის მართვის უმარტივესი მექანიზმი, მაგრამ ამ ინფორმაციის მიწოდება ხალხისთვის, ამ წრის გარღვევა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან **ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ, ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ.** დარჩა რამდენიმე გაზეთი და ინტერნეტპორტალი. დღეს ინტერნეტი ერთადერთ საშუალებად გვევლინება, სადაც შეიძლება სიმართლე თქვა.

**— მედიაზე მთავრობას გავლენა არ აქვს?**

— არა, მთავრობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე პირდაპირი გავლენა არ აქვს. რა თქმა უნდა, არის ირიბი, არაპირდაპირი გავლენა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, მედია ძირითადად ეკუთვნის ჩვენს ელიტას, ბიზნესმენებს და ისინი, ბუნებრივია, დაკავშირებულები არიან ხელისუფლებასთან, თუმცა, იგივე ელიტა და ბიზნესმენები, ამასთანავე, დაკავშირებულნი არიან დასავლეთთან და გამოდის, რომ ნებისმიერი მცდელობა სიმართლის თქმისა, უთხრა მოსახლეობას, როგორ ატყუებენ, შეუძლებელია. მაგალითად, კორუფციის პრობლემის გადაჭრის გზებზე ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, მაგრამ ეს საკითხიც ტაბუდადებულია.

ჩვენ არ გვაქვს ნორმალური კანონები, აუცილებელია კონსტიტუციური ცვლილებების გატარება. ვიდრე ჩვენთან არ გამოჩნდება პოლიტიკური ძალა, რომელიც იტყვის, რომ აუცილებელია კონსტიტუციის სტრუქტურული ცვლილებები, არაფერი შეიცვლება. აუცილებელია, კონსტიტუციამ უზრუნველყოს ქრისტიანობის დაცვა, სახელმწიფო ბანკი დაემორჩილოს სომხეთის სახელმწიფოს და ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებული იქნას საერთაშორისო ნორმები. სომხეთს აქვს საკუთარი კანონმდებლობა, **ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ?** ეს ხომ არ არის ნორმალური?!

**ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ, ᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘᲐ.** სომხეთი, ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ფაქტობრივად, კოლონიზებულია. შეიძლება ასე ჩანს და ბევრს ჰგონია, რომ სომხეთი პრორუსული ქვეყანაა, მაგრამ სინამდვილეში, დასავლეთის ელიტას მთავრობაში დიდი ლობი ჰყავს, რომელიც დუმს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე. დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა სომხეთში ძალიან ცოტაა.

**ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲐᲪᲘᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ. ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲚᲘᲖᲐᲢᲝᲠᲐᲓ. ᲔᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ.** უკრაინა ამის მაგალითია. ერთი ამოცანაც კი ვერ გადაწყვიტა უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ. **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ „ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ, ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔᲛ?** ამის ერთი მაგალითიც კი არ არსებობს და ყოველივე ამის შემდეგ, რა ვქნათ ჩვენ — სომხებმა? ასე რომ, დღეს ჩვენი ამოცანა ამ საინფორმაციო ბლოკადის გარღვევაა.

**— უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის — იანუკოვიჩის უარმა, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, ქვეყანაში მასობრივი აქციები გამოიწვია. თქვენთანაც არიან ევრაზიული კავშირის მოწინააღმდეგეები. შესაძლოა, რომ ანალოგიური მოვლენები სომხეთშიც განვითარდეს?**

— ევრაზიული კავშირის მოწინააღმდეგეები ჩვენთან ძალიან ცოტაა. უფრო ზუსტად, ასე ვიტყოდი — რეალური მოწინააღმდეგე ცოტაა, დაფინანსებული — ბევრი. არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსდებიან და იღებენ დასავლურ გრანტებს იმისთვის, რომ ევრაზიული კავშირის წინააღმდეგ გამოვიდნენ, თორემ სინამდვილეში ისინი არ არიან წინააღმდეგნი. ეს სულ სხვა რამაა. ისინი თვითონაც მშვენივრად ხვდებიან, რომ სომხეთის ეკონომიკა ორიენტირებულია პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზარზე. ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ და გავყიდოთ ჩვენი პროდუქცია, პოსტსაბჭოთა სივრცეა. თუმცა აქ საქმე მხოლოდ პროდუქციის რეალიზაციაშიც არ არის, საქმე ღირებულებებს ეხება. ჩვენ ვართ ერთიანი ქრისტიანული ცივილიზაციის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, არაქრისტიანი ხალხებიც არიან პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაგრამ მთლიანობაში სომხეთი ისევე, როგორც საქართველო, ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილია.

აქედან გამომდინარე, სომხეთის არჩევანი ევრაზიული კავშირია.

**— რას მიიღებს და რა უპირატესობები ექნება სომხეთს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრების შემთხვევაში?**

— ამ კითხვას უფრო უკეთ ეკონომისტები უპასუხებენ, მაგრამ მე შემიძლია, ვთქვა შემდეგი: ევრაზიულ კავშირში შესვლით, **ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲕᲐᲡ, ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲠᲐᲮᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ.** ეს კი ნიშნავს, რომ შევძლებთ ჩვენი სუვერენიტეტის შენარჩუნებას, ვინაიდან ქვეყნის სუვერენიტეტის ძირითადი საფუძველი სწორედ ეს ღირებულებებია.

**— რა მნიშვნელობა აქვს რეზოლუციას, რომელიც კონფერენციაზე მიიღო დამსწრე საზოგადოებამ?**

— დღეს აქ შეიკრიბნენ პოლიტოლოგები და ექსპერტები და ყველა მივედით საერთო დასკვნამდე. ჩვენ გვესმის მიმდინარე პროცესების არსი და ჩვენი ამოცანაა, ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებით, ჩვენი თვალსაზრისი საზოგადოებამდე მივიტანოთ.

**ესაუბრა ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲘᲕᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**«ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲡᲐᲪ, ᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲢᲐᲑᲣᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲐᲐ»**

**«ᲔᲕᲠᲐᲖᲘᲣᲚ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲮᲕᲔᲕᲐᲡ, ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲠᲐᲮᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲔᲑᲘ ᲓᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ»**

„დანაკარგი იქნება გაცილებით სერიოზული, ვიდრე ახლა ჩანს, რადგანაც რუსეთსა და უკრაინას შორის სავაჭრო კონტრაქტების დონე 17 მილიარდ დოლარს აღწევდა. საწარმოთა დიდი ნაწილი დაკავშირებულია რუსეთთან და, როგორ მოგვარდება ეს საკითხები, არ ვიცი“.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევგენი კოპატკო: უკრაინაში ძალიან დიდი წნეხის ქვეშაა მართლმადიდებლური ეკლესია

**14-16 ოქტომბერს თბილისში რუსულ პოლიტოლოგიურ ცენტრ „Север-Юг“-ისა და არაკომერციული პარტნიორობა „Кавказское сотрудничество“-ს ორგანიზებით გაიმართა მეოთხე რუსულ-ქართული საერთაშორისო მედიაფორუმი — „მედია გლობალური კრიზისების კონტექსტში“. მედიასფეროს ექსპერტებმა რუსეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან ქართველი კოლეგებისთვის უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მულტიმედიური კონტენტის შექმნაში ტრენინგები და მასტერკლასები გამართეს. მედიაფორუმზე უკრაინის კრიზისზეც იმსჯელეს. „საქართველო და მსოფლიო“ ფორუმში მონაწილე რუს და უკრაინელ ექსპერტებს ესაუბრა.**



ევგენი კოპატკო



ნიკოლაი სილაევი

**ევგენი კოპატკო, სოციოლოგი, მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების კომპანია Research Branding Group-ის დამფუძნებელი (უკრაინა):**

— უკრაინა თავის უახლეს ისტორიაში ყველაზე მძიმე სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რომელსაც თან ერთვის სამხედრო კონფლიქტი. მასში მონაწილეობს ათიათასობით უკრაინელი, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. აი, ამ რეალობას ვადევნებთ თვალს. ამასთანავე, ეს კონფლიქტი ერთი ფაზიდან მეორეში გადადის იმიტომ, რომ, სამხედრო წინააღმდეგობის გარდა, რომელიც ფლანგავს ქვეყნის ისედაც მწირ რესურსებს, ყოველდღიურად იღუპებიან ადამიანები. ჩვენი თანამოქალაქეების დანაკარგი უკვე ათასობით ადამიანზე ავიდა — ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა. ეკონომიკურ შედეგებს კი ბოლომდე ვერც ვაცნობიერებთ. ამ კონფლიქტში ჩართულები არიან წამყვანი მოთამაშეები და რუსეთიც არ დგას პროცესის გარეთ, რადგან იგი ჩაითრიეს ამ კონფლიქტში. ჩემი აზრით, რუსეთი არ არის კონფლიქტის ინსპირატორი, ვგულისხმობ საწყის ეტაპს, როდესაც ხდებოდა მაიდნის მოვლენები. ეს იყო უკრაინის მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგობები, იმ ხელისუფლებისა, რომელიც წავიდა. მისი წასვლა ლეგიტიმურად, კონსტიტუციურად მოხდა თუ არა — ეს სხვა საკითხია, მაგრამ... საერთოდ, რა თქმა უნდა, ამას აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ შეიცვალა ხელისუფლება — კონსტიტუციურად თუ არაკონსტიტუციურად, მაგრამ, მეორე მხრივ, მოხდა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაცია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად. ახლა კი ცდილობენ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საბოლოოდ მოახდინონ ხელისუფლების ლეგიტიმაცია. თუმცა აქ არის სერიოზული პრობლემა, ამ პროცესიდან სხვადასხვა მიზეზით გამოთიშულია ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც უკრაინის აღმოსავლეთში ცხოვრობენ. იქ არ არის პოლიტიკური ძალა, რომელიც წარმოადგენდა იქ მცხოვრები ხალხის დიდი ნაწილის აზრს და ნებას. ეს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომელიც მიუთითებს, რომ ხელისუფლების ლეგიტიმაცია ძალიან რთული იქნება. ამასთანავე, დაიწყო ისეთი მოქმედებები, რომლებითაც, მორალური წნეხის გარდა, ფიზიკური ზემოქმედებაც ხდება ადამიანებზე. საზოგადოებაში არის შიშის ფაქტორი, იგი არ ეხება მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს, თუმცა მიმდინარეობს აშკარა წმენდა ოპონენტებს შორის, ანუ დღევანდელ ხელისუფლებას არ ჰყავს ოპოზიცია, რომელიც მას წინააღმდეგობას გაუწევს. ერთპოლარული პოლიტიკაა ერთი პოზიციის ტოტალური მედიური დომინირების პირობებში. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი – გარე მტრის ხატი, რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის სახით. ფორუმის მიმდინარეობისას ქართველებმა ძალიან სწორად აღნიშნეს, რომ რუს ხალხთან ურთიერთობა ძალიან არ შეცვლილა, ხოლო უკრაინაში თითქმის ყველა მტრულად არის განწყობილი. ეს არის დიდი პრობლემა, რომელიც მოსაგვარებელია იმიტომ, რომ უკრაინაში არის რუსული კულტურის მქონე ხალხი, რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელიც გამოდის რუსეთისა და კონკრეტულად პრეზიდენტ პუტინის წინააღმდეგ, რომელიც მათ თვალში ასახიერებს რუსეთის ბოროტ პოლიტიკას. კიდევ რა პრობლემებია? პრობლემა არის ის, რომ უკრაინა კარგავს სუბიექტურობას. ადრეც არ ყოფილა ბოლომდე სუბიექტური, მაგრამ **ახლა, როდესაც მიმდინარეობს სამხედრო კონფლიქტი და იგი დამოკიდებულია გარე მოთამაშეებზე, მოქალაქეთა უმრავლესობა სოციოლოგიური კვლევების დროს აღიარებს, რომ ეს კონფლიქტი რუსეთის გარეშე არ მოგვარდება. ბოლო ხანს ევროპელებსა და ამერიკელებს შორისაც დაიწყო საუბარი უკრაინის პოლიტიკაში ერთმანეთის შეცდომებზე. ამერიკელები ბრალს სდებენ ევროპელებს, რომ მათ უნდოდათ უკრაინის შეყვანა ევოპულ გაერთიანებაში, მიუხედავად რუსეთის განცხადებებისა, რომ ამ ყველაფერს შეუძლია, ქვეყანა გარკვეულ რისკებამდე მიიყვანოს.** კიდევ არის ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც ამტკიცებს იმას, რომ **ფერადი რევოლუციების ამერიკულმა ტექნოლოგიამ ნეგატიური ნაყოფი გამოიღო უკრაინაში.** მესამე არგუმენტია — რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა. აი, ამ ყველაფრის ფონზე ტრიალდება ჩვენი ეროვნული დრამა.

**«ახლა, როდესაც მიმდინარეობს სამხედრო კონფლიქტი და იგი დამოკიდებულია გარე მოთამაშეებზე, მოქალაქეთა უმრავლესობა სოციოლოგიური კვლევების დროს აღიარებს, რომ ეს კონფლიქტი რუსეთის გარეშე არ მოგვარდება. ბოლო ხანს ევროპელებსა და ამერიკელებს შორისაც დაიწყო საუბარი უკრაინის პოლიტიკაში ერთმანეთის შეცდომებზე. ამერიკელები ბრალს სდებენ ევროპელებს, რომ მათ უნდოდათ უკრაინის შეყვანა ევროპულ გაერთიანებაში, მიუხედავად რუსეთის განცხადებებისა, რომ ამ ყველაფერს შეუძლია, ქვეყანა გარკვეულ რისკებამდე მიიყვანოს»**

— **გამოსავალს ხედავთ?**

— ვფიქრობ, რომ ჯერ ბოლომდე არ დავცემულვართ. მოხდება მტრის ხატის შეცვლა, რადგან ამ ხატის ექსპლუატაცია მხოლოდ გარკვეული ხნით არის შესაძლებელი. იქმნება ისეთი ვითარება, რომ ეკონომიკური პრობლემები ქვეყნის შიგნით წინააღმდეგობებს გაამწვავებს. რეგიონებში ხელისუფლების დელეგიტიმაციის პროცესი ჯერ კიდევ წინა წლის შემოდგომაზე მოხდა, როდესაც ქალაქების ადმინისტრაციის შენობებში შევარდნენ და ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ქვეყნის მართვა ძალიან რთულია. გაჩნდა სამხედრო ქვედანაყოფები, რომლებიც არ ემორჩილებიან უმაღლეს მთავარსარდალს, აქვთ საკუთარი პოლიტიკა და საქმე. **ის არჩევნები, რომლებიც ტარდება, რა თქმა უნდა, ტარდება უდიდესი პოლიტიკური, საინფორმაციო და ძალადობრივი წნეხის ქვეშ.**

**2008 წელს, როდესაც საქართველოში კონფლიქტი მოხდა, ჩვენ ვამბობდით, რომ უკრაინა ის სახელმწიფოა, რომელიც ამ სიტუაციაში ყველაზე ფრთხილად მოიქცა. დღეს ეს დრამა ჩვენთან ტრიალებს და ამის შედეგებს კიდევ დიდხანს უნდა ვადევნოთ თვალი, რადგან ქვეყნიდან კოლოსალური აქტივების გადინება ხდება, ასევე აქტიურია ხალხის გადინებაც მცირე ბიზნესიდან.** მცირე ბიზნესი კი ბიუჯეტის საფუძველია. **დანაკარგი იქნება გაცილებით სერიოზული, ვიდრე ახლა ჩანს, რადგანაც რუსეთსა და უკრაინას შორის სავაჭრო კონტრაქტების დონე 17 მილიარდ დოლარს აღწევდა. საწარმოთა დიდი ნაწილი დაკავშირებულია რუსეთთან და, როგორ მოგვარდება ეს საკითხები, არ ვიცი.**

— **რას იტყვით რელიგიურ ომზე უკრაინაში?**

— დიახ, იგი არის. უკრაინაში სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების დაპირისპირება ნამდვილად არის. ამის შესახებ ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ ამას ადვილად დაინახავთ, თუ დააკვირდებით, ვინ ვის უჭერს მხარს. სამწუხაროდ, **უკრაინაში ძალიან დიდი წნეხის ქვეშაა მართლმადიდებლური ეკლესია.**

**ნიკოლაი სილაევი, არაკომერციული პარტნიორობა „Кавказское Сотрдничество“-ს დირექტორი (რუსეთი):**

— ეს უკვე რიგით მეოთხე მედიაფორუმია. სიტყვა „მეოთხე“-ში, რა თქმა უნდა, ინტრიგაცაა. საქმე ის არის, რომ 2010 წლის დეკემბერსა და 2011 წლის ივნისში „Кавказское Сотрудничество“-მ სომხეთში, წახკაძორში ჩაატარა ქართულ-რუსული მედიაფორუმები. როგორც კი მოგვეცა საშუალება, თბილისში 2013 წლის თებერვალში გავმართეთ რუსულ-ქართული ჟურნალისტიკის სკოლა, ახლა კი გადავწყვიტეთ, ამ პროცესისთვის დაგვერქმია ფორუმი, რომელიც ორიენტირებული იყო ახალგაზრდა რუსულენოვან ქართველ ჟურნალისტებზე. ძალიან გვინდოდა, მათთვის ჩვენს ექსპერტებს გაეცნოთ თავიანთი თვალსაზრისი მსოფლიოს ყველაზე მწვავე პრობლემებზე. ამ შემთხვევაში უკრაინისა და ახლო აღმოსავლეთის კრიზისებზეა საუბარი. ეს ის თემებია, რომლებიც რუსეთში ძალიან მწვავედ აღიქმება და ეს არის ის, რაც ეხება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს. ეს ყველაფერი თავისებურად უკავშირდება საქართველოს უახლეს ისტორიასაც.

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

---

ოფიციალური

## დევნილთა სამინისტროში გამოვლენილი დარღვევები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს

**დევნილთა და განსახლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა ახალგორის მუნიციპალიტეტში დევნილი ოჯახების მიმდინარე გეგმური შემოწმებისას გამოავლინა ორი ოჯახი, რომლებმაც სახელმწიფოსგან არამართლზომიერად ორჯერ მიიღო კომპენსაცია.**

ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ოჯახს, რომელმაც 2008 წლის ომის შემდეგ მიიღო კომპენსაცია — 10 000 აშშ დოლარი, 2007 წელს ერთხელ უკვე ჰქონდა მიღებული კომპენსაცია 15 000 აშშ დოლარის ოდენობით. მეორე შემთხვევაში საქმე ეხება ოჯახს, რომელსაც, სახელმწიფოსგან 10 000 აშშ დოლარის მოცულობის კომპენსაციის მიღების მიუხედავად, დაუკანონდა წეროვანში მდებარე საცხოვრებელი კოტეჯი.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იელის უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის დეკანი: „არ ვეთანხმები სტალინის პოლიტიკას, მაგრამ მისი არქიტექტურა გრანდიოზული იყო. ის არის ურბანული სივრცის შესანიშნავი ფორმა. სტალინის ნებისმიერი სახლი მონუმენტურია. მაშინაც კი, თუ ის ჩვეულებრივი საცხოვრებელია და არა ადმინისტრაციული შენობა. სტალინმა იცოდა, რომ საცხოვრებელი ადგილი მშვენიერი უნდა ყოფილიყო. სტალინს ბევრი მიზეზის გამო შეიძლება, „ცუდი ბიჭი“ ვუწოდო, მაგრამ რასაც მას ვერ წაართმევ, არის ის, რომ იგი შესანიშნავად გრძნობდა ქალაქს“.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი და არქიტექტურა

**1947 წელს სტალინი სოჭში ისვენებდა. იქ ისვენებდა მისი თანამებრძოლის — ანდრეი ჟდანოვის ოჯახიც. 10 ნოემბერს სტალინმა თავისთან გამოიძახა ანდრეი ჟდანოვის შვილი — იური, რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ასპირანტურაში სწავლობდა. იური ჟდანოვმა მოკლედ გააცნო უნივერსიტეტში განვლილი სწავლის პერიოდი და ესაუბრა მომავალ პერსპექტივებზე. სტალინმა გულისყურით მოუსმინა ახალგაზრდა მეცნიერს და გამოჰკითხა უნივერსიტეტში, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მოვლენების შესახებ, რაზედაც ახალგაზრდა იური ჟდანოვმა გულწრფელად უპასუხა.**

**ჩაფიქრებულმა სტალინმა ცოტა ხნის შემდეგ თავის თვალსაზრისისა და დასკვნების გადმოცემა დაიწყო:**

„ჩვენში ძალიან ბევრი უნივერსიტეტი გაჩნდა, რომლებშიც სწეავლების დონე ძალზე დაბალია. ისინი კმაყოფილდებიან იმით, რომ გამოუშვან მასწავლებლები და მცირე რაოდენობით სამეცნიერო ხარისხის მაძიებელნი. ჩვენ ასე შორს ვერ წავალთ. სამინისტროებმა და უწყებებმა გახსნეს ინსტიტუტები, რომლებშიც თავიანთი საჭიროებისათვის ამზადებენ სპეციალისტებს — ეს არ არის კარგი. ინსტიტუტებმა და უნივერსიტეტებმა უნდა გამოუშვან სწავლული ადამიანები, რომლებიც მრავალმხრივ იქნებიან განსწავლულნი და ცხოვრებაში რომელი დარგის მიმართაც გამოავლენენ მიდრეკილებას, იმ მიმართულებით უნდა განავითარონ თავიანთი ცოდნა. ჩვენ სასწავლებლებში მხოლოდ სკოლის მერხებიდან არ უნდა მივიღოთ „მწვანე“ ჯეელები, არამედ სასწავლებლად უნდა მივიზიდოთ პრაქტიკოსები საწარმოებიდან, ისინი სწრაფად აითვისებენ თეორიულ ცოდნას, რადგან მათ ეს პრაქტიკულად გავლილი აქვთ.

ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორ ნაწილად გავყოთ. პირველ ნაწილში იქნება ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტები, მეორე ნაწილში კი — ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიისა და იურიდიული ფაკულტეტები.

ძველი უნივერსიტეტი კარგად უნდა გავარემონტოთ და იქ განვათავსოთ უნივერსიტეტის მეორე ნაწილის ფაკულტეტები. პირველისთვის კი ავაშენოთ ახალი უნივერსიტეტი. სწრაფად უნდა განვავითაროთ ფუნდამენტური მეცნიერებები. ჩვენს ქვეყანას გრანდიოზული მომავალი აქვს. ხომ არ აჯობებს, შევქმათ ქიმიის უნივერსიტეტი? — ცოტაა ჩვენში გამრჯე ადამიანები...

ისინი ფიქრობენ: „მე კარგად ვარ, ესე იგი, ყველა კარგადაა“.

უამრავ თემას შეეხო სტალინი სწავლის ხარისხისა და მეცნიერების განვითარების საკითხებზე. საუბარიც გვიან ღამემდე გაგრძელდა“, — იგონებს იური ჟდანოვი.

**1948 წლის დასაწყისში სტალინმა გასცა განკარგულება, პარტიის ცეკას სათანადო განყოფილებას მოემზადებინა საკითხი პოლიტბიუროს სხდომისათვის „საბჭოთა მეცნიერების ტაძრის“ — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აშენების თაობაზე.**

ცეკას განყოფილებამ სასწრაფოდ მოამზადა წერილი მოსკოვში ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტის აშენების აუცილებლობის შესახებ და მთავრობაში შეიტანა. არ გასულა დიდი დრო და წერილის ავტორები მოსკოვის საქალაქო საბჭოში დაიბარეს. აღმოჩნდა, რომ წერილი „მოსსოვეტს“ (მოსკოვის მთავრობის საბჭო) გადაეგზავნა აზრის გამოსათქმელად და ადგილის შესარჩევად. „მოსსოვეტმა“ კი წერილში გამოთქმული მოსაზრებები ყოველგვარი განხილვის გარეშე დაიწუნა. გეგმის მიხედვით, სასწავლო კორპუსების სიმაღლე ოთხ სართულს აღემატებოდა და ათ სართულამდე აღწევდა. ამიტომ შესვენებისას კორპუსებში სტუდენტების გადაადგილება შეუძლებელი გახდებოდა, რადგან მაღლივ კორპუსებში დასამონტაჟებელი ასეთი ძალისა და სისწრაფის ლიფტები იმხანად საბჭოთა კავშირში არ იყო. უნივერსიტეტისთვის ადგილის შესარჩევად ცეკას აპარატის მუშაკები უნივერსიტეტის ახალარჩეულ რექტორთან ერთად მოსკოვის ცენტრიდან უკიდურესად დაშორებულ ადგილას, ახლანდელი ვნუკოვოს აეროდრომის ტერიტორიაზე მიიყვანეს.

სტალინს საქმის გადადება არ უყვარდა და სასწრაფოდ მოიწვია პოლიტბიურო და უნივერსიტეტის აშენებაში დაინტერესებული უწყებები იხმო. „მოსსოვეტის“ წარმომადგენლებმა თავიანთი მოსაზრებები სტალინის წინაშეც გაიმეორეს და ათსართულიანი კორპუსების აშენების სასტიკი წინააღმდეგი წავიდნენ. უნივერსიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები კი მიუღებლად მიიჩნევდნენ ქალაქიდან ასე შორს ახალგაზრდობის გაყვანას.

ცხარე კამათის შემდეგ თათბირის მუშაობა სტალინმა შეაჯამა: თავდაპირველად იკითხა, რას აშენებენ ვორობიოვის გორაზე. უპასუხეს, რომ იქ მაღლივი სასტუმრო კომპლექსი შენდება.

— სასტუმრო მოიცდის, მას სხვაგან ავაშენებთ. ვორობიოვის გორაზე სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა ავაშენოთ. საუნივერსიტეტო კომპლექსის ყველაზე დაბალი შენობა ოც სართულს, უმაღლესი კი ორმოც სართულს უნდა აღემატებოდეს, — წარმოთქვა სტალინმა და მკაცრად გადახედა „მოსსოვეტის“ ხელმძღვანელობას, — შენობები ისე უნდა დაპროექტდეს და განლაგდეს, რომ მისი დანახვა შეიძლებოდეს მოსკოვის



**«მოსკოვის უნივერსიტეტი უნდა იყოს ყველაზე გრანდიოზული მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტთან შედარებით; ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი და ყველაზე კარგად უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საუკეთესო ლაბორატორიებითა და რეაქტივებით. უნდა აღიჭურვოს უმძლავრესი და უსწრაფესი ლიფტებით; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების საერთო საცხოვრებლებით. გასათვალისწინებელია დაოჯახებული სტუდენტებიც»**

ნებისმიერ ადგილიდან. **მოსკოვის უნივერსიტეტი უნდა იყოს ყველაზე გრანდიოზული მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტთან შედარებით. ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი და ყველაზე კარგად უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საუკეთესო ლაბორატორიებითა და რეაქტივებით. უნდა აღიჭურვოს უმძლავრესი და უსწრაფესი ლიფტებით; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების საერთო საცხოვრებლებით. გასათვალისწინებელია დაოჯახებული სტუდენტებიც.**

— რამდენი სტუდენტი ისწავლის ერთდროულად უნივერსიტეტში? — ჰკითხა სტალინმა ახალდანიშნულ რექტორს.

— ექვსი ათასი, ამხანაგო სტალინ.

— უნივერსიტეტს ექნება ექვსი ათასი ოთახი სტუდენტებისთვის.

ვიდრე პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობას იკითხავდა, მოლოტოვმა სიტყვა ჩაურთო და სტალინს მოახსენა: — სტუდენტები მეგობრული საზოგადოებაა, თითო სტუდენტი თითო ოთახში მოიწყენს, ხომ არ აჯობებს, ერთ ოთახში ორმა სტუდენტმა იცხოვროს?

— თანახმა ვარ, იყოს სამი ათასი ოთახი სტუდენტებისთვის, — თქვა სტალინმა და განაგრძო უნივერსიტეტის სწავლებისა და კეთილმოწყობის პროექტის განმარტება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე იქ მიწვეული არქიტექტორებისა და კონსტრუქტორებისთვის.

სტალინი დეტალურად აღწერდა საუნივერსიტეტო კომპლექსის კონსტრუქციულ დეტალებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის უკვე აშენებულ საუნივერსიტეტო ქალაქს უყურებდა და შიგ მოძრაობდა. მასშტაბები კი ისეთი დიდი იყო, რომ მათი წარმოდგენაც კი ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა. **სტალინის იდეა, მოსკოვის პანორამა ცათამბჯენებით მოეფინა, ხორცს ისხამდა. მოინიშნა რვა ცათამბჯენის ადგილი და ჩამოყალიბდა რვა საპროექტო ჯგუფი, რომლებშიც მსოფლიოში სახელგანთქმულ არქიტექტორებთან ერთად სრულიად ახალგაზრდა არქიტექტორთა თაობაც მუშაობდა. საპროექტო ბიუროების მთავარი კონსულტანტი, დავალების მიმცემი და მიმღები კი სტალინი გახლდათ.**

2013 წლის 16 ნოემბერს მოსკოვში ჩასულმა ამერიკელმა არქიტექტორმა, იელის უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის დეკანმა, რომელიც მოსკოვისთვის ამუშავებდა ახალ პროექტს 1930-იანი წლების ამერიკული ცათამბჯენებისა და სტალინური მაღლივი შენობების ელემენტების შერწყმით, ჟურნალისტის შეკითხვებს უპასუხა:

**„არ ვეთანხმები სტალინის პოლიტიკას, მაგრამ მისი არქიტექტურა გრანდიოზული იყო. ის არის ურბანული სივრცის შესანიშნავი ფორმა. სტალინის ნებისმიერი სახლი მონუმენტურია, მაშინაც კი, თუ ის ჩვეულებრივი საცხოვრებელია და არა ადმინისტრაციული შენობა. სტალინმა იცოდა, რომ საცხოვრებელი ადგილი მშვენიერი უნდა ყოფილიყო. სტალინს ბევრი მიზეზის გამო შეიძლება, „ცუდი ბიჭი“ ვუწოდო, მაგრამ, რასაც მას ვერ წაართმევ, არის ის, რომ იგი შესანიშნავად გრძნობდა ქალაქს.**

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სწორედ სტალინის მმართველობის პერიოდში მოსკოვში უამრავი ნიჭიერი არქიტექტორი მუშაობდა და არქიტექტურული შედევრების შექმნით მათი სახელები ისტორიაში დარჩება. მსოფლიოს ვერც ერთი მეტროპოლიტენი მოსკოვისას ვერ შეედრება“.

ასეა, ჩემო მკითხველო, სტალინი არქიტექტურაში თურმე ყველას ჯობია. „ავიაციის მამაა“, „არტილერიის ღმერთია“, „პოლიტიკური ვანგაა“, „უშიშარია ვითარცა უხორცო“, „უჩვეულო ენერგიის გენიოსი და შეუდარებელი მხედართმთავარია“, „შეუდრეკელი ნებისა და ძალის ადამიანია“, „მომნუსხველია“...

**ადამიანის განდიდების რა სიტყვა არსებობს, რომელიც სტალინისთვის არ მიუძღვნიათ... შენ რაღა გემართება, ჩემო ქართველო?!**

მოსკოვის უნივერსიტეტის დამპროექტებელ ჯგუფს, სტალინის დავალებით, უდიდესი არქიტექტორი **ბორის იოფანი** ჩაუდგა სათავეში. თუ რა დატვირთვით მუშაობდა საპროექტო ჯგუფი, ამის აღწერა შეუძლებელია. როდესაც პროექტი შემუშავდა, იოფანმა იგი სტალინს წარუდგინა. გრანდიოზულობით გამორჩეული პროექტი სტალინმა მოიწონა. მაგრამ პროექტის, იოფანის გარეშე, სხვა სპეციალისტებთან განხილვისას სტალინი დარწმუნდა, რომ ცენტრალური კორპუსი, რომელიც გორაკის ციცაბო ადგილზე იყო გადმოკიდებული, შეიძლება კატასტროფის მიზეზი გამხდარიყო, ამიტომ სტალინმა გადაწყვიტა, სტუდენტთა უსაფრთხოების მიზნითა და შენობის სიმყარის შესანარჩუნებლად, ცენტრალური კორპუსი ციცაბო ადგილიდან კომპლექსის ცენტრში გადაეწია. ეს საკითხი სტალინმა ბორის იოფანთან ერთად განიხილა და სთხოვა პროექტის შესწორება.



## 1949 წლის 12 აპრილს მოეწყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის დაწყებისა და ფუნდამენტში პირველი ქვის ჩადების ცერემონია. გავა 12 წელიწადი და ამ სასწავლებელში აღზრდილი ტექნიკური ინტელიგენცია კოსმოსში გაატილებს იური გაგარინს.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





**მოსკოვის უნივერსიტეტმა უამრავი ნაგებობა დაჩრდილა ევროპაში. 36-სართულიანი შენობის სიმაღლემ 236 მეტრს მიაღწია, ხოლო სტალინის ინიციატივითა და გემოვნებით შექმნილმა „წვეტმა“ 50 მეტრი შეადგინა. მასზე დამაგრებული ვარსკვლავის წონამ კი 12 ტონას გადააჭარბა. შენობის კარკასის შესაკრავად 40 000 ტონა რკინა დაიხარჯა, ხოლო კარნიზებისა და კედლებისთვის — 175 მილიონი მაღალი ხარისხის აგური. ერთ-ერთ კოშკზე დამაგრებული საათი ყველაზე დიდია მოსკოვში, მისი ციფერბლატი უჟანგავი ფოლადისგან არის დამზადებული და დიამეტრი 9 მეტრს შეადგენს. გიგანტურია ისრების წონა და სიგრძეც. წუთების ისარი ორჯერ უფრო გრძელია კრემლის კურანტების წუთმზომზე — 4 მეტრს აღწევს და 39 კილოგრამს იწონის. შენობაში განთავსებულია 111 უძლავრესი და უჩქარესი ლიფტი. უამრავი კოლონა კი არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნის**

იოფანი იოლად არ იცვლიდა თვალსაზრისს და კატეგორიულად არ დაეთანხმა სტალინს პროექტის შეცვლაზე. სტალინმა მოსაფიქრებლად ვადა მისცა არქიტექტორს და ორი დღის შემდეგ კვლავ შეხვდა. იოფანი ამჯერადაც შეუვალი აღმოჩნდა. ამიტომ სტალინმა ის უნივერსიტეტის საპროექტო ჯგუფიდან სხვა ჯგუფში გადაიყვანა, ხოლო მის ადგილზე არანაკლებ ცნობილი და გამოჩენილი აკადემიკოსი ლევ რუდნევი დანიშნა.

რუდნევმა გაითვალისწინა რეალური საფრთხე და ცენტრალური კორპუსი, რომლის სიმაღლეც 240 მეტრს აღემატებოდა და იმხანად ევროპაში უმაღლეს შენობად ითვლებოდა, რვაასი მეტრით უკან გადასწია, ხოლო იოფანის მიერ დაპროექტებული ცენტრალური კორპუსის ადგილზე გადასახედი მოედანი დააპროექტა.

**ცენტრალურ კორპუსზე გათვალისწინებული იყო დადგმა გრანდიოზული ბარელიეფისა, რომელზეც გამოსახული იქნებოდა ცისკენ ხელებაპყრობილი ადამიანი — მეცნიერებისაკენ სწრაფვის გამოხატულება. ბარელიეფზე გამოსახული სახე რაღაცით ჰგავდა სტალინს, მაგრამ ეს ბარელიეფი სტალინმა დაიწუნა. მის მაგივრად რუდნევს დაავალა, გაეკეთებინა ისეთივე, მაგრამ უფრო მონუმენტური „წვეტი“, როგორც დანარჩენ მაღლივებს ექნებოდა მოსკოვში.**

დასრულებული პროექტი პოლიტბიურომ დაამტკიცა და გადაეცა მშენებლებს.

**1949 წლის 12 აპრილს მოეწყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის დაწყებისა და ფუნდამენტში პირველი ქვის ჩადების ცერემონია. გავა 12 წელიწადი და ამ სასწავლებელში აღზრდილი ტექნიკური ინტელიგენცია კოსმოსში გაატილებს იური გაგარინს.**

უნივერსიტეტის მშენებლობა გამოცხადდა დამკვრელურ უბნად, მონაწილეობდა 3000-ზე მეტი სტუდენტი-ახალგაზრდა, ამავე პერიოდში მომზადდა დადგენილება საპატიმრო ადგილებიდან იმ ადამიანთა განთავისუფლების შესახებ, რომლებსაც სამშენებლო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდათ, ასეთი ადამიანების რაოდენობამ 10 000 კაცს გადააჭარბა.

პატიმრები განათავსეს 24-ე და 25-ე სართულებზე, რათა უფრო კარგად განხორციელებულიყო მათი დაცვა — არ გამოუყენებიათ მავთულხლართები და საყარაულო კოშკურები, რადგან ამ სიმაღლიდან შეუძლებელი იყო გაქცევა. მაგრამ მომავალი სამეცნიერო ტაძრის აურამ პატიმრებში ნაადრევად გააღვიძა შემოქმედებითი აზროვნება და რამდენიმე გამბედავმა ტუსაღმა ფანერებისგან „ფრთები“ გააკეთა, მავთულებით ტანზე მიიმაგრა, გადაუფრინა მდინარე მოსკოვს და თავისუფალი აღმოჩნდა. ერთი „მფრინავი“ კი სწორედ იქ დაეშვა, სადაც სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები მოძრაობდნენ. „საჰაერო მედესანტე“ სწრაფად შეიპყრეს. მან დაკითხვისას განმარტა, როგორ მოახერხა ამ დიდი სიმაღლიდან კუსტარულად შექმნილი ფრთებით გადმოფრენა. როდესაც ამ შემთხვევის შესახებ სტალინს მოახსენეს, მან საზრიანობისა და გამბედაობისთვის პატიმარი შეიწყალა. პატიმარი კი, თავისი სურვილით, უნივერსიტეტის მშენებლობაზე სამუშაოს დასრულებამდე დარჩა.

**მოსკოვის უნივერსიტეტმა უამრავი ნაგებობა დაჩრდილა ევროპაში. 36-სართულიანი შენობის სიმაღლემ 236 მეტრს მიაღწია, ხოლო სტალინის ინიციატივითა და გემოვნებით შექმნილმა „წვეტმა“ 50 მეტრი შეადგინა. მასზე დამაგრებული ვარსკვლავის წონამ კი 12 ტონას გადააჭარბა. შენობის კარკასის შესაკრავად 40 000 ტონა რკინა დაიხარჯა, ხოლო კარნიზებისა და კედლებისთვის — 175 მილიონი მაღალი ხარისხის აგური. ერთ-ერთ კოშკზე დამაგრებული საათი ყველაზე დიდია მოსკოვში, მისი ციფერბლატი უჟანგავი ფოლადისგან არის დამზადებული და დიამეტრი 9 მეტრს შეადგენს. გიგანტურია ისრების წონა და სიგრძეც. წუთების ისარი ორჯერ უფრო გრძელია კრემლის კურანტების წუთმზომზე — 4 მეტრს აღწევს და 39 კილოგრამს იწონის. შენობაში განთავსებულია 111 უძლავრესი და უჩქარესი ლიფტი. უამრავი კოლონა კი არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნის.**

1951 წლის 6 მარტს სტალინმა თვითონ მისცა დავალება, როგორ უნდა მოწყობილიყო გზები და გამწვანება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თვითონ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა ლავრენტი ბერიას დაავალა.

1949 წელს დაწყებულ მშენებლობას თავიდანვე ყურადღებას აქცევდა და მის მიმართ უდიდეს ძალისხმევას იჩენდა უნივერსიტეტის ახალდანიშნული რექტორი, მსოფლიოში სახელგანთქმული ქიმიკოსი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნესმიანოვი.

1951 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ვავილოვის გარდაცვალების შემდეგ ბელადმა გადაწყვიტა, აკადემიის პრეზიდენტად ალექსანდრე ნესმიანოვი დაენიშნა. როგორც ვერავინ წარადგენდა სტალინის გარეშე გენერალური შტაბის უფროსს, ასევე ვერავინ ჩაერეოდა აკადემიის პრეზიდენტის კანდიდატურის შერჩევაში, რადგან, სტალინს როგორც ქვეყნის თავდაცვა, ასევე მეცნიერება მიაჩნდა თავის ძირითად პრიორიტეტებად. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ერთხმად აირჩია აკადემიკოსი ნესმიანოვი პრეზიდენტად, ხოლო მშენებლობის საბოლოო ეტაპზე მისული უნივერსიტეტის რექტორად, სტალინის განკარგულებით, სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიკოსი **ივანე პეტროვსკი** დაინიშნა, რომელიც გარდაცვალებამდე, 1973 წლამდე, განაგებდა მსოფლიოში უდიდეს „ცოდნის ტაძარს“, რომლის სიდიადე, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე მისი გიგანტურობითა და არქიტექტურის ბრწყინვალებით, ქუხდა მსოფლიოში.

**მკითხველო, წარმოიდგინეთ: სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ მსოფლიოში ყველაზე დიდ სისხლისმღვრელი ომიდან გამოსული გაპარტახებული სახელმწიფო თავის დედაქალაქში აშენებს ცათამბჯენებს, რომლებიც სრულიად არ ჰგავს ამერიკულ, „ასანთის კოლოფების“ მსგავს შენობებს; ქმნის ატომური იარაღის გადამღობ ფარს და იწყებს ატომურ ერას დედამიწის ერთ მეექვსედზე; აშენებს მიწის ზედა და მიწის ქვეშა სასახლეებს, რომლებსაც ბადალი არ მოეპოვება; აერთებს ხუთ ზღვას ერთიან სანაოსნო სისტემაში; გაჰყავს არხები და რწყავს უდაბნოებს; ავითარებს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, კულტურას, განათლებას, მეცნიერებას, სპორტს, იპყრობს კოსმოსს.**

**რა შემართება, რა ძალა, რა მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, გაუძლოს ყოველივე ამაზე ფიქრსა და ოცნებას და შვიდ წელიწადში შექმნას სოციალური თანასწორობის, უფასო ჯანდაცვის, უფასო განათლების, ნაციონალური კულტურისა და ადამიანისთვის სხვა აუცილებელი პირობები?!** მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა არამხოლოდ საბჭოთა კავშირის უპირველესი უმაღლესი სასწავლებელი და კადრების სამჭედლო, არამედ პირველი სამეცნიერო ცენტრი, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სტუდენტობა თუ სამეცნიერო ელიტა იყრიდა თავს. **300 ჰექტარზე გადაჭიმული საუნივერსიტეტო კორპუსები, ბოტანიკური ბაღი, ობსერვატორია და სპორტული მოედნები ქმნის ამ უზარმაზარი სასწავლებლის გაფართოებისა და მისი კვლავ კეთილმოწყობის ნათელ პერსპექტივას, რაც ასევე გათვალისწინებული იყო სტალინის პროექტით.**

უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსი, რომელიც დამშვენებულია საბჭოთა კავშირის სახელგანთქმული მოქანდაკეების — ვერა მუხინასა და ნიკოლოზ ტომსკის ქანდაკებებით და ბარელიეფებით, მუდამ დარჩება ისტორიაში, როგორც სტალინის სამარადისო ძეგლი, რომელიც მრავალი ასეული წლის შემდეგაც გაახსენებს ახალგაზრდობას სტალინის სახელსა და დიად ეპოქას.

**P.S. ათასი მითი და ლეგენდა არსებობა სტალინური ცათამბჯენების შესახებ. ზოგი მათში კოსმოსურ ძალას ხედავს, ზოგიც — ჯადოსნურს. შვიდი მაღლივი შენობა სწორედ კოსმოსურ ძალებთან არის დაკავშირებული, რომელიც გამოცხადებით ჰქონდა სტალინს შთაგონებული. არავინ იცის უნივერსიტეტის მიწისქვეშა საიდუმლოებები, რადგან ერთი და იგივე ადამიანები ერთ ობიექტს არსოდეს ამთავრებდენ, ასევე იცვლებოდა მიწისქვეშა კომუნიკაციების კონსტრუქტორთა შემადგენლობაც და საიდუმლო გასასვლელთა და მიწისქhვეშა ნაგებობების გეგმა — პროექტი მხოლოდ სტალინს უნდა ჰქონოდა სრულიად საიდუმლოდ შენახული. შვიდივე ცათამბჯენს სულ სხვადასხვა ფარული ძალა აქვს, რომელსაც გრძნობენ ამ სასწაულმოქმედი სახლის ბინადარნი თუ მომსახურენი. იმასაც ამბობენ, უნივესიტეტის ცენტრალურ კორპუსს აფეთქება ვერაფერს დააკლებს, რადგან ისეთი მასალისგან არის ნაშენი, რომლის შემადგენლობაც მხოლოდ სტალინის მაგიური ძალით არის შექმნილი.**

სტალინის უკვდავება მის ქმნილებებშია ჩადებული.

# მუგაბემ კვლავ გაანაწყენა აშშ

**ახლახან აშშ-მა ზიმბაბვეს წინააღმდეგ 2003 წელს დაწესებული სანქციების გამკაცრების შესახებ განაცხადა. ეს გადაწყვეტილება მოტივირებულია იმით, რომ ზიმბაბვეს ხელისუფლებამ, პრეზიდენტ რობერტ მუგაბეს მეთაურობით, რუსეთთან კავშირი გაამყარა და მასთან 3-მილიარდი დოლარის გარიგება დადო მსოფლიოში ყველაზე დიდი პლატინის საბადოს — „დარვენდეილის“ —ათვისებაზე.**

**„ეს, უბრალოდ, სასაცილოა“,** — წერს გაზეთ **„ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ნათანიელ მანგერუ, — აშშ უარს ამბობს ჰარარეს (ზიმბაბვეს დედაქალაქი. — რედ.) წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გაუქმებაზე და, ამასთანავე, მისგან მოითხოვს, რომ რუსეთზე ზემოქმედებას მხარი დაუჭიროს... დიდი სურვილი მაქვს, ვუთხრა აშშ-ის მთავრობის წევრებს, რომ წავიდნენ და ბანანის ხეზე თავი ჩამოიხრჩონ!“**

ზიმბაბვეს კომპანია Pen East Investments-მა და სამმა რუსულმა კომპანიამ დააარსეს ახალი კომპანია Great Dyke Investments-ი, რომელმაც პლატინის საბადოს ამუშავების სამმილიარდიანი პროექტი უნდა განახორციელოს. როდესაც პროექტი სრული სიმძლავრით ამოქმედდება, და ეს 2024 წლისთვის იგეგმება, საბადოდან მოპოვებული პლატინის ოდენობა მილიონ უნციას გადააჭარბებს, გარდა ამისა, შეიქმნება 8 ათასი სამუშაო ადგილი.

ცოტა ხნის წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზიმბაბვეში ჩავიდა და ამ ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად ხელი მოაწერა კონტრაქტს პლატინის საბადოს ამუშავების შესახებ. ნათანიელ მანგეhრუ თვლის, რომ სწორედ ამან გაანაწყენა აშშ და მას ზიმბაბვესთვის სანქციების გამკაცრებისკენ უბიძგა.

ცნობილი დისიდენტი, ეკონომისტი მარტინ არმსტრონგი კი წერს: **„ობამა კონტროლს აღარ ექვემდებარება! ცდილობს, თავისი მმართველობა მსოფლიოზე განავრცოს. სწორედ ასე დაემხო ათენის სახელმწიფო. ათენი დიქტატორივით ექცეოდა თავის მოკავშირეებს და ისინი ნელ-ნელა მტრებად ექცნენ — ათენს დაუპირისპირდნენ და სპარტასთან გაერთიანდნენ. სპარტა თითქმის კომუნისტური ქვეყანა იყო, ათენი კი — მეომარი სახელმწიფო, რომელსაც ოლიგარქები და დემოკრატები მართავდნენ“.**

2003 წელს აშშ-მა ზიმბაბვეს პრეზიდენტი მუგაბე ადამიანის უფლებების დარღვევასა და არჩევნების ფალსიფიცირებაში დაადანაშაულა. მუგაბე უარყოფს ბრალდებებს და ამბობს, რომ აშშ-მა მას სანქციები ქვეყანაში მიწის რეფორმის გატარების გამო დაუწესა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


როქსანა დანბარ-ორტიზი

„1970 წელს ჟურნალისტის მიერ მიკრონეზიელების დეპორტაციაზე დასმულ შეკითხვას აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ასე უპასუხა: „იქ მხოლოდ 90 ათასი ადამიანი ცხოვრობს და ვის რაში სჭირდება ისინი?“ — ეს იყო გენოციდის ნებართვის გაცემა.“

# ჩრდილოეთ ამერიკა, როგორც დანაშაულის ადგილი




## მითი აშშ-ის შექმნის შესახებ სიცრუეა. დადგა დრო, გადავხედოთ წარსულსა და აწმყოს

**ამერიკელი ინდიელებისა და მათი მიწების კოლონიზაცია, რომელიც დღესაც გრძელდება, აშშ-ს აძლევს იმ ეკონომიკურ და მატერიალურ რესურსს, რომელიც სჭირდება იმისათვის, რომ მსოფლიოს იმპერიალისტური მზერით აკვირდებოდეს. ეს ფაქტია, თუმცა ყოველთვის ცდილობენ მის მიჩქმალვას. იმან, რაც არსით ახალმოსახლეების კოლონიაა, შექმნა მითი იდეალურ მულტიკულტურულ და მრავალრასობრივ დემოკრატიაზე. ამერიკელი ინდიელების მდგომარეობა, როგორც სუვერენული ხალხებისა, კვლავინდებურად სდევნის აშშ-ს და შავი ნიშანივით ადევს ამ ქვეყნის არსებობას.**

**ჯოდი ბერდი**



### ინდიელთა ქვეყანა

ერთმა ცნობილმა სამხედრო ანალიტიკოსმა პარალელები გაავლო „ინდიელთა ომებსა“ და იმას შორის, რასაც იგი ქვეყნის იმპერიალისტურ წარსულად და მომავლად მიიჩნევს. **რობერტ კაპლანმა** 2005 წელს დაწერილ წიგნში — „იმპერიის ღრენა“ — წარმოადგინა, მისი აზრით, საკმაოდ წარმატებული ოპერაციები შემდეგ ქვეყნებში: იემენი; კოლუმბია; მონგოლეთი და ფილიპინები, აგრეთვე, მთელი რიგი სამხედრო პროექტებისა აფრიკაში, ავღანეთსა და ერაყში. **იმ დროს, როდესაც ამერიკის მოქალაქეები და მათ მიერ არჩეული ბევრი წარმომადგენელი აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდებდნენ მათთვის ცნობილი ინტერვენციების დასრულებისკენ, მათ შორის, ავღანეთსა და ერაყში, კაპლანი მიესალმებოდა ხანგრძლივ სამხედრო ოპერაციებს აფრიკაში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკასა და წყნარი ოკეანის ზონაში. მან შექმნა სწავლება, როგორ უნდა დააწესოს კონტროლი აშშ-მა ამ რეგიონებზე ამბოხებულთა წინააღმდეგ მიმართული ტოტალური და შეუზღუდავი ომებით.**

1952 წელს ნიუ-იორკში დაბადებული კაპლანი პედანტური მკვლევარი და გავლენიანი ავტორია. არის კერძო ანალიტიკური ცენტრის Stratford-ის მთავარი გეოპოლიტიკური სტრატეგი უსაფრთხოების საკითხებში. იყო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მთავარი კონსულტანტი, აგრეთვე, კონგრესის თავდაცვის კომიტეტის წევრი. 2011 წელს ჟურნალმა **Forieg Policy**-მა კაპლანი „მსოფლიოს 100 საუკეთესო მოაზროვნეთა“ შორის დაასახელა. კაპლანი გახდა მთავარი დამცველი მსოფლიოში აშშ-ის ძალაუფლების გავრცელებისა ისეთი ნაცადი საშუალებით, როგორიცაა „ომის წარმოების ამერიკული მეთოდი“. ეს მეთოდი, სამხედრო ისტორიკოს **ჯონ გრენიერის** თქმით, “გამაოგნებელია თავისი სისასტიკით“.

კაპლანი ამტკიცებს, რომ ამერიკის დასავლეთის „ათვისებაში“ აშშ-ის არმიის როლი ახალმოსახლეებთან შედარებით, რომლებსაც სპეცდანიშნულების რაზმებთან აიგივებს, უმნიშვნელო იყო, თუმცა აღიარებს, რომ რეგულარული არმია ძალიან ეხმარებოდა ახალმოსახლეებს ინდიელებთან ბრძოლაში, როდესაც მასობრივად ხოცავდა ბიზონებს და ანადგურებდა პრერიაში მცხოვრებთა სურსათსანოვაგეს, აგრეთვე, თავს ესხმოდა, განადგურების ან დაპატიმრების მიზნით, იმ ინდიელთა ოჯახებს, რომლებიც ახალმოსახლეების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ეს იყო ინდიელთა წინააღმდეგ მიმართული სწრაფი და რეგულარული სამხედრო მოქმედებები, რომლებმაც განსაზღვრეს ამერიკული კოლონიალიზმის ხასიათი. კაპლანის ეს წიგნი კარგად წარმოაჩენს, როგორ მუშაობს აშშ-ის კოლონიალიზმი და მილიტარიზმი.

### დაბრუნება დაკანონებულ წამებებთან

სხეულები, რომლებზეც აღინიშნებოდა წამებისა და სექსუალური ძალადობის კვალი, სხეულები პატიმართა და გარდაცვლილთა — ეს იყო მთავარი თემა ჯორჯ ბუშიუმცროსის ადმინისტრაციის მმართველობის პირველ წლებში, როდესაც შურისძიების ომი დაიწყეს ავღანეთში, შემდეგ კი დაამხეს ერაყის ხელისუფლება.

ამერიკელი სამხედროების წინააღმდეგ მებრძოლ ავღანელებს აპატიმრებდნენ და გისოსებს მიღმა სვამდნენ. მათი უმრავლესობა კი გადაჰყავდათ კუბაში მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზაზე, რომლის ტერიტორიაც აშშ-მა ამ ქვეყანასთან 1898 წლის ომის შემდეგ მიითვისა. იმის ნაცვლად, რომ დაპატიმრებულებისთვის ჟენევის კონვენციის შესაბამისად სამხედრო ტყვეები ეწოდებინათ, მათ „უკანონო შეიარაღებული ქვედანაყოფების წევრები“ უწოდეს და ამით მიანიჭეს სტატუსი, რომლის მსგავსიც ისტორიაში ცნობილი არ არის. **სამხედრო ტყვეებისთვის ამ სტატუსის მინიჭების შემდეგ მათი წამება ამერიკელმა გამომძიებლებმა დაიწყეს. ამ წამებას სინდისის ქენჯნის გარეშე უყურებდნენ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები — ფსიქოლოგები და სამედიცინო პერსონალი.**


კინტპუაში

**«10-სერიიან სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში — «ამერიკის შეერთებული შტატების უცნობი ისტორია» — კინემატოგრაფისტი ოლივერ სტოუნი და ისტორიკოსი პიტერ კუზნიკი სვამენ კითხვებს: «რატომ აქვს ჩვენს ქვეყანას დედამიწის ყველა რეგიონში სამხედრო ბაზა, რომელთა რაოდენობაც, ზოგიერთი მონაცემით, ათასს აღწევს? რატომ ხარჯავს აშშ თავის არმიაზე იმაზე მეტ ფულს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო ერთად აღებული? რატომ აქვს აშშ-ს ათასობით ატომური იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ არც ერთი ქვეყანა არ ემუქრება?»**

კალიფორნიის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორმა **ჯონ იუმ** — აშშ-ის გენპროკურორის თანაშემწემ, 2003 წელს დაწერა ავადსახსენებელი „სამსახურებრივი ჩანაწერი წამების შესახებ“, რომელშიც სტატუსის — „უკანონო შეიარაღებული ქვედანაყოფის წევრი“ — დასასაბუთებლად გამოიყენა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ 1873 წელს გამოტანილი გადაწყვეტილება ინდიელთა ტომის — მოდოკების — დაპატიმრებული წევრების სიკვდილით დასჯის შესახებ.

1872 წელს ინდიელთა ამ ტომის ჯგუფი **კინტპუაშის** (ცნობილი იყო, აგრეთვე **კაპიტანი ჯეკის** სახელითაც) ხელმძღვანელობით შეეცადა, დაბრუნებულიყო მშობლიურ მიწა-წყალზე ჩრდილოეთ კალიფორნიაში, საიდანაც ისინი აშშ-ის არმიამ ორეგონის შტატის რეზერვაციაში გადაასახლა. ამბოხებულთა 53-კაციან ჯგუფს მძინარე ვულკან მაუნტ-ლასენთან ალყა შემოარტყა ათასზე მეტმა ამერიკელმა სამხედრომ და პოლიციელმა **გენერალ კენბის** (კენბიმ სახელი გაითქვა იმით, რომ იბრძოდა სემინოლებისა და ნავახოს ტომებთან, შემდეგ კი მექსიკის დაპყრობის ომში) მეთაურობით, მაგრამ ამერიკელებმა ინდიელებთან ვერაფერი გააწყეს. მოგვიანებით გენერალი და მისი თანხმლები პირები კინტპუაშმა მოკლა.. საპასუხოდ, აშშ-მა 1873 წლის აპრილში კიდევ ათასი ჯარისკაცი გაგზავნა ინდიელთა გასანადგურებლად. ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ, რომელიც აშშ-ს 500 ათასი დოლარი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით 10 მლნ) 400 ჯარისკაცისა და ერთი გენერლის სიცოცხლე დაუჯდა, ინდიელთა ბელადი და მისი რამდენიმე მებრძოლი ტყვედ აიყვანეს. კინტპუაში და მისი მეგობრები ალკატრასის ციხეში ჩამოახრჩვეს. კინტპუაშის გვამს ბალზამირება გაუკეთეს და სხვადასხვა ქალაქში დაატარებდნენ. მოდოკები კი ქვეყნის სხვადასხვა შტატში გადაასახლეს

გენერალ-ლეიტენანტმა ჯონ სკოფილდმა, რომელიც იმხანად წყნარი ოკეანის დივიზიას ხელმძღვანელობდა, თავის მემუარებში დაწერა: „ჭირი, სიცივე და შიმშილი არასაკმარისი სასჯელი იქნებოდა იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩაიდინეს ამ მიწების მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ“.

მოდოკებსა და გუანტანამოს პატიმრებს შორის სამართლებრივი ანალოგიის მოყვანისას ჯონ იუმ გამოიყენა ცნება რომის სამართლიდან — homo Sacer („ადამიანი-წმინდანი“). ეს არის საზოგადოებისგან გარიყული ბოროტმოქმედი, რომელსაც აყრილი აქვს სამართლებრივი უფლებები, მაგრამ სუვერენს მაინც უნდა დაემორჩილოს. ანუ, ნებისმიერს შეუძლია, მოკლას „ადამიანი-წმინდანი“, და ეს დანაშაულად არ ჩაეთვლება. **ამ ლოგიკით, მკვლელობა ნებისმიერი ადამიანისა, რომელსაც „ინდიელს“ დავარქმევთ, შეიძლება, მოვკლათ და ეს უკანონო ქმედება არ იქნება, ინდიელებს კი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ ნებისმიერი ამერიკელი ჯარისკაცის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.**

### მილიტარიზაციის გაძლიერება

არქიპელაგი ჩაგოსი ინდოეთის ოკეანეში მდებარე 60-ზე მეტი ტროპიკული კუნძულისგან შედგება, აფრიკიდან ინდონეზიისკენ მიმავალი გზის შუაში მდებარეობს და ინდოეთს ათასობით კილომეტრით არის დაშორებული. 1968 და 1973 წლებში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ჩაგოსის კუნძულებიდან ძალით გაასახლეს მკვიდრი მოსახლეობა. დეპარტირებულთა დიდი ნაწილი მშობლიური კუნძულებიდან 2 ათასი კილომეტრის დაშორებით მდებარე მავრიკიისა და სეიშელის კუნძულებზე მოხვდა და დღეს უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. **ეს ყველაფერი ჩაგოსის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულ დიეგო გარსიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის შექმნის მიზნით გაკეთდა. გასახლების წინ კი ჩაგოსელები ხედავდნენ, როგორ წვავდნენ დამპყრობლები მათ სახლებს და როგორ წამლავდნენ მხუთავი აირით შინაურ ცხოველებს.**

კუნძულ დიეგო-გარსიის ბაზა აშშ ყველაზე ▶



## «ფლეიბოის» მოდელს 50 ათასი აბი «ექსტაზი» და 40 კგ ნარკოტიკი გადაჰქონდა

**სამართალდამცველებმა ქალაქ სანტა-ანას (კალიფორნიის შტატი, აშშ) აეროპორტში დააკავეს კანადელი მოდელი, რომელსაც ბარგში 50 ათასი აბი MDMA, იგივე „ექსტაზი“ და 40 კგ ნარკოტიკული ფხვნილი უპოვეს.** 30 წლის კრისტა მერილინ ბოსილეი, სანტა-ანაში „ფლეიბოის“ ფოტოსესიაში მონაწილეობისთვის კერძო თვითმფრინავით ლას-ვეგასიდან ჩაფრინდა. ადგილობრივმა სამართალდამცველებმა ბოსილეისთან ერთად თვითმფრინავის პილოტი გილეს ლაპოინტიც დააპატიმრეს. მათ ბრალი დიდი რაოდენობის ნარკოტიკის შენახვა-გადატანაში ედებათ.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄ მძლავრი და საიდუმლო ობიექტია მსოფლიოში. სწორედ იქიდან განხორციელდა ავღანეთსა და ერაყში (ორჯერ) შეჭრა. ამ ბაზიდან ემუქრებიან ამერიკელები ირანს, ჩინეთს, რუსეთსა და ყველა ქვეყანას აფრიკის სამხრეთიდან აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთამდე. იქ იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხე ტერაქტებში ეჭვმიტანილი პირებისთვის. იქ არის ათასობით ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და მილიარდობით დოლარის ღირებულების სასიკვდილო იარაღი.

ჩაგოსელები ერთადერთი ხალხი არ არის, რომელიც მშობლიური კერიდან გააძევეს ამერიკელებმა. **ვიეტნამის** ომის შემდეგ მკვიდრი მოსახლეობა მშობლიური კერიდან აყარეს, იმ ადგილებზე კი, რომლებიც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებად მიაჩნდათ, სამხედრო ბაზები განალაგეს. ასევე მოექცნენ წყნარი ოკეანის სამხრეთში მდებარე **ატოლის კუნძულებისა (ბიკინის)** და **პუერტო-რიკოს კუნძულ ვიეკესის** მოსახლეობასაც. აგრეთვე, იაპონიის **ოკინავასა** და **მიკრონეზიის** მცხოვრებლებსაც. 1970 წელს ჟურნალისტის მიერ მიკრონეზიელების დეპორტაციაზე დასმულ შეკითხვას აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ასე უპასუხა: „იქ მხოლოდ 90 ათასი ადამიანი ცხოვრობს და ვის რაში სჭირდება ისინი?“ — ეს იყო გენოციდის ნებართვის გაცემა.

**XXI საუკუნის დასაწყისში აშშ-ს მსოფლიოში ჰქონდა 900-ზე მეტი სამხედრო ბაზა, მათ შორის, 287 — გერმანიაში, 130 — იაპონიაში, 106 — სამხრეთ კორეაში, 89 — იტალიაში, 57 — ბრიტანეთის კუნძულებზე, 21 — პორტუგალიაში და 19 — თურქეთში. ამ რიცხვში შედის სამხედრო ობიექტები, რომლებიც განლაგებულია არუბაზე, ავსტრალიაში ჯიბუტიში, ეგვიპტეში, ისრაელში, სინგაპურში, ტაილანდში, კირგიზეთში, ქუვეითში, ყატარში, ბაჰრეინში, გაერთიანებულ არაბულ საამიროებში, კვიპროსზე, სიცილიაზე, ისლანდიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჰონდურასში, კოლუმბიაში, კუბაზე (გუანტანამო). კიდევ აქვს აშშ-ს სხვა ობიექტები, რომლებიც განლაგებულია 150 ქვეყანაში, მათ ახლახან დაემატა ობიექტები ერაყსა და ავღანეთში.**

10-სერიიან სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში — „ამერიკის შეერთებული შტატების უცნობი ისტორია“ — კინემატოგრაფისტი **ოლივერ სტოუნი** და ისტორიკოსი **პიტერ კუზნიკი** სვამენ კითხვებს: „რატომ აქვს ჩვენს ქვეყანას დედამიწის ყველა რეგიონში სამხედრო ბაზა, რომელთა რაოდენობაც, ზოგიერთი მონაცემით, ათასს აღწევს? რატომ ხარჯავს აშშ თავის არმიაზე იმაზე მეტ ფულს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო ერთად აღებული? რატომ აქვს აშშ-ს ათასობით ატომური იარაღი, მიუხედავად იმისა, რომ მას უშუალოდ არც ერთი ქვეყანა არ ემუქრება?“

### ჩრდილოეთი ამერიკა, როგორც დანაშაულის ადგილი

აიოვას უნივერსიტეტის თანამშრომელი, ინდიელთა მემკვიდრეობის მკვლევარი **ჯოდი ბერდი** წერს: **„ახალი მსოფლიო წესრიგის ისტორია შემაძრწუნებელია, ამერიკის ისტორია კი — დანაშაულებრივი“.** აუცილებელია, — ამბობს ბერდი, — აშშ-ის მართალ ისტორიაში მოთხრობილი იყოს, რა დაემართა მკვიდრ მოსახლეობას და რა ხდება ახლა მის თავს.

აშშ-ში კოლონიალიზმის ნიშნები ჩანს დაუსრულებელ ომებსა და ოკუპაციაში; იმ ტრილიონებში, რომლებიც, სოციალური მომსახურებისა და ხარისხიანი სახელმწიფოს განათლების ნაცვლად, დახარჯულია შეიარაღებაზე, სამხედრო ბაზებსა და პირად შემადგენლობაზე; კორპორაციების უზარმაზარ მოგებებში — მათგან თითოეულს იმაზე მეტი რესურსი და შემოსავალი აქვს, ვიდრე მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს; იმ აქტივისტების მრავალწლიან რეპრესიებში, რომლებსაც სისტემის შეცვლა სურთ; ღარიბებისთვის თავისუფლების აღკვეთაში, განსაკუთრებით — აფრიკელი მონების შთამომავლებისთვის; თვითმკვლელობის ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, ქალებსა და ბავშვებზე სექსუალური ძალადობის, უსახლკარობის, სკოლიდან გარიცხვისა და იარაღის გამოყენების მაღალ მაჩვენებლებში.”

**ამონარიდები როქსანა დანბარ-ორტისის წიგნიდან „აშშ-ის მკვიდრი ხალხების ისტორია“**

**SALON (აშშ)**



Forieg Policy:

## აშშ თავის შეცდომებზე არ სწავლობს!



**„ამერიკელი პოლიტიკოსები ისტორიის გაკვეთილებს არ ითვალისწინებენ, ამიტომაც ეფლობიან ომებში, რომელთა მოგებაც შეუძლებელია და რომლებიც უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს აშშ-ის უსაფრთხოებაზე“. — წერს საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, პროფესორი გარდონ ადამსი გამოცემა Foriegn Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**

„აშშ-ის ხელისუფლება ვერ უმკლავდება შიგა პრობლემებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც გავლენას ახდენს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, შესაბამისად, არაობიექტურად აფასებენ კონფლიქტების შესაძლო შედეგებს. მაგალითად, ერთ-ერთი სისხლისმღვრელი კონფლიქტის — ვიეტნამის ომის — გაკვეთილებმა ვერაფერი ასწავლა აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ სამხედრო ოპერაციები წამოიწყეს ავღანეთსა და ერაყში, მოგვიანებით კი ახლო აღმოსავლეთის საშინაო საქმეებში ჩაერივნენ.

აშშ-ში ჰგონიათ, რომ იციან, როგორ ჩაახშრონ არეულობები, რა არის საჭირო სახელმწიფოს ასაშენებლად სხვა ქვეყნებში, მაგრამ ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

**«აშშ-ში ჰგონიათ, რომ იციან, როგორ ჩაახშრონ არეულობები, რა არის საჭირო სახელმწიფოს ასაშენებლად სხვა ქვეყნებში, მაგრამ ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს»**

როდისღა უნდა მივხვდეთ, რომ სხვა ადამიანების პრობლემებს მათ ნაცვლად გადაჭრის მცდელობა წამგებიანი სტრატეგიაა და ამერიკისთვის სარგებელი არ მოაქვს?

**აშშ-ის ხელისუფლებამ დროა, შეიგნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტა არ ხელეწიფება, ყოველთვის, როცა აშში ერეოდა პროცესებში, ხელს უშლიდა თურქებს, სირიელებს, იორდანიელებს, ერაყელებს, ეგვიპტელებსა და სხვა ხალხებს კონფლიქტის მოგვარებაში. ჯერჯერობით კი აშშ-ს მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ ან მის წინააღმდეგ გამოდიან“.** — წერს გორდონ ადამსი.

## დამოუკიდებელ გამოცემებს აშშ-ის სპეცსამსახურები «გუგლის» მეშვეობით ბლოკავენ

**დამოუკიდებელი კონსულტანტი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, დოქტორი კრისტოფ ლემანი თავის სტატიაში წერს, რომ დამოუკიდებელი გამოცემები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად და, აქედან გამომდინარე, აშშ-ის ხელისუფლებისთვის არახელსაყრელი რაკურსით აშუქებენ, აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ იბლოკება Google-ს უსაფრთხოების სისტემის მეშვეობით.**



კრისტოფ ლემანი

„გუგლის“ უსაფრთხოების სისტემის ოფიციალურად დეკლარირებული მიზანი მავნე პროგრამების შემცველი ვებგვერდების ბლოკირებაა, თუმცა აშშ-ის სპეცსამსახურები „გუგლის“ მეშვეობით უთვალთვალებენ დამოუკიდებელ რესურსებს, რომლებიც აქვეყნებენ სიმართლეს თეთრი სახლის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებსა და არაკანონიერ ქმედებებზე. **ასეთი ვებგვერდები აშშ-ის სპეცსამსახურებს შეჰყავთ „შავ სიაში“, რის შემდეგაც მათი მოძებნა „გუგლის“ საძიებო სისტემაში ვერ ხერხდება, რადგან დაბლოკილია.**

„გუგლისა“ და აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (ეუს) კავშირების შესახებ მანამდე იყო ცნობილი, ვიდრე ედვარდ სნოუდენი ამ კომპანიის თანამშრომლებისა და ეუს-ის აგენტების საიდუმლო მიმოწერას გამოაქვეყნებდა.




**«ასეთი ვებგვერდები აშშ-ის სპეცსამსახურებს შეჰყავთ «შავ სიაში», რის შემდეგაც მათი მოძებნა «გუგლის» საძიებო სისტემაში ვერ ხერხდება, რადგან დაბლოკილია»**

უფრო მეტიც — ეუს-ის დირექტორს ჯეიმს კლეპერს არაერთხელ მიუწვევია „გუგლისა“ და „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელები დახურულ თათბირზე, რომლის მიმდინარეობისას სოციალური ქსელების მომხმარებლებზე ერთობლივი კონტროლის დაწესებაზე მსჯელობდნენ.

რამდენიმე დღის წინათ კი დოქტორ კრისტოფ ლემანის ვებგვერდმა nsnbc-მ გაფრთხილება მიიღო კომპანია SiteLock-ისგან, რომ, თუკი ამ რესურსიდან 72 საათის განმავლობაში არ აიღებდნენ მავნე შინაარსის სტატიებს, nsnbc „გუგლის“ შავი სიაში მოხვდებოდა.

**ვებგვერდ NSNBC-ს ტექნიკური სამსახურის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ავტორიტეტული რესურსის — VOLTAIRENET-ის 6 სტატია, რომლებშიც მოთხრობილია ახლო აღმოსავლეთსა და უკრაინაში აშშ-ის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებზე, „გუგლის“ მიერ მონიშნული იყო, როგორც „მავნე კოდის შემცველი“. გარდა ამისა, ანალოგიურად იყო მინიშნული ინტერნეტგამოცემა NEO-ს (New Easten Outlook) სხვა ავტორის, ტონი კარტალუჩის წერილი სათაურით — „თეთრი სახლი უარყოფს უკრაინაში მემარჯვენე რადიკალების არსებობას“.**

კრისტოფ ლემანმა სამი წერილი გაუგზავნა კომპანია SiteLock-ს კითხვებით: **„რა მავნე კოდს შეიცავს ვებგვერდზე გამოქვეყნებული წერილები? რა კავშირი აქვს SiteLock-ს „გუგლისთან“? და ვინ არის SiteLock-ის ხელმძღვანელი?“ მაგრამ პასუხი არ მიუღია.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთი დიდწილად შეიცვალა — გლობალიზაციის საცეცები მასაც მისწვდა, რუსი პოლიტიკოსები და ოლიგარქები თავიანთ შვილებს დასავლეთში გზავნიან სასწავლებლად და საცხოვრებლად (ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის წინათ ასე იყო), სიამოვნებით ყიდულობენ ბინებს უცხოეთში და ისვენებენ იქ. მათ დიდწილად მიიღეს დასავლური ფასეულობები და ფსევდოფასეულობები, მაგრამ ეს ყველაფერი არასაკმარისია იმისთვის, რომ საშუალოსტატისტიკურმა რუსმა უარი თქვას პატრიოტიზმზე.**

# დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება



გულბაათ რცხილაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. №35-37 (270-272)

შექმნილ სიტუაციაში ყირიმსა და სევასტოპოლს უფრო გაუმართლათ: მათ ყველაზე ადრე დანიშნეს რეფერენდუმი და მოასწრეს უკრაინის იმ სამხედრო ნაწილების ნეიტრალიზება, რომლებიც ნახევარკუნძულზე იმყოფებოდნენ. რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ხრუშჩოვმა უსაფუძვლოდ ჩამოართვა ნახევარკუნძული და გადასცა უკრაინის სსრ-ს, დაეთანხმა ყირიმელების ამ სურვილს და შეერთება მოხდა მშვიდობიანად, ერთი გასროლისა და მსხვერპლის გარეშე. რა თქმა უნდა, მოსკოვი დაეხმარა ყირიმელებს მშვიდობის შენარჩუნებასა და ექსტრემისტების მხრიდან პროვოკაციების თავიდან აცილებაში რეფერენდუმის წინ — რუსეთის ჯარმა პროფესიონალიზმი გამოავლინა, ზედმეტი ხმაურისა და კონფლიქტების გარეშე დაბლოკა უკრაინის ყველა დანაყოფი ყირიმში. მწვანე კამუფლაჟში ჩაცმულ რუსეთის ელიტურ ჯარისკაცებს, რომლებიც საქმეს ზედმეტი ყვირილის, მუქარის და ხმაურის გარეშე აკეთებდნენ, ხალხში ხუმრობით „მწვანე კაცუნები“ და „თავაზიანი ადამიანები“ შეარქვეს. მათი წვლილი ყირიმში მშვიდობის შენარჩუნებაში უდიდესია.

ისინი არ იყვნენ ოდესაში, არც — დონბასში, ამიტომ უკრაინის სხვა რეგიონებში, რომლებიც გამოვიდნენ „ბანდერელების“ წინააღმდეგ, მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა. რეფერენდუმის ჩატარება მოხერხდა, მაგრამ მშვიდობის შენარჩუნება — არა. კიევის ხელისუფლებამ, განსაკუთრებით პოროშენკოს არჩევის შემდეგ, ივნისში დაიწყო სადამსჯელო ოპერაციების წარმოება, რომელთაც „ანტიტერორისტული ოპერაცია“ დაარქვა. გორლოვკა, დონეცკი, ლუგანსკი და ბევრი სხვა ქალაქი ყოველდღე იბომბება საარტილერიო ცეცხლით, იღუპებიან მშვიდობიანი ადამიანები. დასავლეთს მათი ბედი სრულიად არ აინტერესებს. როგორც პოლიტიკოსები, ისევე მასმედია დუმან. მათ ხმა არ ამოიღეს ოდესის ტრაგედიის გამო (2 მაისს) — თითქმის არ ყოფილა ვრცელი სიუჟეტები დასავლეთის ტელევიზიებსა და პრესაში, დასავლელმა ჟურნალისტებმა გაკვრით ახსენეს, რომ დაპირისპირების შედეგად ოდესაში ხანძარში დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი, მაგრამ ის, რომ ეს ადამიანები შენობაში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს, არსად თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული არხებით გავრცელებული კადრებიდან ეს კარგად ჩანს. დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა, ასევე, „ვერ შენიშნეს“ უამრავი მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობდნენ რეფერენდუმებში, ვერ შენიშნეს მათი ენთუზიაზმი, დიდი სურვილი და რწმენა იმისა, რომ ფაშიზმისგან თავს იხსნიან. გულწრფელად ვაღიარებ, ამ სტრიქონების ავტორს მაშინ არ სჯეროდა, რომ დასავლეთის მასმედიას შეუძლია იგნორირება ან ეჭვის შეტანა 16 მარტისა და 11 მაისის რეფერენდუმებზე ხალხის დიდი მოზღვავების ფაქტებში, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ დასავლეთის ლიდერებმა — აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ და საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა ხმა ამოიღეს სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლზე და მოუწოდეს კიევს, ზედმეტად არ გაერთოს ატო-ს (ანტიტერორისტული ოპერაცია) ჩატარებისას, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა, ფრანგ კოლეგა ფაბიუსთან ერთად, შეძლო რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეების მინისტრების შეხვედრის ორგანიზება ბერლინში, აღნიშნა რა, რომ უკრაინას სჭირდება „საგზაო რუკა“ ცეცხლის შეწყვეტისა და სტაბილიზაციის შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან გვიან მოხდა, აგვისტოს შუა რიცხვებში, როცა დონბასი უკვე სისხლისგან იცლებოდა და რუსეთმა იქ სატვირთო მანქანების კოლონა გაგზავნა მოსახლეობის დასახმარებლად.

საბჭოთა კავშირის პერიოდში დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები, ყირიმისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, ისინი უკრაინის სსრ-ის ნაწილს წარმოადგენდნენ. ამიტომ რუსეთს არ ჰქონდა არავითარი იურიდიული საბაბი, რომ იქ სამშვიდობო ძალები შეეყვანა, თავის საზღვრებთან ომისა და ქაოსის თავიდან აცილების მიზნით, მით უმეტეს, ეს ტერიტორიები მიეერთებინა. ეს განსხვავება აღნიშნა 2014 წლის მარტში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. **შესაძლოა, ეს პუტინის პოლიტიკური შეცდომაა და საჭირო არ იყო იურიდიული საკითხებით ხელების შებოჭვა, როცა საქმე ეხება მოახლოებულ ჰუმანიტარულ კატასტროფას, მაგრამ პუტინი მოიქცა საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით და არა პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა, შესაძლებელია, რომ ის პოლიტიკურადაც მართალია და აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარის შეყვანის დაჩქარება საჭირო არ იყო** — ეს რუსეთს ეკონომიკურად დაასუსტებდა.

სხვათა შორის, დასავლეთის სანქციები რომც არ ყოფილიყო, ყირიმის შეერთებაც საკმაოდ ძვირი უჯდება რუსეთს. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ რუსეთს არ სჭირდებოდა უკრაინისთვის ყირიმის წართმევა და ამისკენ მას თვითონ კიევმა უბიძგა. პრეზიდენტ პუტინის თქმით, სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში და აქცენტების მკვეთრი ცვლილება რევოლუციური ცვლილებების შედეგად, ასაბუთებს საზღვრების კორექტირების შესაძლებლობას (მხედველობაში ჰქონდა ყირიმი), რადგან რევოლუციის შედეგად ჩვენ საქმე გვაქვს უკვე სხვა სახელმწიფოსთანო. „ასე იყო რუსეთის შემთხვევაშიც 1917 წელს, როცა რუსეთის იმპერიის ნაცვლად, წარმოიქმნა ახალი სახელმწიფო, რომელმაც გამოიწვია ძველი საზღვრების ცვლილება“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ზემოაღნიშნულ პრესკონფერენციაზე.




„თავაზიანი ადამიანები“

**კიევმა, ფაქტობრივად, სილა გააწნა თბილისს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ: დონბასის მცხოვრებნი იმავე ავანტიურისტებისგან იცავენ თავს, რომლებიც უფრო მეტად აფასებენ «ნაციონალებთან» მეგობრობას, ვიდრე საქართველოსთან**

## პუტინი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ხოლო ახლა 2014 წელია და არა – 1999

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ეტაპობრივი შემოღება და გამკაცრება მიზნად ისახავდა რუსეთის ლიდერისა და მისი გარემოცვის დაშინებას. შეზღუდვები შეეხო, პირველ ყოვლისა, რუსეთის ბანკებსა და მსხვილ კომპანიებს, რომლებიც მოიპოვებენ და გადაამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს. რუსეთმა არ უნდა მიიღოს ტექნოლოგიები თავისი ენერგეტიკული პოტენციალის და, რა თქმა უნდა, სამხედრო სექტორის გასავითარებლად. აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ბანკების და კომპანიების სია, რომლებსაც სანქციები შეეხო, საქმის ცოდნით არის შედგენილი, რათა მოხდეს რუსეთის ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარების შეფერხება. გარდა ამისა, ცალკეულ რუს მაღალჩინოსნებს, პოლიტიკოსებს, სამხედროებსა და ბიზნესმენებს აეკრძალათ ევროკავშირსა და აშშ-ში შესვლა, მათ ანგარიშებს დასავლეთის ბანკებში დააყადაღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ **სანქციები საკმაოდ სერიოზულია, თუმცა ეს მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც დასავლეთს შეუძლია, ეს კი ვერ შეაფერხებს რუსეთის განვითარებას. დიახ, საჭირო იქნება გარკვეული დრო, რათა რუსეთი გადაერთოს პარტნიორობის გაღრმავებაზე აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან და, პირველ რიგში, საკუთარი მრეწველობა და მაღალი ტექნოლოგიები განავითაროს. თუკი ეს ყველაფერი ხერხდებოდა საბჭოთა პერიოდში, ახლა რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება?!** რეალურად **დასავლეთმა უბიძგა რუსეთს, გააძლიეროს ავტარკია, თვითკმარობა და გამოვიდეს გლობალიზაციური პროცესებიდან, რომლებიც დიდწილად თავსმოხვეული იყო მისთვის სსრკ-ის დაშლის შემდეგ.** პირველ რიგში, საუბარია საკუთარი წარმოების განვითარებაზე უდიდესი შიგა ბაზრის დასაკმაყოფილებლად. **რუსი მწარმოებლები უკვე სიხარულით უყურებენ სანქციებს, რადგან ეს მათი შანსია, საკუთარი თავი წარმოაჩინონ. სანქციებმა გარკვეული დისკომფორტი შეუქმნეს ბანკებსა და მსხვილ კორპორაციებს, რომლებსაც ბიზნესი დასავლელ პარტნიორებთან ჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეწყვეტს არსებობას სანქციების გამო.**

ყურადღება, აგრეთვე, უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: სანქციები მაქსიმალურ დისკომფორტს უქმნიან რუს ოლიგარქ-მილიარდერებს, რომლებიც ასე თუ ისე დაახლოებული არიან პრეზიდენტთან. დასავლელი პოლიტიკოსების გათვლა ამ დროს, როგორც ჩანს, ხდებოდა იმაზე, რომ პუტინის უახლოესი გარემოცვა მასზე ზემოქმედებას მოახდენდა უკრაინაში პოლიტიკის შეცვლის მიზნით. მეორე მხრივ, დასავლეთში იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის მოქალაქეების საცხოვრებელი პირობები გაუარესდებოდა და ხალხი პრეზიდენტისგან დათმობებს მოითხოვდა. ამგვარი ეიფორიული განწყობები გამოსჭვივოდა დასავლური მასმედიის ბევრ სტატიასა და რეპორტაჟში.

რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა. პუტინის გარემოცვა არ აჯანყდება სანქციების გამო, პუტინმა ჯერ კიდევ შარშან ყველა გააფრთხილა: სახელმწიფო მოხელეებს არ უნდა ჰქონდეთ უძრავი ქონება და ანგარიშები უცხოეთში! ამით ისინი უცხო ქვეყნებზე დამოკიდებული ხდებიან. პუტინის გაფრთხილებას უკვალოდ არ ჩაუვლია, ბევრმა შეძლებულმა ადამიანმა რუსეთში, რომლებიც, ამასთანავე, სახელისუფლო ელიტის წარმომადგენლებიც არიან, დასავლეთის საბანკო და სასამართლო სისტემების „დამოუკიდებლობის“ რეალური ფასის გაანალიზების შემდეგ თავისი ქონების შენახვაზე იზრუნა, რომ არ გამხდარიყვნენ დასავლური პოლიტიკის მხრიდან შანტაჟის ობიექტები. რაც შეეხება ხალხს: დასავლეთის სანქციებმა ვერ გამოიწვია რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობების საგრძნობი გაუარესება; პროდუქტების უმნიშვნელო გაძვირება, იძულებითი განშორება ყველის ევროპულ სახეობებთან და ა. შ.

**დავუშვათ, დასავლურმა სანქციებმა რამდენადმე გააძლიერა ინფლაცია და სხვა ნეგატიური პროცესები რუსეთის ეკონომიკაში, საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ დასავლეთში რუსებისა და მათი ხელმძღვანელობის რეაქცია? მაგალითად, გაძვირდა არაყი და ძეხვი, რა მოხდება ამის შემდეგ — რუსები შეიკრიბებიან წითელ მოედანზე და პუტინისგან მოითხოვენ ყირიმის დაბრუნებას უკრაინისთვის, ხოლო დონბასში მართლმადიდებლების მიტოვებას ბედის ანაბარა?**

**ან იქნებ თვითონ პუტინი გამოვა ამგვარი ინიციატივებით, წითელ მოედანზე საპროტესტო აქციების გარეშეც?**

**თუ პუტინი ადგილს დაუთმობს გორბაჩოვს და ის მორიგ „პერესტროიკას“ ჩაატარებს და სახელმწიფოს დაშლის? — რა თქმა უნდა, არაფერი მსგავსი არ შეიძლება მოხდეს. რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაიხევს უკან, ხოლო პუტინის ქმედებები კიდევ უფრო გამკაცრდება.** მხოლოდ ერთია გასაკვირი: დასავლეთში რუსეთს თითქოს სწავლობენ, მათ ჰყავთ რუსეთის სპეციალისტები სხვადასხვა დარგში — ანალიტიკოსები, მკვლევარები, აგენტები, რომლებიც ინფორმაციას მოიპოვებენ და სხვა სასარგებლო ადამიანები. ნუთუ ასე გაუგებარია რუსი ხალხისა და მისი ▶

**უკრაინა რჩება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა პლაცდარმად, მათ იქ იწვევენ „რეფორმების გამოცდილების გასაზიარებლად“ და ყველა საშუალებას აძლევენ, ძირგამომთხრელი საქმიანობა აწარმოონ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც უარი თქვა მათ „რეფორმებზე“. უფრო მეტიც, „მაიდნის“ ხელისუფლების წარმომადგენლები ისე გათავხედდნენ, რომ თბილისში კრიმინალი მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე ოდიოზური იური ლუცენკო გამოგზავნეს, რომელიც ბედავდა სასამართლო პროცესში ჩარევას და მოსამართლის მიმართ მუქარას.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლიდერის — ვლადიმერ პუტინის ხასიათი? ნუთუ დასავლეთში დაიჯერეს, რომ რუსეთი დაიხევს ამ სამარცხვინო ზემოქმედებით? დიახ, **რუსეთი დიდწილად შეიცვალა — გლობალიზაციის საცეცები მასაც მისწვდა, რუსი პოლიტიკოსები და ოლიგარქები თავიანთ შვილებს დასავლეთში გზავნიან სასწავლებლად და საცხოვრებლად (ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის წინათ ასე იყო), სიამოვნებით ყიდულობენ ბინებს უცხოეთში და ისვენებენ იქ, მათ დიდწილად მიიღეს დასავლური ფასეულობები და ფსევდოფასეულობები. მაგრამ ეს ყველაფერი არასაკმარისია იმისთვის, რომ საშუალოსტატისტიკურმა რუსმა უარი თქვას პატრიოტიზმზე.** მორწმუნე მართლმადიდებელი ადამიანების რაოდენობა რუსეთში იზრდება, მათ შორის, არმიაში. გაძლიერდა პატრიოტული სული — ახალგაზრდობაშიც კი. ტყუილად როდი სცემენ რუსეთში განსაკუთრებულ პატივს დიდი სამამულო ომის ხსოვნას და მის ვეტერანებს, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. რუსული წვეულებების ზედმეტობები, დიდ ქალაქებში სტრიპტიზბარებისა და გეიკლუბების არსებობა არ უნდა გახდეს მცდარი დასკვნის მიზეზი: **რუსეთი ცოცხალი ორგანიზმია, მისი ქრისტიანული და ნაწილობრივ მუსლიმანური შემადგენელი უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლური „გლობალიზაციის“ დანალექები. რუსეთი იყო და არის გლობალიზაციის წინააღმდეგობის კერა, და რაც მთავარია, ხალხში ქვეცნობიერ დონეზე არსებობს ეს წინააღმდეგობა.**

„პუტინის რეჟიმის გათვლებზე ზემოქმედების კუთხით, რაც უკავშირდება უკრაინას, ჩვენ ვერ ვხედავთ იმ შედეგებს სანქციებისგან, რაც ჩვენ გვინდოდა,“ — განაცხადა 4 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა. გვინდა, დავარწმუნოთ ბატონი პრესმდივანი: ვერც ნახავთ!

აი, რა ვერ გაიგეს დასავლეთში. ეს მათი ელექტორატი შეიძლება შეკრთეს და დეპრესიაში ჩავარდეს ცხოვრების პირობების გაუარესების გამო, ხოლო რუს ხალხს ამაზე გაცილებით მეტი აუტანია. 1999 წელს, იუგოსლავიის კრიზისისას, რუსეთი სუსტი იყო, დასავლურ ექსპანსიასთან შესაწინააღმდეგებლად. ძალები არასაკმარისი იყო 2000-იანი წლების დასაწყისშიც, როცა დაიწყო „ფერადი“ რევოლუციების პირველი ტალღა, მაგრამ რუსეთი პუტინის ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ძლიერდებოდა. ამჟამად ის მზადაა დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და დასავლეთის სანქციებს უპასუხებს თავისი, შესაძლოა, უფრო მტკივნეული სანქციებით.

ევროპა უფრო მეტად არის დამოკიდებული რუსეთთან ვაჭრობაზე, ვიდრე აშშ. ავიღოთ თუნდაც ბუნებრივი აირით მომარაგება. **ფინეთი, შვედეთი, ბალტიის ქვეყნები და ბულგარეთი 100%-ით რუსულ აირს მოიხმარენ. გერმანია თავისი მოთხოვნის ერთ მესამედს ფარავს რუსული აირით. ასევე მაღალია რუსულ ენერგეტიკულ ნედლეულზე დამოკიდებულება ჩეხეთის, პოლონეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, უნგრეთის, ავსტრიის, სლოვაკიის, სლოვენიის, ხორვატიის, რუმინეთისა და საბერძნეთის შემთხვევაში. საფრანგეთი და იტალია მოხმარებული გაზის 20%-ს ასევე რუსეთიდან იღებენ**. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა ევროკავშირი, რომ რუსეთთან ულტიმატუმისა და სანქციების ენაზე საუბარმა შეიძლება, ენერგოშემცველების გაძვირება გამოიწვიოს (იხ.რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ნახსენები 30 ივლისის კომენტარი). რუსეთმა ჩინეთთან ხელი მოაწერა მრავალმილიარდიან კონტრაქტს ბუნებრივი აირის მიწოდების თაობაზე. ასე რომ, თუკი ევროპა რუსული გაზის გარეშე დარჩება, რუსეთი არ დარჩება შემოსავლების გარეშე. მას თავისუფლად შეეძლება გაძვირებული ნავთობის გაყიდვაც. რუსეთი არ დაიღუპება ევროპაში ენერგოშემცველების ექსპორტის შეწყვეტით, სამაგიეროდ იქნება სრული ქაოსი ევროპის ეკონომიკაში. ევროპას უახლოეს მომავალში არ აქვს რუსული გაზის ჩანაცვლების საშუალება, არ არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობები. ზოგიერთი ამერიკელი სენატორის პოპულისტური განცხადებები, რომ ევროპას თხევად გაზს მიაწოდებენ, უბრალოდ, სიტყვებია და მეტი არაფერი. მჭიდროდ დასახლებულ ევროპაში, ასევე, შეუძლებელია ფიქლური გაზის საბადოების ათვისება, მით უმეტეს, სწრაფი ტემპით.

ანუ ევროპა ცეცხლს ეთამაშება. ეს აშშ-ს ხელს აძლევს. თუმცა, ერთი მხრივ, ისინი ასუსტებენ ეკონომიკურ კონკურენტს — ევროკავშირი პლუს რუსეთი, მათ შორის პარტნიორობის გაწყვეტის საშუალებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ასუსტებენ თავიანთ პარტნიორებს ევროპაში. ასე რომ, აშშ სერიოზულ პოლიტიკურ რისკზე მიდის.

რუსეთი ჯერ არ აპირებს ევროპის დასჯას და გაზის გადაკეტვას. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ რუსეთმა უკვე უპასუხა სანქციებს მტკივნეული კონტრსანქციებით, შეზღუდა რა რუსეთის ბაზარზე ევროპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეტანა. რუსეთის კონტრზომების პირველმა შედეგებმა არ დააყოვნა (ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია). დასავლური პრესის ქედმაღლური ტონი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების მომენტში მსუბუქი პანიკით შეიცვალა.

ეს არც მიტინგია, არც დემონსტრაცია. ეს რეფერენდუმზე ხმის მისაცემად რიგში ჩამდგარი ხალხია (11 მაისი, ქ. მარიუპოლი, დონეცკის ოლქი).



**მართლმადიდებლობის აღორძინებასა და მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. დასავლეთის ექსპანსია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ რუსეთის სიმტკიცის გამო დასასრულისკენ მიდის, ამიტომ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიგოს: უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არც სეპარატიზმია და არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება მეორე სახელმწიფოს მიერ, ეს ყოველივე გლობალური ცივილიზაციური დაპირისპირების ნაწილია!**



**ალექსეი მოზგოვოი, ლუგანსკის რაზმელთა ბრიგადის ჯერჯერობით დაუმარცხებელი მეთაური: „მე, ისევე, როგორც ბევრ სხვა ადამიანს ნოვოროსიაში, არ შემიძლია, ვიცხოვრო იმ იდეოლოგიით, რომელსაც თავს ახვევს დასავლეთი დღევანდელ კიევს; მე არ შემიძლია, გავიგო ერთსქესიანი ქორწინებები, არასრულწლოვანთა იუსტიცია, როდესაც მშობლებს უკრძალავენ შვილების აღზრდას. ჩვენ ისედაც მოგვწყვიტეს ჩვენს ფესვებს. ახლა კი საერთოდ გვიკრძალავენ, ვიყოთ ისინი, ვინც ვართ“ (გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 28.8.2014).**

## დასკვნები საქართველოსთვის

საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ ამა წლის თებერვალში დავოსში გამოხატული ფრთხილი, დიპლიმატიური პოზიცია უკრაინის მოვლენების მიმართ სრულიად გამართლებული იყო. და საერთოდ, **ირაკლი ღარიბაშვილი ყოველთვის ზომიერ პოზიციას გამოხატავს რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ — გრძნობს პოლიტიკოსის პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის წინაშე. სააკაშვილს არ ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა და მან საქართველო გადაჩეხა უახლოეს მეზობელთან, ერთმორწმუნე რუსეთთან კონფრონტაციის ჭაობში.** ეს შეგნებულად გაკეთდა, ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია და გვითქვამს. **საქართველოს ახალი ხელისუფლება აცნობიერებს, როგორი დამღუპველი შეიძლება იყოს ქვეყნისთვის „ცივი ომის“ გაგრძელება რუსეთთან, ამიტომ ჩვენი ხელმძღვანელობის გენერალური ხაზი — არ ჩაერიოს ზედმეტად აქტიურად უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში — სრულიად მისაღებია.**

მაგრამ უგუნურად იქცევა უკრაინის ახალი ხელისუფლება. ის არ იკმარა, რომ ქვეყანაში ქაოსი შეიტანა, სხვისი ინსტრუმენტი გახდა, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული. **უკრაინის ხელისუფლება პროვოკაციულად, აგდებულად იქცევა საქართველოს მიმართ. იმ დროს, როცა საქართველოში მიმდინარეობს ქვეყნის ყოფილი მმართველების საქმეების გამოძიება, ძალზე არაეთიკურია უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან სააკაშვილის დატოვება თავის მრჩევლად, რომელიც გაუთავებლად ლანძღავს საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას**. **უკრაინა რჩება „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა პლაცდარმად, მათ იქ იწვევენ „რეფორმების გამოცდილების გასაზიარებლად“ და ყველა საშუალებას აძლევენ, ძირგამომთხრელი საქმიანობა აწარმოონ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც უარი თქვა მათ „რეფორმებზე“. უფრო მეტიც, „მაიდნის“ ხელისუფლების წარმომადგენლები ისე გათავხედდნენ, რომ თბილისში კრიმინალი მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე ოდიოზური იური ლუცენკო გამოგზავნეს, რომელიც ბედავდა სასამართლო პროცესში ჩარევას და მოსამართლის მიმართ მუქარას.** გასაკვირი არაა, რომ ლუცენკო სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ლანძღავდა და აგინებდა დენაციფიცირებულ საქართველოს ქართულ მასმედიასთან ინტერვიუებში. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ ცოტა ხნით ადრე პრემიერმა ღარიბაშვილმა უკრაინას ურჩია, მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციოს სააკაშვილის რჩევებს. **კიევმა, ფაქტობრივად, სილა გააწნა თბილისს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ: დონბასის მცხოვრებნი იმავე ავანტიურისტებისგან იცავენ თავს, რომლებიც უფრო მეტად აფასებენ „ნაციონალებთან“ მეგობრობას, ვიდრე საქართველოსთან.**

საქართველომ უნდა დასაჯოს ის კრიმინალური სტრუქტურები, რომლებიც საქართველოდან უკრაინაში გზავნიან ზოგიერთ პირს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის, თუმცა ქართველმა „ბოევიკებმა“, სინამდვილეში კი „ნაციონალებმა“, აქამდე დიდად ვერ გამოიჩინეს თავი — დონბასელი აჯანყებულები ნიჭიერი რუსი მეთაურების ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ უმკლავდებიან უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. სხვებთან შედარებით უფრო დიდხანს ტივტივებს ერთ-ერთი ბოევიკი, აშკარად მცირე მასშტაბის კრიმინალი, რომელმაც ძაღლური მეტსახელი მოირგო — „დობერმანი“. ეს „დობერმანი“ არცხვენს ყველა ნამდვილი ქართველი სამხედროს ღირსებას, პოზირებს მიწაზე დაწვენილი და ხელებშეკრული ტყვეების ფონზე, მით უმეტეს, რომ თვითონ მას მტრის დატყვევებაში მონაწილეობა არ მიუღია. „დობერმანი“, როგორც ჩანს, არც იბრძვის წინა ხაზზე, მუდმივად იღებს ვიდეოკლიპებს ფრონტის ხაზიდან შორს და ამბობს, რომ მტრების ჯიბრზე ცოცხალია (თითქოს მისი პერსონა ვინმეს აინტერესებდეს). აი, ასეთი კლოუნები გამოდიან საქართველოს სახელით უკრაინაში, ხოლო ჩვენმა ხელისუფლებამ ამას ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური, რადგან საქმე ეხება საქართველოს რეპუტაციას.

ჩვენ, ევრაზიის ინსტიტუტში, გვაქვს ინფორმაცია, თუ რა არხებით და ვინ აგზავნის ამგვარ სუბიექტებს უკრაინაში და მზად ვართ, გავანდოთ ის კომპეტენტურ ორგანოებს, თუკი მათ არ აქვთ ამგვარი ცნობები.

ასევე, კარგი იქნებოდა, თუკი საქართველო, ევროკავშირთან „ასოციაციის“ ხელშეკრულების ხელმოწერით ტკბობის ნაცვლად, ყურადღებას მიაქცევდა გაზრდილ შესაძლებლობებს რუსეთსა და ევროკავშირს შორის სანქციური დაპირისპირების ფონზე.

რუსეთმა განსაზღვრა პრიორიტეტული ქვეყნების სია სურსათის მოწოდების თვალსაზრისით, რომელიც ადრე ევროპის ქვეყნებიდან შემოდიოდა, „ჩვენთვის პერსპექტიული ქვეყნებია ხილ-ბოსტნეულის მოწოდების თვალსაზრისით აზერბაიჯანი, უზბეკეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, რაღაც დოზით ყირგიზეთი. აქვე ახლოს არიან თურქეთი, ირანი, სერბეთი. ძალიან პერსპექტიული ქვეყნებია ირანი, მაროკო და ეგვიპტე — მათ სჭირდებათ ჩვენი პროდუქცია, კერძოდ, ხორბალი და ზეთი, ხოლო ჩვენ გვინდა მათი ბოსტნეული, ხილი, კენკრა და ციტრუსები“, — განაცხადა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნიკოლაი ფიოდოროვმა. მისი სიტყვებით, მძლავრი ბაზარი, რომელიც „კარზე გვიკაკუნებს“, არის ლათინური ამერიკის ქვეყნები. „ესაა ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, ეკვადორი, პერუ. მათთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და ისინი უკვე რიგში დგანან, რომ გაზარდონ თავიანთი პროდუქციის მოწოდება“, — თქვა ფიოდოროვმა.

კარგი იქნებოდა, თუკი ამ სიაში საქართველოც აღმოჩნდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მცხოვრებლებს ვერსად გააქვთ თავიანთი შესანიშნავი ხარისხის ვაშლი და მოსავალი ფუჭდება.

* * *

მართლმადიდებლობის აღორძინებასა და მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. დასავლეთის ექსპანსია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ რუსეთის სიმტკიცის გამო დასასრულისკენ მიდის, ამიტომ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიგოს: უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არც სეპარატიზმია და არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება მეორე სახელმწიფოს მიერ, ეს ყოველივე გლობალური ცივილიზაციური დაპირისპირების ნაწილია!

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაცმოძრაობა“ — ეს მომაკვდავი რეპტილია დასავლეთმა კოჰაბიტაციის ვაქცინის შეშხაპუნებით გამოაცოცხლა და ახლა, იმავე მფარველთა ხელშეწყობით, მათ მიერ ქვეყნისთვის მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებაში ენერგიულად უშლის ხელს „ქართულ ოცნებას“.**

# «ნაცი» მაინც «ნაცია»!

**ადრე ადამიანი დიდად არ განსხვავდებოდა ცხოველისგან, თუმცა მხეცებში დომინირებდნენ ძლიერი ბრჭყალისა და ეშვის მფლობელნი. ადამიანები კი კურდღლებივით იმალებოდნენ ან ჯგუფურად იცავდნენ თავს. ილრინებოდნენ, იკბინებოდნენ, სუსტს თავს ესხმოდნენ, ძლიერს გაურბოდნენ. უჭირდა ადამიანს ბრჭყალისა და ეშვის ბატონობის პირობებში, რადგან ბრჭყალი და ეშვი ისე არ უჭრიდა, როგორც სხვას; შედეგად ხშირად ქცეულა ძლიერბრჭყალიანთა კერძად. ასე იყო, ვიდრე ადამიანის ასე შეშინებული და დამფრთხალი ყოფნა განგებას არ მოსწყინდა. ბრჭყალი და ეშვი კი არ გაუძლიერა, ტვინს დაავალა, — უშველეო რამე.**



გივი სომხიშვილი

დავალებაც უფლისგან იყო, თორემ ზოგიერთი ახლანდელი ბლენძი ადამიანის შველას კუჭს დაავალებდა, ისიც სადმე უსაფრთხო გამოქვაბულში დააბინავებდა, მაძღრად ამყოფებდა და ვაშლიდან თავამოყოფილ მატლს დაამსგავსებდა. ტვინმა კი დინჯად და აუჩქარებლად დაიწყო ადამიანის გაადამიანება. ჯერ ხიდან ჩამოიყვანა, უკანა ფეხებზე სიარული დააწყებინა, წინა კიდევ ხელებად გადაუგვარა, კეტი დააჭერინა და ქვის სროლის უნარი შესძინა. კეტმომარჯვებული და ქვასროლია არსება კი მხეცებისთვის იოლი ნადავლი აღარ იყო, პირიქით, ახლა ისინი ხდებოდნენ ადამიანის მსხვერპლნი. მერე ცეცხლის მოხმარება ისწავლა და, უმის ნაცვლად, შემწვარი ხორცის ჭამით ეცადა ცივილიზაციის ურდულის გახსნას. ტვინმა მოცდა ურჩია, — ჯერ ისევ ნადირი ხარ და მხოლოდ შემწვარი ხორცის ჭამით ადამიანად ვერ იქცევი, კანიბალიზმს უნდა გადაეჩვიო და სისხლის აღრევით აღარ უნდა დააკნინო შთამომავლობა, თორე ისე გადაჯიშდები, გამხეცდები და გაპირუტყვდები, რომ საიდანაც ჩამოგიყვანე, იმ ხეზე ასვლა და ცხოვრება სანატრელი გაგიხდებაო. ასე შეაძულა სისხლის აღრევა და ყოველგვარი სქესობრივი სიბილწე. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ აქცია ტვინმა ადამიანი პლანეტის გიგანტურ არსებად.

რა ხდება დღეს? ნუთუ ევროატლანტიკური განცხრომის ნებიერნი კუჭის ხუშტურებზე როკავენ უფლის მიერ ადამიანის გასაადამიანებლად შერჩეული ტვინის მითითებების გათვალისწინების ნაცვლად? თუ ტვინის კარნახს ყურს არ დაუგდებენ და ზნეობრივი სიწმინდის გზას არ დაადგებიან, პირველყოფილი მაიმუნობისდროინდელი ყოფით იმავე მაიმუნობამდე მივლენ. ამას, ადრე თუ გვიან, მიხვდებიან და მომავალ თაობას სირცხვილის ოფლს მოჰგვრის ერთსქესიანთა თავხედობისა და სიბილწისადმი თაყვანისცემა და მისი საქართველოს მსგავს ქვეყნებში ექსპორტირების მცდელობა.

**კათოლიკურ ევროპას კაცობრიობის წინაშე სირცხვილის ლაქად ატყვია ინკვიზიციის საზარელი ცოდვები, ინდულენციებით თაღლითობანი, ჯვაროსანთა ძალადობით, სადიზმითა და სიცრუით გამორჩეული ავკაცობანი.**

ნურც ის დაავიწყდებათ, რომ კაცობრიობის საზარელმა ჭირმა — ფაშიზმმა დასავლეთ ევროპაში აიღო სათავე და, საბჭოთა კავშირის ხალხთა თავდადება რომ არა, მსოფლიოს ფაშისტური სატანა დაეუფლებოდა.

დღეს მომთვინიერებლებივით ერთობიან ნეოფაშიზმით, რომელიც ხშირად მომთვინიერებელსვე კბენს, რადგან იმას გესლავს, ვისაც სწვდება; ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მოსასპობად გამოზრდილი ფაშიზმი მიუბრუნდა დასაკბენად გამზრდელებს.

დღეს აშშ თავისი ნატოთი იმაზე ძლიერი არ არის, ვიდრე რომის იმპერია იყო იმჟამინდელ მსოფლიოში, მაგრამ გათავხედებამ, უზნეობამ, მომხვეჭელობამ და გარყვნილებამ იქ მიიყვანა, სადაც ამგვარ მანკიერებებს აყოლილთა ადგილია.

სოციალისტური ბანაკი დაიშალა, რუსეთი ისეთივე კაპიტალისტურია, როგორიც საბაზრო ეკონომიკის პრანჭვაში პუდრმოყრილი ყველა ქვეყანა. ნატოს ფუნქცია აღარ დარჩა, მაგრამ, დაშლის მაგიერ, გაფართოება დაიწყო რუსეთის ყოფილი მოკავშირე სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე. საბჭოთა კავშირმა 1956 წელს დასავლეთ ევროპის ცენტრში უნგრეთი რომ დააუთოვა, აშშ-მა ხმა ვერ ამოიღო; არც ჩეხოსლოვაკიის მოთვინიერების ოპერაციისას გაფაჩუნებულა. ახლა მომძლავრდა და რუსეთის ისტორიულად მოძმე სერბეთს, საზარელი დაბომბვის შემდეგ, ძირძველი ტერიტორია — კოსოვო — ჩამოაჭრა და დამოუკიდებლად გამოაცხადა. **გათავხედებული ამერიკა, რადგან ხელის შემშლელი აღარავინ დარჩა, საქათმის გაზულუქებული მამალივით, ვინც არ მოეწონება, უნისკარტებს.** ახლა საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების გადაბირება მოისურვა და რუსეთისთვის ღრენას უმატა. რუსეთმა კი ძალა ნელნელა მოიკრიბა, დასავლეთის ერთგულ საქართველოს ორი რეგიონი ჩამოაჭამა და ევროატლანტიკური მეთოდით დამოუკიდებლად გამოაცხადა. **დასავლელებს თანდათან ახსენდებათ, რომ რუსეთს შეიძლება უღრინო, მაგრამ კბენა კბილების ჩამტვრევად დაუჯდებათ. საქართველოს კი იმ თვითაღიარებული ნაწილების არცნობით ამშვიდებენ, რადგან თავიანთი მიზნებისათვის ტერიტორიებშემოცლილი საქართველოც ჰყოფნით.**

საბჭოთა კავშირმა წყალბადის ბომბის აფეთქებით დედამიწა რომ შეაზანზარა, დასავლელები მაშინ მიხვდნენ, რომ ამგვარი მცდელობით პლანეტაზე სიცოცხლის მოსპობამდე მივიდოდნენ და ატომური შეიარაღების შემცირებაზე მოლაპარაკება დაიწყეს. რუსეთმა იმდენი ატომური იარაღი დააგროვა, საკუთარ ტერიტორიაზე რომ ააფეთქოს, პლანეტა აღარ იარსებებს. დამთავრდა ცივი ომი, კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა, ხალხს მშვიდობიანი თანაარსებობა ენატრება და რატომ ვერ ისვენებ, რატომ აღვიძებ მიძინებულ ურჩხულს?! ამერიკამ ესტონეთში მძიმე სამხედრო ტექნიკა შეიტანა, გერმანიამ უკრაინაში ორასი ბუნდესვერელი გაგზავნა, ესტონეთში ფაშისტები აღლუმებს აწყობენ, უკრაინაში ფაშისტი სამთავრობო „ბოევიკები“ დონეცკელთა მოჭრილ თავებს მათ მშობლებს უგზავნიან და ფაშისტური მეთოდებით დახოცილ მშვიდობიან მოქალაქეებს ერთად მარხავენ...

## სად იყო ევროპის სახალხო პარტია, თუნდაც — ევროკავშირი, განუკითხავი ძარცვა-რბევა, კაცის კვლა და ადამიანების საზარელი წამება-დამცირება, ცოფიანი აფთარივით რომ დაუშლიგინებდა და ქართველ ერს მოსპობით ემუქრებოდა?!



უკრაინა და რუსეთი ერთი დედისგან შობილი ორი ღვიძლი ძმაა. უკრაინის შექმნაც რუსეთის დამსახურებაა, მან უკრაინისთვის თავისი ტერიტორიებიც არ დაიშურა და რა, დასავლეთს რუსეთზე მეტად შესტკივა გული უკრაინაზე? როგორ დაიწყო ეს უბედურება და რა ბნელი ძალები მართავდნენ მაიდანს, მთელმა მსოფლიომ იცის. ნატო კი მაინც მიხოხავს რუსეთისკენ და ავიწყდება, რომ ამგვარი ხოხვით სად მივიდნენ ნაპოლეონი და ჰიტლერი.

ახლა ჩემი გულახდილი აღიარება, შეიძლება, პრორუსულობად ჩამითვალონ, მაგრამ **ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველი ოცნებობს ქვეყნის გამთლიანებაზე, რომლის გარეშეც საქართველოს სიკეთე არ უწერია. ეს კი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია. მისი საწინააღმდეგო ყოველი სიტყვა და მოქმედება საქართველოს გაერთიანებას გვაშორებს და, თუ რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებები დიდხანს გაგრძელდა, გაერთიანება კი არა, რაც დაგვრჩა, იმასაც საფრთხე შეექმნება. დასავლეთს კი სულაც არ სჭირდება გაერთიანებული და დამოუკიდებლად მოაზროვნე საქართველო — მიზნების მიღწევაში ხომ ერთგული ძაღლივით ემსახურებათ „ნაციონალური მოძრაობა“.**

„ნაცმოძრაობა“ — ეს მომაკვდავი რეპტილია დასავლეთმა კოჰაბიტაციის ვაქცინის შეშხაპუნებით გამოაცოცხლა და ახლა, იმავე მფარველთა ხელშეწყობით, მათ მიერ ქვეყნისათვის მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებაში ენერგიულად უშლის ხელს „ქართულ ოცნებას“.

**„ნაციონალური ბანდა“ — ვინც ზის ციხეში, ვინც მოასწრო გაქცევა, ვინც ჯერ კიდევ გარეთაა, საქართველოს დასაგესლად შხამს არ ზოგავს. მათი ღვარძლი კი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისკენ არის მიმართული, რადგან ქვეყნის დამაქცევართ არ ასვენებთ სამშობლოსა და ერისთვის თავდადებული ადამიანისადმი შურისძიება.**

ამიტომ უღრენენ ბიძინა ივანიშვილს სიძულვილის დორბლით დასვრილი ნაციონალები. თურმე, დანაშაულია ირაკლი ღარიბაშვილს კარგი ურთიერთობა რომ აქვს ბიძინა ივანიშვილთან, რომ ხვდება და რჩევას იღებს. ამ საცოდავებს კეთილშობილი ერისკაცის თვისებები ნაკლი ჰგონიათ. დასაგმობი ის იქნებოდა, ამ მტკიცე ხასიათის ახალგაზრდა პრემიერს პრეზიდენტ მარგველაშვილივით უარეყო ივანიშვილის რჩევები, რომელიც ხალხის ნებას ემთხვევა, და ქართველი ერის ნდობა, მისი მტრების ქილიკზე გადაეცვალა.

ესენი ერის საამაყო მამულიშვილების დასაგესლად არიან დაგეშილები, რადგან კარგად იციან ერისთვის თავდადებული კეთილშობილი ადამიანების ძალა. ბოროტების გზაზე შემდგართა ღრენისა და ყეფის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ, ვინ არის ერის ღირსეული შვილი.

ზვიად ჯანყარაშვილის მიმართ წუნკალი ძაღლის ბოროტი ღრენითა და სასაცილო პრეტენზიებით შეირცხვინეს ისედაც შერცხვენილი თავი ნაციონალებმა. არადა, ეს ის ახალგაზრდაა სიკეთისა და კაცთმოყვარეობის შარავანდედი რომ ამშვენებს.

ნაცბანდის მფარველი უცხოელები კი გვიჩიჩინებენ, თანაც — მუქარით, ▶

მოკლედ

## ირაკლი ღარიბაშვილი: არც ერთ სიტყვას არ მივიღებთ იმისგან, ვისი მმართველობის პერიოდშიც ქვეყნის მთლიანობა დაირღვა!

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებას გამოეხმაურა.** „ჩემთვის ცნობილი გახდა ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ თურმე საქართველოს ხელისუფლებამ საფრთხის ქვეშ დააყენა ჩვენი ძმების — აფხაზების ბედი. მინდა, ყველას შევახსენო, რომ ჩვენ არასოდეს მივიღებთ იმ ადამიანისგან არც ერთ სიტყვას, რომელიც არის ბრალდებული უამრავ დანაშაულში; ადამიანისგან, რომლის რეჟიმის დროსაც ციხეებში მისი მეთვალყურეობით აწამებდნენ; ადამიანისგან, რომლის მმართველობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის მთლიანობა დაირღვა. საქართველომ სწორედ სააკაშვილის პერიოდში დაკარგა კოდორი, სწორედ მისი გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად მოხდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. სწორედ მისი გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგია, რომ დღეს 20% ჩვენი ტერიტორიისა არის ოკუპირებული რუსეთის მიერ. დღეს ეს ადამიანი, რომლის დროსაც ბიზნესი თავისუფალი არ იყო და თავისუფლად ვერავინ სუნთქავდა, გამოდის და ჭკუას გვასწავლის,“ — აღნიშნა ღარიბაშვილმა.



მედიცინა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ნაციონალური“ ბანდა — ვინც ზის ციხეში, ვინც მოასწრო გაქცევა, ვინც ჯერ კიდევ გარეთაა, საქართველოს დასაგესლად შხამს არ ზოგავს. მათი ღვარძლი კი, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისკენ არის მიმართული, რადგან ქვეყნის დამაქცევართ არ ასვენებთ სამშობლოსა და ერისთვის თავდადებული ადამიანისადმი შურისძიება.

◀ დამნაშავე ნაცისტი სახელმწიფო მაღალჩინოსანთა დასჯა პოლიტიკური ზეწოლააო და ცდილობენ, ამ სატანისტებს მოარგონ ანგელოზის ნიღაბი, თუმცა რქები, ჩლიქები და გაქუცული კუდი მაინც მოუჩანთ.

„ნაცბანდის“ ზეობის ხანაში, ცა ქუდად რომ არ მიაჩნდათ და დედამიწა — ქალამნად, ქუჩაში ნაცნობი კაცი შემხვდა, ხელების ქნევით მოდიოდა. შევეკითხე, რა გჭირს-მეთქი? ამ მხეცებისა და ყაჩაღების სამთავროში ყველამ გამანებოს თავი, ადამიანი ნადირზე უარესიაო, — აღრიალდა საწყალი. ძლივს დავამშვიდე და თავს გადახდენილი ამბის მოყოლა ვთხოვე.

— ჩემი პატარა ბიზნესი მქონდა, დიდი თანხა შემაწერეს და, გადაუხდელობის შემთხვევაში, შვილების გაუბედურებით დამემუქრნენ, ყველაფერი გავყიდე, თანხაც ვისესხე და კვნესით მივიტანე. ფული გამომართვეს და წადიო, — მითხრეს. რამე საბუთი მაინც მომეცით, ამხელა ფული რომ ჩაგაბარეთ-მეთქი. დაბლა, სარდაფში ჩადი, საბუთს იქ მოგცემენო; მეც ჩავედი... რა ვიცოდი ყაჩაღები, ბანდიტები და კაციჭამიები რომ იყვნენ. ან როდის იყო, შარაგზის ყაჩაღები გაძარცვის საბუთს იძლეოდნენო? — აღრიალდა ისევ...

სად იყო ევროპის სახალხო პარტია, თუნდაც — ევროკავშირი, განუკითხავი ძარცვა-რბევა, კაცის კვლა და ადამიანების საზარელი წამება-დამცირება ცოფიანი აფთარივით რომ დაშლიგინებდა და ქართველ ერს მოსპობით ემუქრებოდა?! დაიჭერდნენ და მთვარიდან ტყემლის მოპარვას დააკისრებინებდნენ — იოლად ხსნიდნენ საქმეს. ცირკის ოინბაზობად აქციეს ბრალდების წაყენება და უდანაშაულოთა მიერ დანაშაულის აღიარება.

**სრულიად საქართველოში დაძრწოდა ვანო მერაბიშვილის სხეულში ჩასახლებული ადამიანობის მოძულე დემონი და ცხედრებს ამრავლებდა — ვინ იცის, როდის დასჭირდებოდა მინოტავრად ქცეულ შინაგან საქმეთა მინისტრს ორი „ტრუპი“. ასე ამუნჯებდნენ, აწამებდნენ და სპობდნენ ქართველი ერის საამაყო ვაჟკაცებს ეს ტურის შრატნაწოვი არამზადები. ქვეყნის იმედად შობილი მამულიშვილების სისხლით მორწყეს მრავალი საშინელების მომსწრე ქართული მიწა.**

გერმანელები ახლაც დიდი გულისტკივილით ინანიებენ ფაშისტების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ საშინელებებს. ჩვენთან კი ვერაფრით მოვახერხეთ „ნაციანალების“ ფესვების ამოძირკვა. **ხალხის რისხვის შიშით მათ მიერ ნაკორტნი საქართველოდან გასაქცევად სტარტზე მდგომებს შინაურმა და გარეულმა მოამაგეებმა მაშველი რგოლივით შეაშველეს კოჰაბიტაცია. დღეს კი ახალი ძალით ცდილობენ საქართველოს დაკნინებას — ქვეყნის გასაერთიანებლად და ასაღორძინებლად მებრძოლი ყველა ჯანსაღი ძალის დასაგესლად შხამს ანთხევენ.**

„ნაციონალთა“ თავქარიანი, ცრუპენტელა და მხდალი კერპი, დამნაშავე და პასუხისგებაში მიცემული, საქართველოდან გაქცეული მიხეილ სააკაშვილი, რომლის პრეზიდენტობის პერიოდის მაღალჩინოსანი ზოგი ციხეში ზის, ზოგიც სასამართლოს ელოდება, სხვები კი კუთხეში მიმწყვდეულ ვირთხებივით კბილებს აღრჭენენ, გაწბილებულ თანამოაზრეებთან სატელევიზიო თათბირს მართავს, დესტაბილიზაციით იმუქრება და ისევ გარბის. იმის მაგიერ, რომ დაპატიმრებულ „ნაციონალებს“ გვერდთი მიუჯდეს და სასჯელის სიმძიმე მათთან ერთად იტვირთოს, ნაცემი ძაღლივით დარბის და წკაწკავებს. თუმცა რა ცოტნედადიანობა მოეთხოვება არარაობას?!

დღეს მთელი ძალით ამოქმედდა „ნაციონალების“ დემაგოგია, სიცრუე, ცილისწამება და ერისთვის თავდადებულ მამულიშვილებზე სასაცილო ბრალდებების შეთხზვა. „ქართულ ოცნებაში“ შიშით ვერ დაუცემინებიათ, ევროპის სახალხო პარტიამ პოლიტიკურ ზეწოლაში არ ჩაგვითვალოსო. არადა, ხალხმა ძლივს შვებით ამოისუნთქა. ნაციონალი მსტოვრების დასმენის შიშით მართალი სიტყვის თქმის აღარ ეშინიათ; ერთმანეთს ენდობიან. განუკითხავი ძარცვა, დარბევა-დაპატიმრება და საზარელი წამება „ნაციონალთა“ თავხედურ მმართველობასთან ერთად წარსულს ჩაბარდა.

**თუ რამე ისე არ ხდება, როგორც ქვეყანას წაადგება, „ნაციონალთა“ მუხთლობისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგია.**

ნამდვილ ოპოზიციაში საქართველოს კეთილდღეობისთვის თავდადებულ მამულიშვილებს რა დათვლის. სწორედ ასეთი ოპოზიცია სჭირდება „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს ნათელი მომავლისთვის ბრძოლას.

**„ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიცია კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერისადმი ღვარძლითა და ბოროტებით გატენილი მტერია.**

უხსენებელი ყველგანაა, მაგრამ, თუ ნაფერებ ბოსტანში შემოგეჭრება მისი გავერანების მიზნით და დამუშავების საშუალებას არ გაძლევს, თავი უნდა გაუჭეჭყო.

**გივი სომხიშვილი.**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემია „აიას“ წევრი**

# «კამელინის» მხოლოდ 2-3 კაფსულა უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს

**პრეპარატ „კამელინს“ სამედიცინო საზოგადოების მხრიდან ინტერესი და თანადგომა ჯერ კიდევ პრეპარატის ავტორის, ქირურგ ძაგული მაღლაკელიძის სიცოცხლეში ჰქონდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი პრეპარატზე უდიდეს კლინიკურ-ექსპერიმენტულ კვლევებს გამოჩენილ მეცნიერთა და ექიმთა ჯგუფის მხარდაჭერით როგორც საქართველოში, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო და სამედიცინო ცენტრებში, რომლის შედეგადაც მტკიცდებოდა პრეპარატის სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება.**




2004 წლიდან პრეპარატ „კამელინის“ ავტორის პირად არქივებში დაცულ უზარმაზარ პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით დაფუძნდა თანამედროვე სტანდარტების მქონე (წარმოების, მარკირებისა და შეფუთვის მიმართულებით) ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ და შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი. დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ უნიკალური თვისებების ახლებური კვლევა საქართველოსა და საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო-კლინიკურ ინსტიტუტებში. კვებეკის, მონრეალის, რიო დე ჟანეიროს, დელის და სხვა სამეცნიერო ცენტრებში პრეპარატ „კამელინზე“ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო პრეპარატის დიდი პოტენციალი, როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომმა ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „კამელინი“ ხასიათდება სხვა თვისებებითაც. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინი“ 100 %-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი.

ახლახან თსუ-ს ფარმაცევტული ფაკულტეტის, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ფარმაცევტ თამაზ მურთაზაშვილის ხემძღვანელობით შესწავლილ იქნა პრეპარატ „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივობა.

**თამაზ მურთაზაშვილი:**

— ანტიოქსიდანტები ორგანიზმის ჯანმრთელობაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ანტიოქსიდანტი არის მოლეკულათა ჯგუფი, რომელიც ხელს უშლის ან ანელებს სხვა მოლეკულების დაჟანგვის პროცესს. ორგანიზმში ჟანგვითი პროცესები ბუნებრივი სასიცოცხლო აუცილებლობაა, თუმცა ამ პროცესს თან ახლავს ე.წ. „თავისუფალი რადიკალების“ წარმოქმნა. თავისუფალი რადიკალი არის მაღალი აქტივობის მოლეკულა, რომელიც ორგანიზმში წარმოიქმნება ჟანგვითი პროცესების დროს. თავის მხრივ, თავისუფალი რადიკალები იწვევენ ჯაჭვურ რეაქციას და აზიანებენ უჯრედებს. სწორედ უჯრედების დაზიანება იწვევს ორგანიზმში არასასურველი მოვლენების განვითარებას, სწრაფ დაბერებას და დაავადებებს, როგორიცაა კიბო, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვა პათოლოგიები. თავისუფალი რადიკალების სიჭარბე დამღუპველად მოქმედებს ორგანიზმზე, მათი დიდი რაოდენობა განაპირობებს ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების შეფერხებას. თავისუფალი რადიკალების სიჭარბეს კი იწვევს არასწორი კვება, ალკოჰოლი, მავნე ეკოლოგიური პირობები და სხვა ენდოგენურ-ეგზოგენური ზემოქმედება, ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას. ანტიოქსიდანტური აქტივობისა და იმუნიტეტის დაქვეითება კი სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების განვითარების რისკია. სწორედ ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების მოქმედებას აკონტროლებს ანტიოქსიდანტები. ისინი უჯრედულ დონეზე ამცირებენ ჰიპეროქსიდაციის პროცესს და ამით იცავენ უჯრედებს შემდგომი დაზიანებისგან.

— მიუხედავად იმისა, რომ საკვები პროდუქტები შეიცავენ ანტიოქსიდანტებს, მაგალითად, თაფლს, დიდი ხანია, იყენებენ მედიცინის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ სამამულო თაფლის პროდუქტი საინსტილაციო ფორმით ჯერ არ ყოფილა წარმოდგენილი. დღეს შესაძლებელია, ემპირიულად გამოცდილი ნედლეული მომხმარებლისთვის შეთავაზებული იყოს ისეთი ფორმით, როდესაც დაცული იქნება პრეპარატის წარმოების ყველა ფარმაკოლოგიური მოქმედება. პრეპარატი „კამელინი“ თაფლიდან გამოყოფილი ნახშირწყლების ფრაქციიდან მიიღება და ძლიერი იმუნომოდულაციური თვისებებით გამოირჩევა, ამიტომ ჩვენ ამ მიმართულებით ინვიტრო კვლევა ვაწარმოეთ. კვლევის მიზანს შეადგენდა „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა რეაქტივთან სპექტროფოტომეტრული მეთოდით. ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა „კამელინის“ ხუთივე ფორმის პრეპარატი, მაგრამ აქცენტი „კამელინ 2“-ზე — კაფსულებზე გავამახვილეთ. კვლევებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ზრდასრულ ადამიანებში (ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მოთხოვნის საშუალო სადღეღამისო ნორმა 360 მგ-ს შეადგენს) „კამელინის“ მხოლოდ 2-3 კაფსულა უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს. „კამელინი“ ქართული წარმოების ორიგინალური, განსაკუთრებული სახეობის თაფლისგან დამზადებული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა; შეიცავს ფუტკრის ცხოველქმედების ბიოლოგიურად მაღალაქტიურ ნივთიერებებს: კეტონებს, ეთერებს, ბიოორგანულ მჟავებს, ფენოლებს, ალდეჰიდებს, ფურფუროლს.

ქართული წარმოების 5 ფორმის პრეპარატი „კამელინ მ1“ — ინიექცია, „კამელინ მ2“ — კაფსულა, „კამელინ მ3“ — მალამო, „კამელინ მ 4 “— სანთლები და „კამელინ ფლუ“ — სპრეი გამოიყენება სიმსივნური დაავადებების, ვირუსული და ბაქტერიული ინფექციების, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, სახსრების დეგენერაციულ-დისტროფიული და სხვა დაავადებების დროს.

**მოამზადა მაია ცომაია**

www.camelyn.ge

**«კამელინთან» დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33**



## მკვდარი თაგვი «მაკდონალდსში» ნაყიდ ყავის ჭიქაში

**კანადის ქალაქ ფრედრიკტონში საგანგაშო შემთხვევა მოხდა. ამ ქალაქის მკვიდრმა რონ მორეისმა სწრაფი კვების რესტორან „მაკდონალდსში“ ყავა იყიდა და, როდესაც ყავის ბოლო ყლუპის დასალევად ჭიქას თავსახურავი ახადა, შიგ მკვდარი თაგვი ნახა.** რონ მორეისი „მაკდონალდსს“ თითქმის ყოველდღიურად სტუმრობდა, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს შემთხვევია. მისი თქმით, ჭიქაში თაგვის ნახვის შემდეგ მუცელი ასტკივდა და პირღებინება დაეწყო.

კანადელი მამაკაცი „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სნოუდენის მხილებებმა მსოფლიოს თავზარი დასცა, მაგრამ საკითხავი მხოლოდ ის კი არ არის, თუ ვის უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ ამერიკელი მზვერავები, არამედ ისიც, თუ რა გაარკვიეს ამ თვალთვალის შედეგად, რა დასკვნა გამოიტანეს ინფორმაციის გორებიდან, მილიარდობით ბიტი სადაზვერვო მონაცემიდან, რომლებსაც ყოველთვიურად აგროვებდნენ ცალკეულ ქვეყნებში?**

# დამარცხება გამარჯვებაა: როგორ მუშაობს ამერიკული დაზვერვა XXI საუკუნეში

**როგორია წარმატების შანსი? ისინი ყოველწლიურად ხარჯავენ 68 მილიარდ დოლარს მთელ ლაბირინთზე, რომელიც 17 წამყვანი სადაზვერვო ორგანიზაციისგან შედგება. ისინი აშენებენ მშვენიერ შტაბ-ბინებს; ისინი საუკუნოდ ქმნიან საყოველთაო თვალთვალის გლობალურ სახელმწიფოს; ისინი დაკავებულნი არიან თავიანთი მოქალაქეების მოსმენებით და აურაცხელი რაოდენობით აგროვებენ მონაცემებს მათ შესახებ. მათი თანამშრომლები ავატარებადაც კი იქცნენ და შეაღწიეს ვიდეოთამაშებში, რათა არც ერთმა ამერიკელმა თამაშის რეჟიმშიც კი არ გამოავლინოს ბოროტმოქმედებისკენ მიდრეკილება; ისინი ყოველი შემთხვევისთვის აგროვებენ ინფორმაციას პორნოსაიტებზე შემსვლელების შესახებ, რათა ოდესმე შანტაჟისთვის გამოიყენონ; ისინი ავრცელებენ შიშველი ადამიანების სურათებს რათა... უბრალოდ, ახირებული გატაცებების დასაშოშმინებლად.**




## შიშით, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაჩნდა, ამერიკამ შექმნა სადაზვერვო სისტემა, რომელსაც მსოფლიოში არ მოეპოვება ანალოგი




მათი თანამშრომლები მათ მიერვე შექმნილი სისტემის ზოგიერთ ასპექტებს იყენებენ ყოფილი საყვარლების მოსაძებნად და მონაცემთა მათეული საიდუმლოებით მოცულ სამყაროში ჯაშუშური ხელოვნების ამ აქტს საკუთარი სახელწოდებაც კი აქვს — „LOVEINT“, ანუ სასიყვარულო დაზვერვა.

ისინი უსმენენ უცხოელ პოლიტიკოსებსა და ხელმძღვანელ პირებს მსოფლიოში. ისინი ტეხენ მსხვილი ინტერნეტორგანიზაციების მონაცემთა ბაზებს, რათა ხელში ჩაიგდონ მომხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერები. ისინი ქვეგანყოფილებებში ქმნიან ახალ ქვეგანყოფილებებს, მუდმივად გაფართოებად საიდუმლო სამხედრო და სადაზვერვო რაზმებს თავად არმიის შიგნით და ისინი არ განეკუთვნებიან ზემოხსენებულ 17 უწყებას.

მათი ხელმძღვანელები ატყუებენ კონგრესსა და ამერიკელ ხალხს სინდისის ქენჯნისა და ყოყმანის გარეშე. მათ ქცევებს განიხილავენ საიდუმლო სასამართლოები, რომლებიც ისმენენ მოვლენათა მხოლოდ მათეულ აღწერას და მუდმივად ამართლებენ მათ. ამასთანავე, აღნიშნული გადაწყვეტილებები და კანონშემოქმედების გარკვეული ნაწილი იმდენადაა გასაიდუმლოებული, რომ ამერიკელები მათ შესახებ ვერაფერს იგებენ.

ისინი გადამეტებული ძალისხმევით ცდილობენ, ამ საზოგადოებისა და მის მიერ შექმნილი უამრავი დოკუმენტის შესახებ საზოგადოებამ არაფერი გაიგოს. **მათ აქვთ სამართლებრივი საშუალებები, რათა ჩაახშონ იმ ამერიკელების ხმა, რომლებიც მათთვის არასასიამოვნო თემებზე გაბედავენ საუბარს, თანაც ჩაახშონ ისე, რომ მათ ამ ჩახშობის შესახებაც კი არ შეეძლოთ გაცხადება.**

ისინი ჯაშუშობენ კონგრესის წინააღმდეგ. ისინი ტეხენ მის კომპიუტერულ სისტემებს. თუ მათივე საზოგადოებიდან ვინმე განგაშის ზარებს შემოჰკრავს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა სიცოცხლე გაუმწარონ და დაუღალავად ინადირებენ მასზე პლანეტის ყველაზე მიუდგომელ კუთხეებამდეც კი.

რაც შეეხება მათ ხელმძღვანელებს, როდესაც მათი დრო იწურება, ისინი მშვიდად გადადიან სადაზვერვო-კორპორატიული კომპლექსის მაღალშემოსავლიან კულისებში.

ეს ამერიკის სადაზვერვო საზოგადოებაა.

წარმოიდგინეთ „ამერიკული სადაზვერვო საზოგადოების“ სამყარო თითქმის იდეალური, დახურული და ვაშინგტონისთვის იშვიათი წარმატებების სისტემის სახით. დედაქალაქში, რომელსაც მწვავე პოლიტიკური უთანხმოებები აქუცმაცებს, თითქმის ყველა ეთანხმება ამ საზოგადოების აბსოლუტურ, ტოტალურ და უკიდურეს მნიშვნელოვნებას და იმას, რასაც მისი ხელმძღვანელობა ქვეყნის სიმშვიდისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აკეთებს.

როგორც ირკვევა, უსაფრთხოება საკმარისი არასდროსაა, განსაკუთრებით „ტერორისტების“ იმ არნახული შესაძლებლობების პირობებში, რომლითაც ისინი ემუქრებიან ქვეყანას. სადაზვერვო საზოგადოება თავს იწონებს იმით, რომ ამერიკაში აღარ გამეორებულა 11 სექტემბერი, რომ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული გეგმები და შეთქმულებები უამრავჯერ ჩაშალა და მათ შორის არის 54 შემთხვევა, რომლებიც ამეკრიკელთა სატელეფონო საუბრების „მეტამონაცემების“ საშუალებით გამოაშკარავდა. მაგრამ **გაირკვა, რომ ობამას მიერ ავტორიტარული სპეციალისტებისგან შექმნილმა კომისიამ, რომელსაც ყველა ნებართვა და წვდომა ჰქონდა ამ მტკიცებულებების შესასწავლად, დაადგინა — მათგან არც ერთი არ შეესაბამება სიმართლეს.**

ამავე დროს აშშ-ში არ არსებობს 17 ძლევამოსილი უწყება, რომლებიც იმავე 11 სექტემბრის შემდეგ მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დაახლოებით 400 000 მკვლელობის თავიდან აცილებაზე იმუშავებდა. 17 ურთიერთდაკავშირებული სააგენტო არ ცდილობს, უზრუნველყოს უსაფრთხოება გზებზე, სადაც იმავე 11 სექტემბრის შემდეგ 450 000-ზე მეტი ამერიკელი გამოესალმა სიცოცხლეს. **გამოთვლებმა აჩვენა, რომ საშუალოსტატისტიკურ ამერიკელს 1904-ჯერ მეტი შანსი აქვს, დაიღუპოს ავტოავარიაში, ვიდრე ტეარქტის მსხვერპლი გახდეს.**

**შიშით, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაჩნდა, ამერიკამ შექმნა სადაზვერვო სისტემა, რომელსაც მსოფლიოში არ მოეპოვება ანალოგი.**

ეს საკმაოდ შთამბეჭდავი მიღწევაა, მაგრამ არსებობს ერთი ნაკლი: აღნიშნულ სტრუქტურას საშინელი მაჩვენებლები აქვს მოქმედებათა სისწორისა და მათი დროულობის თვალსაზრისით. ამდენ ადამიანს ჯერ არასდროს ჰქონია წვდომა ამ რაოდენობის ინფორმაციასთან მსოფლიოს შესახებ და ამერიკელები არასდროს ყოფილან უფრო მოუმზადებელნი ამავე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

როდესაც საქმე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებას ეხება, ის, ვისაც შეუძლია, რეალურად დაეხმაროს სახელმწიფოს, რომელსაც ემსახურება კიდეც, თითქმის ყოველთვის ჩამორჩება. სადაზვერვო სამსახურები მუდამ მოულოდნელობის ხაფანგში ებმებიან და აბსოლუტურად ვერ ამართლებენ იმედებს.

რა გამარჯვებებს მიაღწია ამ წარმოუდგენელი მასშტაბებისა და შესაძლებლობების ქსელმა 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ? ერთადერთი მაგალითი უსამა ბენ-ლადენის დევნა და მისი განადგურებაა. არადა, ბენ-ლადენი იმ დროს უკვე ნომინალური მმართველი ფიგურა იყო და სხვა არაფერი. მიუხედავად ამისა, მისი განადგურების ოპერაცია ერთადერთი ტრიუმფი იყო მთელი ამ წლების მანძილზე.

ყველა სხვა შემთხვევაში ამერიკული დაზვერვა რეგულარულად ცდებოდა და რეგულარულად აგვიანებდა. შედეგად, ობამას ადმინისტრაცია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო უწყვეტი განცვიფრების რეჟიმშია. ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა ისე მოიზომეს ახლო აღმოსავლეთში ტერიტორია და ისე უწოდეს მას ხალიფატი ქვეყანაში, სადაც რვა წლის განმავლობაში იდგა ამერიკის ჯარი, სადაც აშშ-ს ინფორმაციის ურიცხვი არხი უნდა ჰქონოდა და ყველა ჯურის აგენტების არმია უნდა ჰყოლოდა, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ განცვიფრებისგან წყლიდან ამოყვანილი თევზივით დააღო პირი.

**ამერიკის მთელმა სადაზვერვო საზოგადოებამ ისლამური სახელმწიფოს ბოევიკების მიახლოებული რაოდენობაც კი ვერ გამოთვალა. იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია ინფორმაციის გადასაცემად წარგზავნილებს იყენებს და არა ელექტრონულ ფოსტას ან მობილურ ტელეფონს, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ივნისში მისი ერთ-ერთი საკვანძო პირის შემთხვევით დაკავებამდე პრაქტიკულად არაფერი იცოდა არც ამ დაჯგუფებაზე, არც მის ხელმძღვანელობაზე, არც მის რიცხოვნებასა და მიზნებზე.** საბოლოოდ გაირკვა, რომ ისლამური სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე წლის წინ ამერიკულ ციხე Camp Bucca-ში იჯდა.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა ჩვიდმეტივე სადაზვერვო უწყება, რამდენად არაეფექტურია მათზე დახარჯული 68 მილიარდი დოლარი, როდესაც მთელი მსოფლიო პრაქტიკულად თავდაყირა დგას, ვილაც ტერორისტები კი ხალიფატს ქმნიან, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩინოვნიკების განცვიფრებული კომენტარების მოსმენაც საკმარისია.

**სნოუდენის მხილებებმა მსოფლიოს თავზარი დასცა, მაგრამ საკითხავი მხოლოდ ის კი არ არის, თუ ვის უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ ამერიკელი მზვერავები, არამედ ისიც, თუ რა გაარკვიეს ამ თვალთვალის შედეგად, რა დასკვნა გამოიტანეს ინფორმაციის გორებიდან, მილიარდობით ბიტი სადაზვერვო მონაცემიდან, რომელთაც ყოველთვიურად აგროვებდნენ ცალკეულ ქვეყნებში?** პასუხი ნათელია: სადაზვერვო საზოგადოება, უბრალოდ, ჩაიხრჩო ინფორმაციის ჭაობში და ახლა კოლექტიურ სიბრმავეს განიცდის — ვერ ხვდება, როგორ ცხოვრობს მსოფლიო. ასე რომ, 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილი მთელი სადაზვერვო სისტემა უსარგებლოა, მასზე დახარჯული მილიარდები კი — გადაყრი-

---



## ებოლას ვირუსით კვირაში 10 ათასამდე ადამიანი დაავადდება

**ებოლას ეპიდემიასთან ბრძოლის გაეროს მისიის ხელმძღვანელის ენტონი ბენბერის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოება ვირუსის გავრცელების ტემპებს ვერ უსწრებს.** გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას გაეროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ **ვირუსი იმაზე სწრაფად ვრცელდება, ვიდრე მედიკოსები სათანადო ზომებს იღებენ.** ბენბერის განცხადებით, **დეკემბრისთვის კვირაში 10 ათასამდე ადამიანის დაავადებაა მოსალოდნელი.** მისივე თქმით, თუკი ებოლას შეჩერებას ვერ შეძლებენ, მსოფლიო აღმოჩნდება სრულიად უპრეცედენტო ვითარებაში, რისთვისაც მოქმედების გეგმა არ არსებობს. **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ებოლას ვირუსით გარდაცვლილთა რიცხვმა 4 447-ს მიაღწია.**



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა ვალუტები, რომლებიც არ არის გამყარებული დამოუკიდებელი ღირებულების მქონე აქტივებით, მიიღება მხოლოდ იმ სუვერენული ქვეყნების საკრედიტო გარანტიების წყალობით, რომელთაც გადასახადების მოკრების უფლებები გააჩნიათ. კრიზისის პირობებში ასეთი გარანტიები კონკურენციას ვერ გაუწევს უნივერსალურად მისაღებ ოქროს.**

◀ ლი. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად მცდარია ამავე სადაზვერვო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შეფასებები იმ ნამცეცა, შესაძლოა, სულაც არარსებული ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ვითომდა ათასგვარი კოშმარული გზით გაანადგურებენ ამერიკას.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, **ზემოხსენებული 17 უზარმაზარი სტრუქტურიდან მინიმუმ 15 გასაუქმებელია, დარჩენილი ორი კი — შესამცირებელი. სახელმწიფო მსოფლიოსა და ამერიკისთვის შექმნილი საფრთხეების შესახებ გაცილებით მეტს გაიგებდა მცირედ დაფინანსებადი გინიერი მიმომხილველების პატარა ჯგუფისგან, რომლებიც ინფორმაციის მხოლოდ ღია წყაროებზე იმუშავებდნენ.**

ერთმანეთის დუბლირებადი, გასამხედროებული, ღრმად გასაიდუმლოებული 17 უწყებისგან შექმნილი ლაბირინთი, რომელშიც მრავალი შემადგენელი ერთი და იგივეთია დაკავებული, დამღუპველი შეშლილობის მზა რეცეპტია. სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამერიკის სადაზვერვო სამსახური სულ უფრო მეტად ემსგავსება ამერიკის არმიას, რომელსაც 11 სექტემბრის შემდეგ არც ერთი ომი არ მოუგია და იმ ამოცანათაგან არც ერთი არ შეუსრულებია.

ეს დუბლირებული უწყებების ჯაჭვი ძალიან ჰგავს „რუბ გოლდბერგის მანქანას" — მოწყობილობას, რომელიც ძალზე უბრალო მოქმედებას წარმოუდგენლად რთული გზით ასრულებს. მისი დევიზის თანახმად, ნებისმიერი წარუმატებლობა უდიდესი მიღწევაა, რადგან საბოლოო ჯამში დაზვერვის ნებისმიერი ჩავარდნა მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ საჭიროა უსაფრთხოების გაცილებით უფრო საიმედო სისტემა, მეტი ძალები და სათვალთვალო საშუალებები, მეტი ჯაშუშები და უპილოტო საფრენი აპარატები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სისტემა შემდგომი გაფართოებისთვის ფულს მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევაში იღებს.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ XXI საუკუნის სადაზვერვო ვერსია სწორედ კატასტროფული მარცხიდან გაჩნდა — 11 სექტემბრის ტერაქტების შესახებ ინფორმაცია ან უბრალოდ იგნორირებულ იქნა, ან ზემოხსენებულ ლაბირინთში სადღაც ჩაიკარგა. ასე რომ, რაც უნდა საბედისწერო შეცდომები დაუშვას დაზვერვამ, ეს შეცდომები მისი გამარჯვება და წარმატებაა, რადგან სწორედ მათი წყალობით მოიპოვებს დაფინანსებას, უფლებამოსილებას, ძალაუფლებას, გასაიდუმლოებას, კარიერასა და სიცოცხლისუნარიანობას.

**Open Democracy**

# ოქროს წესი

**თუ ჩინეთი 4 ტრილიონი დოლარის მოცულობის თავისი სავალუტო რეზერვების შედარებით მცირე ნაწილს ოქროდ აქცევს, ქვეყნის ვალუტა განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს თანამედროვე საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში. ცხადია, მცდელობა — რეზერვების ნაწილი ოქროს ზოდების საკმაო რაოდენობაზე დაიხარჯოს, რათა მონეტარული ოქროს მარაგების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი დააკარგვინოს ამერიკის შეერთებულ შტატებს (2014 წლის გაზაფხულისთვის ამერიკის ოქროს მარაგი 328 მილიარდ დოლარს შეადგენდა), სარისკო საქმეა. დანარჩენ მსოფლიოში ოქროს ფასი, რა თქმა უნდა, გაიზრდება, მაგრამ მხოლოდ დაგროვების პერიოდის დასრულებამდე. როდესაც ჩინეთი მიზანს მიაღწევს, ფასი, წესით, კვლავ უნდა დავარდეს.**



უფრო რადიკალურ ცვლილებებზე — ისეთზე, როგორიც რაღაც ფორმით ოქროს სტანდარტზე დაბრუნებაა, ჯერჯერობით საუბარი არ არის. ამ იდეას ცოტა მომხრე ჰყავს — ახლა ყველა ფულის, როგორც კანონიერი ანაზღაურების საშუალების, ცვალებადი გაცვლითი კურსების მომხრეა. მაგრამ ოქროს აქვს რამდენიმე განსაკუთრებული თავისებურება, რომელიც არ გააჩნია არც ერთ სხვა ვალუტას, გარდა ვერცხლისა. ორ ათასწლეულზე მეტი ხნის მანძილზე ის გადახდის უდავო საშუალებას წარმოადგენდა, არასდროს ითხოვდა მესამე მხარის საკრედიტო გარანტიებს. როდესაც ობლიგაციებისთვის ოქროთი იხდიდნენ საზღაურს, კითხვები არავის უჩნდებოდა. საკმარისია, ითქვას, რომ ეს იყო გადახდის ერთადერთი ფორმა, რომელსაც გერმანიაში ექსპორტიორები იღებდნენ მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებისას.

ახლა ვალუტები, რომლებიც არ არის გამყარებული დამოუკიდებელი ღირებულების მქონე აქტივებით, მიიღება მხოლოდ იმ სუვერენული ქვეყნების საკრედიტო გარანტიების წყალობით, რომელთაც გადასახადების მოკრების უფლებები გააჩნიათ. კრიზისის პირობებში ასეთი გარანტიები კონკურენციას ვერ გაუწევს უნივერსალურად მისაღებ ოქროს.

დოლარს ან ნებისმიერ სხვა ვალუტას ყოველთვის და ყველგან რომ იღებდნენ, ცენტრალურ ბანკებს ოქრო აღარ დასჭირდებოდათ, მაგრამ ისინი ინახავენ ოქროს, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალუტები მაინც ვერ იქცა უნივერსალურ ექვივალენტად.

**მსოფლიოს 30 განვითარებული ქვეყნიდან, რომლებიც ცნობებს აწვდიან საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მხოლოდ ოთხს არ გააჩნია ოქროს რეზერვი.**

2013 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, განვითარებული ქვეყნების ბალანსზე არსებულმა ოქროს ღირებულებამ 762 მილიარდი დოლარი შეადგინა საბაზრო ღირებულებაზე გადაყვანით. ეს კი მათი საერთო რეზერვების 10,3%-ია. მსოფლიო სავალუტო ფონდის განკარგულებაშია კიდევ 117 მილიარდი დოლარის ღირებულების ოქრო.

პოლიტიკოსებმა უამრავჯერ წამოაყენეს ოქროს მარაგის ნაწილის გაყიდვის იდეა. მაგალითად, 1976 წელს გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც აშშ-ის ფინანსთა მინისტრი უილიამ საიმონი და ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველი საბჭოს მეთაური არტურ ბერნსი პრეზიდენტ ჯერალდ ფორდთან განიხილავდა საიმონის იდეას 275 მილიონი უნცია ოქროს გაყიდვისა და მიღებული სახსრების მომგებიან აქტივებში დაბანდების შესახებ. საიმონი, იმ შეხედულებების შესაბამისად, რომელთაც იმ პერიოდში გამოხატავდა ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი, ირწმუნებოდა, რომ ოქროს უკვე აღარ გააჩნდა ფულად-საკრედიტო მნიშვნელობა, ბერნსი კი მიიჩნევდა, რომ კრიზის შემთხვევაში შეიძლება დოლარისთვის საყრდენად გამოდგეს. მხარეებმა საერთო ენა ასეც ვერ გამონახეს. საბოლოო ჯამში, ფორდმა გადაწყვიტა, არაფერი გაეკეთებინა. იმ დროიდან აშშ-ის ოქროს მარაგი თითქმის არ შეცვლილა — ახლა ის 261 უნციას შეადგენს.

იგივე საკითხი დაისვა 1990-იან წლებშიც, როდესაც ერთი უნცია ოქროს ფასი 300 დოლარზე დაბლა დაეცა. დიდი ათეულის ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების პერიოდული შეხვედრებიდან ერთ-ერთი მიეძღვნა ევროპის ქვეყნების მისწრაფებას, შეემცირებინათ ოქროს მარაგი. ამასთან, მონაწილეებს ესმოდათ, რომ, თუ ისინი ოქროს გაყიდვას დაიწყებდნენ, ოქრო კიდევ უფრო გაიაფდებოდა. საბოლოო ჯამში მონაწილეები შეთანხმდნენ, თუ ვინ, როდის და რამდენს გაყიდდა. ვაშინგტონმა მაშინ პროცესში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

**1980-დან 2002 წლამდე ჩინეთის ხელისუფლებას 13 მილიონი უნცია ოქრო ჰქონდა. 2002 წლის დეკემბერში მან თავისი მარაგები 19 მილიონ უნციამდე გაზარდა, 2009 წლის აპრილში კი — 34 მილიონ უნციამდე. 2013 წლის დასასრულისთვის ჩინეთი მსოფლიოში ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე იყო ოქროს მარაგების სიდიდის თვალსაზრისით**



2014 წელს შეთანხმება განახლდა და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნა: **„ოქრო მსოფლიო სავალუტო მარაგების მნიშვნელოვან ნაწილად რჩება".**

ამ ყველაფრის პარალელურად პეკინს არასდროს ჰქონია ოქროს საწინააღმდეგო იდეოლოგიური წინასწარგანზრახვები. 1980-დან 2002 წლამდე ჩინეთის ხელისუფლებას 13 მილიონი უნცია ოქრო ჰქონდა. 2002 წლის დეკემბერში მან თავისი მარაგები 19 მილიონ უნციამდე გაზარდა, 2009 წლის აპრილში კი — 34 მილიონ უნციამდე. 2013 წლის დასასრულისთვის ჩინეთი მსოფლიოში ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილზე იყო ოქროს მარაგების სიდიდის თვალსაზრისით. ახლა ის მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს (261 მილიონი უნცია), გერმანიას (109 მილიონი უნცია), იტალიასა (79 მილიონი უნცია) და საფრანგეთს (78 მილიონი უნცია) ჩამორჩება. და კიდევ, 90 მილიონი უნცია ოქრო მსოფლიო სავალუტო ფონდის მფლობელობაშია.

მაგრამ რამდენი ოქროც უნდა დააგროვოს ჩინეთმა, არ გადაჭრის საკვანძო საკითხს: შეუძლიათ თუ არა თავისუფალ, არარეგულირებად კაპიტალის ბაზრებს ავტორიტარულ სახელმწიფოსთან თანაცხოვრება? დენ სიაოპინის ადრეული ინციატივების შემდეგ ჩინეთმა დიდი გზა განვლო. ის უახლოვდება მიზანს, რომელიც უაზრობად გამოიყურება — გაუტოლდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს საერთო შიდა პროდუქტით, თუნდაც პარიტეტით გადათვლილი მსყიდველუნარიანობის შესაძლებლობებით, მაგრამ პერსპექტივაში უკანასკნელი წლების გიგანტური მიღწევების შენარჩუნება სულ უფრო გართულდება.

**ნაკლებსავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ჩინეთმა ტექნოლოგიურად გაუსწროს აშშ-ს უფრო პოლიტიკური მიზეზების გამო, ვიდრე ეკონომიკურის. კულტურა, რომელიც უკიდურესი პოლიტიკური კონფორმიზმით გამოირჩევა, არაორდინალური აზროვნებისთვის ცოტა სივრცეს ტოვებს.** ამასთანავე, ინოვაციები საყოველთაოდ მიღებულიდან გადახვევებს მოითხოვს, ეს კი მუდამ ძნელი გასაკეთებელია საზოგადოებაში, რომელიც სიტყვისა და მოქმედების თავისუფლებაშია შეზღუდული.

ჯერჯერობით ჩინეთის საზოგადოება სიცოცხლისუნარიანი და, საერთო ჯამში, პოლიტიკურად სტაბილურია, რადგან ერთპარტიული სახელმწიფოს პოლიტიკური შეზღუდვები წონასწორდება ხელისუფლების უნარით, უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და მატერიალური კეთილდღეობა. არადა, უახლოეს წლებში ეს სიტუაცია, შესაძლოა, შეიცვალოს: **ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი იკლებს და მისი კონკურენტული უპირატესობებიც მცირდება.**

**ალან გრინსპენი,**
**ამერიკელი ეკონომისტი, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი 18 წლის მანძილზე (1987-2006).**

**FOREIGN AFFAIRS**



## რომის პაპამ ეკლესიებს გეების მიღებისკენ მოუწოდა

**ვატიკანი გამოვიდა ოფიციალური განცხადებით, რომელშიც ეკლესიებს საკუთარ წიაღში გეების მიღებისკენ მოუწოდებს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ერთსქესიან წყვილებს გააჩნიათ „პოზიტიური ასპექტები".** დოკუმენტი მომზადდა იმ მრავალკვირიანი განხილვის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას 200 ეპისკოპოსი იღებდა. ეკლესიამ გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის გაეკეთებინა გამოწვევა და თავის წიაღში „ძმური ადგილი" გამოენახა არაჰეტერონორმატიული ადამიანებისთვის. „გეებს აქვთ ნიჭი და თვისებები, რომლებიც მათ შეუძლიათ ქრისტიანულ საზოგადოებას შესთავაზონ", — წერია დოკუმენტში. გარდა ამისა, პაპი ფრანცისკი ერთმორწმუნეებს მოუწოდებს, გახდნენ მომთმენნი და არ გამოიყენონ სიტყვა „ბუნებისგან დაჩაგრული" გეებთან მიმართებაში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პანეტამ ობამა საგარეო პოლიტიკისა და ნაციონალური უსაფრთხოების ყველა პუნქტის მიხედვით გაანადგურა.

# ლეონ პანეტა და ჰილარი კლინტონი ობამას წინააღმდეგ



**ზუსტად ძნელი სათქმელია, თუ ვინ იყო პირველი ანტიობამურ „კოალიციაში“: ლეონ პანეტა თუ ჰილარი კლინტონი. უფრო — მეორე, ის მუდამ წამომწყები იყო. ანალიტიკოსები ტყუილად როდი ვარაუდობდნენ, რომ თავის დროზე თეთრ სახლში საქმეს სწორედ ეს ქალბატონი აკეთებდა, ობამა მხოლოდ ეთანხმებოდა და აქებდა. თვით ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდშიც კი მეუღლეს სწორედ ჰილარი უწერდა ხოლმე გამოსვლებისას წასაკითხ ტექსტებს.**

ახლახან ლეონ პანეტას მემუარების წიგნი გამოვიდა. როგორც გამოცემა The Daily Beast იტყობინება, ყოფილი თავდაცვის მინისტრი ძალზე უხეშად მოიხსენიებს პრეზიდენტ ბარაკ ჰუსეინ ობამას.

როცა ცსს-ს ყოფილი დირექტორი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი (ბატონ პანეტას ორივე ხსენებული თანამდებობა სწორედ ობამას პრეზიდენტობისას ეკავა) აცხადებს, რომ ბარაკ ობამამ საგარეო პოლიტიკაში „კურსი დაკარგა“, მან თავისი განცხადებებით დააბნია არამხოლოდ მოწინააღმდეგეები, არამედ მოკავშირეებიც, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ინტერესების დასაცავად კი „აბდაუბდა“ იყენებდა სამხედრო ძალას.

**ჟურნალი NEWSWEEK აღნიშნავს, რომ პანეტამ საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ობამა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ სულ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი კიდევ ერთმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა რობერტ გეიტსმა არ დაინდო.**

პანეტას თვალსაზრისით, რაც ჟურნალმა ზემოხსენებული წიგნიდან ამოიკითხა, ბარაკ ობამა მხოლოდ იმას აკეთებს, რომ თავს არიდებს ბრძოლას, წუწუნს და ხელიდან უშვებს შესაძლებლობებს. 2009 წლიდან მოყოლებული, როდესაც პანეტა ცსს-ს დირექტორი იყო, იგი ეჭვქვეშ აყენებდა ობამას ლიდერობას.

პანეტა გამოდიოდა იმ სახელმწიფოებრივი წამების პრაქტიკის წინააღმდეგ, რომლის კულტივირებაც უმცროსი ბუშის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა და მხარს უჭერდა „დაკითხვის მეთოდების სრულყოფის“ აკრძალვას.

თუმცა თავის წიგნში მან ერთი რამ ახსნა — საზოგადოება მიახვედრა, რომ წამება ძალიან ცუდია, რომ ამ თვალსაზრისით ამერიკას საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს, თუმცა საჭირო იყო იმის გათვალისწინებაც, რომ „მკაცრი დაკითხვები“ აღმოჩნდა ის ერთადერთი მეთოდი, რომელმაც შესაძლებელი გახადა „ზოგიერთი პატიმრისგან“ „ალ ქაიდას“ შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მოპოვება.

გარდა ამისა, პანეტა უმცროსი ბუშის ეპოქის „დაკითხვების ტაქტიკისთვის“ საიდუმლოების ფარდის ახდის წინააღმდეგია. მისი თქმით, არასწორია, აუხსნა სახელმწიფო მოხელეს, რომ წამება იურიდიულად გამართლებულია, რამდენიმე წლის შემდეგ კი განუცხადო, რომ იგი ცუდად მოიქცა. პანეტა აღნიშნავს, რომ ობამამ ამასთან დაკავშირებით მისი რჩევა უგულვებელყო. ექს თავდაცვის მინისტრმა გააკრიტიკა კონგრესთან პრეზიდენტის ურთიერთქმედებაც.

მისი აზრით, პრეზიდენტი უგულებელჰყოფს კონგრესს, „მგრძნობიარე საკითხებთან დაკავშირებით“ მის წარმომადგენლებთან კონსულტირების სურვილი არ გააჩნია.

ყოფილი თავდაცვის მინისტრისათვის ყველაზე მტკივნეული ერაყის საკითხია.

2011 წელს პანეტა შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტის წევრებთან და სამხედრო მეთაურებთან ერთად გამოდიოდა ერაყში ამერიკის მცირე კონტინგენტის შენარჩუნების მხარდასაჭერად. ეს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების შესაძლებლობას გააჩენდა. პანეტამ ახალი ტერორისტული ორგანიზაციის სავარაუდო გაჩენაც კი იწინასწარმეტყველა. მისი თქმით, ერაყი თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო **„ახალი თავშესაფარი ტერორისტებისთვის, რომლებიც აშშ-ისთვის დარტყმების მიყენებას მოინდომებდნენ“.**

მაგრამ თეთრი სახლის ადმინისტრაციას დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, გათავისუფლებულიყო არაპოპულარული ომის სიმძიმისგან. ამერიკის უკანასკნელი ჯარისკაცები ერაყიდან 2011 წელს წავიდნენ. ამასთან, პანეტა დარწმუნებული იყო, რომ აშშ-ის მცირე კონტინგენტს, რომელიც ქვეყანაში დარჩებოდა, შეეძლებოდა, ეფექტური კონსულტაცია გაეწია ერაყელი სამხედროებისთვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღდგომოდნენ წინ „ალ ქაიდას“ დაბრუნებას და ძალადობას.

პანეტას არც სირიასთან დაკავშირებული ობამასეული პოლიტიკა ხიბლავს.

ვინაიდან პრეზიდენტმა გაავლო მკვეთრი „წითელი ხაზი“, არ იყო საჭირო მკვეთრი „ფლიპ-ფლოპი“ ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლებთან კონსულტაციების გარეშე. ამის ნაცვლად ობამა დათანხმდა, რომ ასადი გაანადგურებდა თავის ქიმიურ იარაღს. სწორედ ამას მიიჩნევს პანეტა შეცდომად. იგი ასევე ვარაუდობს, რომ ამგვარი უმოქმედობა მსოფლიოში ამერიკისადმი ნდობას ანადგურებს და იხსენებს, რომ ორი წლის წინათ თავად გამოდიოდა ამერიკის მიერ სირიის ამბოხებულების შეიარაღების მოწოდებით. ვაშინგტონს რომ მაშინ გაეკეთებინა ეს, ამერიკას ამჟამინდელი ფასის გადახდა არ მოუწევდა ისლამური სახელმწიფოს ქმედებების გამო.



## 2009 წლიდან მოყოლებული, როდესაც პანეტა ცსს-ს დირექტორი იყო, იგი ეჭვქვეშ აყენებდა ობამას ლიდერობას



ასე რომ, პანეტამ ობამა საგარეო პოლიტიკისა და ნაციონალური უსაფრთხოების ყველა პუნქტის მიხედვით გაანადგურა.

12 ოქტომბერს კი გამოცემა The Hill-ში გაჩნდა საინტერესო შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიტტექნოლოგმა დიკ მორისმა ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკის მწარე კრიტიკოსთან — ლეონ პანეტასთან შეთქმულებაში დაადანაშაულა.

**„ვფიქრობ, ამ კრიტიკისაკენ პანეტას ჰილარიმ უბიძგა“,** — განაცხადა მორისმა რადიოინტერვიუში.

**„ის, რაც პანეტამ გააკეთა, არის დარტყმა, ეს არის ჰილარის მიერ დაკვეთილი მკვლელობა. პანეტა ძირითადად კლინტონის კაცია და არა ობამასი. დანამდვილებით და სიმართლესთან მიახლოებულად აღწერა რა მინისტრთა კაბინეტში მიმდინარე განხილვები, მან ჰილარი უკეთ წარმოაჩინა, ობამა კი — დაამცირა. ვფიქრობ, ამისათვის მიიღებს საკუთარ ჯილდოს ცაში“,** — აღნიშნა მორისმა.

ამგვარი სტრატეგია სულაც არ არის გასაკვირი. ჰილარი კლინტონი ხომ ნათლად უმიზნებს საპრეზიდენტო სავარძელს მომავალ არჩევნებში. დღეისათვის იგი პრეზიდენტობის 16 სავარაუდო კანდიდატს შორის ყველაზე პოპულარული პერსონაა. საეჭვოა, მას წინააღმდეგობა გაუწიონ თვით ამერიკაში ისეთმა პოპულარულმა ადამიანებმაც კი, როგორებიც არიან სენატორი რენდ პოლი და არკანზასის ექს-გუბერნატორი მაიკ ხაკაბი.

შეგახსენებთ, 2013 წლის იანვრის ბოლოს ჰილარი კლინტონი ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ის ეთერში გამოვიდა ბარაკ ობამასთან ერთად, მანამდე ობამა ერთობლივ ინტერვიუებს არ იძლეოდა. ჰილარისათვის პრეზიდენტმა გამონაკლისი დაუშვა. კამერის წინ ბარაკმა ჰილარის მეგობარი და აშშ-ის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სახელმწიფო მდივანი უწოდა. ჰილარიმ კი ერთხელ თქვა, რომ ჭკვიანი ხელისუფლების არსი ჭკვიან ადამიანებშია და, ცხადია, ეს ობამას არ ეხებოდა...

topwar.ru

მოკლედ



## ამერიკა და რუსეთი სადაზვერვო მონაცემებს გაცვლიან



**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, უკრაინასთან დაკავშირებით უთანხმოების მიუხედავად, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.** როგორც ლავროვმა პარიზში, ამერიკელ კოლეგასთან ჯონ კერისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მხარეები ისლამური სახელმწიფოს შესახებ სადაზვერვო მონაცემებს გაცვლიან. მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კი დიპლომატებმა დაადასტურეს, რომ, მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის კვლავ ბევრი საკითხია, რაზეც პოზიციათა თანხვედრა ვერ ხერხდება.

ყოველთვის, როდესაც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ახალ მოწყობილობას ვამატებთ, საკუთარი თავის მცირე ნაწილს გავცემთ და ხშირად არც კი ვფიქრდებით, თუ ვის ხვდება წილად ეს ნაწილი, ვიზიარებთ თუ არა მისი ახალი მფლობელების ღირებულებებსა და ეთიკას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თქვენი მონაცემები თუ თქვენი სიცოცხლე?

**ფირმა Apple-ს ახალი საათი თვალყურს ადევნებს თქვენს ჯანმრთელობას. Google-ის გაჯეტი ინფორმაციას აგროვებს, ზუსტი დროის განსასაზღვრად, თუ როდის უნდა გაემგზავროთ აეროპორტისკენ. ფირმა Amazon-ი გატყობინებთ, რომელი წიგნები გჭირდებათ და რა პროდუქტები უნდა შეიძინოთ მაღაზიაში, რომელი კინოფილმები მოგეწონებათ; ამავე დროს ყიდის პლანშეტს, რომელიც საშუალებას მოგცემთ, სულ უფრო მეტი რამ შეუკვეთოთ. როდესაც სახლს უახლოვდებით, სინათლე ინთება და სახლში ავტომატურად დგება ის ტემპერატურა, რომელიც ადრე შეუკვეთეთ...**





ციფრული მართვისა და აღჭურვილობის ამგვარი გაერთიანება და სინთეზი ჩაფიქრებულია იმისთვის, რათა გაადვილდეს ჩვენი ცხოვრება და ეჭვი არაა, რომ ცხოვრება მართლაც ადვილდება. მაგრამ ხომ არ შევწყვიტეთ პრინციპული კითხვების დასმა საკუთარი თავისა და იმ ფირმებისთვის, რომლებსაც ყოველივე ამის კეთება მივანდეთ? საკმარისად შევისწავლეთ ამ კომფორტისა და ცხოვრების გამარტივების პოტენციური საფასური და ვკითხეთ კი საკუთარ თავს, გვილირს თუ არა ეს ყოველივე ამად?

**ყოველთვის, როდესაც ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ახალ მოწყობილობას ვამატებთ, საკუთარი თავის მცირე ნაწილს გავცემთ და ხშირად არც კი ვფიქრდებით, თუ ვის ხვდება წილად ეს ნაწილი, ვიზიარებთ თუ არა მისი ახალი მფლობელების ღირებულებებსა და ეთიკას.** ჩვენ ძალზე ზედაპირული ინფორმაცია გვაქვს იმ კომპანიებზე, რომლებიც დგანან ამის უკან და იღებენ ჩვენს ინფორმაციას. მაგრამ, გარდა მარკეტინგული ინფორმაციისა, ამ კომპანიების თანამშრომლები ჩვენთვის უსახურები და უსახელონი არიან. არაფერი ვიცით მათ შესახებ, მათ კი ბევრი რამ იციან ჩვენზე.

**აზრი იმის შესახებ, რომ კომპანიებმა შეიძლება იცოდნენ, თუ სად ვართ, რას ვუყურებთ ტელევიზორში, რა სამედიცინო ჩვენებები გვაქვს და ასე შემდეგ, წინა თაობას წარმოუდგენლად მოეჩვენება.** მათ პერიოდში რაღაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო ბანკისთვის, რაღაც იცოდა ექიმმა, რაღაც — საგადასახადო აგენტმა, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ეკონტაქტებოდნენ. **დღეს Apple-მა და Google-მა ეს ყველაფერი იციან და მთელ ინფორმაციას ერთად ინახავენ.** ეს ძალზე მოხერხებულია მოხმარებისთვის, მაგრამ **ძალიან ცუდი იქნება, თუ ისინი გადაწყვეტენ, გამოიყენონ ინფორმაცია იმ მიმართულებით, რომელზეც წინასწარ თანხმობა არ გაგვიცხადებია.**

**ახლახან ჰაკერებმა უკანონოდ მიითვისეს ფოტოები, რომლებიც სისტემა SNAPCHA-ით იყო გაგზავნილი.** ამ სისტემას ძირითადად ახალგაზრდები იყენებენ და გათვალისწინებულია, რომ ფაილები ნახვის შემდეგ ავტომატურად უნდა იშლებოდეს სისტემიდან.

ანალოგიურად კერძოდ ითვლება ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, რომელიც პაციენტებს საშუალებას აძლევს, ექიმებთან გულახდილი იყვნენ. ვინაიდან ზღვარი სამედიცინო მომსახურებასა და ბიზნეს-ტექნოლოგიებს შორის უკვე იშლება, გადასატანი ელექტრონული მოწყობილობებისა და პროგრამების ზოგიერთმა მწარმოებელმა მოითხოვა, ეს მოწყობილობები ამოღებულ იქნეს სამედიცინო აღჭურვილობიდან, რათა თავიდან აიცილონ მოთხოვნა მიღებული ინფორმაციის საიმედო დაცვაზე.

**პირადი ინფორმაციის გასაიდუმლოება არის მხოლოდ ნაწილი დიდი დისკუსიისა ინფორმაციის ფლობასა და მასზე მონოპოლიასთან, უსაფრთხოებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით. ეს დისკუსია თვალთვალისა და ბედის საკითხებსაც კი მოიცავს.** ის მოიცავს ასევე ადამიანების უფლებას, წინასწარ აირჩიონ, როგორ იქნება გამოყენებული სამომავლოდ მათ შესახებ ინფორმაცია და როგორ შეძლებენ თავად ამ პროცესის მართვას.

**ყველაზე თანამედროვე ფირმები ამზადებენ ფორმალურ შეთანხმებას, ჰყავთ ეთიკის საკითხებზე მომუშავე შტატი, რისკების კომიტეტები და სხვა სტრუქტურები, რომლებიც თვალს ადევნებენ ინფორმაციის შეგროვებისა და გამოყენების პროცესს, რომელიც ყოველთვის წარმატებულად არ მთავრდება. მომცრო კომპანიებს ესეც კი არ აქვთ და, თუ სერიოზულ ეთიკურ შეცდომებს აქვს ადგილი, მომხმარებლები, უბრალოდ, წყვეტენ მათთან ურთიერთობას.**

ევროპაში პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა არასრულყოფილია, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში კი საერთოდ არც არსებობს. ბევრს წარმოდგენაც არ აქვს პრობლემის უამრავ ასპექტზე. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ვინაიდან ინტერნეტთან საყოველთაო წვდომისაკენ მივდივართ, საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა: პირადი ინფორმაციის რა ნაწილის გაცემა შეგვიძლია?

**Project Syndicate**

# რა იმალება გლობალური ზრდის შენელების უკან

**„მკაცრი ეკონომიის პოლიტიკა“ პრობლემას არ წარმოადგენს. ევროკავშირის ხელისუფლება დღეს საერთო შიდა პროდუქტის უფრო მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს, ვიდრე კრიზისამდე.**



გლობალური საფონდო ბაზრები ეცემა და ეს დანაშაული დიდწილად ევროპის კისერზეა. გერმანული საწარმოების დაკვეთების მოცულობები აგვისტოში 5,7%-ით შემცირდა, რეალური საერთო შიდა პროდუქტი სტაგნირებულია ან მცირდება ევროპის ქვეყნების უმეტესობაში, კომპანია Standard & Poors-მა საფრანგეთის რეიტინგი AA+-დან AA-მდე დაწია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია კი ეკონომიკის ზრდის პროგნოზებს ამცირებენ. ეს ყველაფერი შემაშფოთებელია, გავლენიანი ექსპერტები კი ხელისუფლებას სთხოვენ, რაიმე იღონოს. მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, არ ჰგავს 2008 წლის პანიკას, ევროპაში ტემპების შენელება კი რაღაც სიახლეს არ წარმოადგენს — ეს არის „ძველი და ნორმალური მდგომარეობა“.

**ევროკომისიის მიერ წამოდგენილი მონაცემები იმაზე მიანიშნებს, რომ ევროზონის 18 ქვეყანას 2014 წლის მეორე კვარტალში წარმოების მოცულობის ზრდის რეალური ნულოვანი მაჩვენებელი ჰქონდა.** ევროზონაში რეალურმა ზრდამ 2013 წელს სულ რაღაც 0,5% შეადგინა 2012 წლის 1%-იანი ვარდნის შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **2014 წლის შუა პერიოდში წარმოების მოცულობა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 2011 წლის ბოლოს.**

მართალია, 2008-2009 წლების დიდი რეცესიის შემდეგ აღდგენა ყველგან ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ ევროპაში ეკონომიკური ზრდა უკვე ათწლეულების მანძილზე ჩამოუვარდება იმავე აშშ-ის მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკოსები განაგრძობენ 2008 წლის მოვლენების გამოყენებას თავის გასამართლებლად სახელმწიფო როლის ზრდის გამო, არადა, სწორედ ამგვარი პოლიტიკა განაპირობებს შენელებულ ზრდას.

საჭიროა ნაკლები სახელმწიფო და არა მეტი. ხელისუფლება კი განაგრძობს დეფიციტურ საბიუჯეტო დაფინანსებას, როგორც 1970-იან წლებში აკეთებდნენ ამას. იმ პერიოდში ანალოგიურმა ზომებმა ვერ მოახდინა ზრდის სტიმულირება, ვერც დღეს ასრულებენ აღნიშნულ ფუნქციას.

ევროზონაში 2013 წელს სახელისუფლო ხარჯებმა საერთო შიდა პროდუქტის 49,8% შეადგინა, 2006 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 46,7%-ს უტოლდებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ევროზონის ხელისუფლებამ საერთო შიდა პროდუქტის 3,1% — დაახლოებით 300 მილიარდი ევრო — გადაყლაპა. კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით, ეს დაახლოებით ავსტრიის მთელი ეკონომიკის მოცულობაა.**

საფრანგეთმა 2013 წელს საერთო შიდა პროდუქტის 57,1% დახარჯა, 2009 წელს, ანუ გაგანია კრიზისის დროს კი — 56,7%. ეს მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის მეორე მხარეა, არადა, ფრანგული ეკონომიკა, უკვე ექვსი თვეა, აღარ გაზრდილა. გასაკვირი არ არის, რომ მისი სავალე რეიტინგი შეამცირეს. იტალიის შემთხვევაში ეს მაჩვენებლი 50,6%-ს შეადგენს, ანუ იტალიელები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე ევროზონის საშუალო მაჩვენებელია. საქმე მაინც არ არის კარგად, რადგან, მიუხედავად ამისა, იტალიის ეკონომიკა გაცილებით უფრო სწრაფად მცირდება.

**ნებისმიერი ეკონომიკა შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: კერძო სექტორი და სახელმწიფოებრივი სექტორი. რაც უფრო დიდია სახელმწიფო წილი, მით ნაკლები რჩება კერძო სექტორს, რაც აღნიშნავს ნაკლებ სამუშაო ადგილებს და ცხოვრების დაბალ დონეს.**

სახელმწიფო რომ უფრო ეფექტური იყოს, ვიდრე კერძო ბიზნესი, ამგვარი შეფასება არასწორი იქნებოდა, მაგრამ სახელმწიფო ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველობას თმობს.

**შეუძლია კი ცენტრალური ბანკის პოლიტიკას, მათ შორის რაოდენობრივ შერბილებას, ეკონომიკის დასუსტების, დეფიციტებისა და სახელმწიფოს დანახარჯების კომპენსირება კერძო ბიზნესის იძულებითი გამოკვებისა და მისი ზრდის სტიმულირების ხარჯზე?**

ფედერალური რეზერვის მონეტარული ბაზა (ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობა და რეზერვების ბალანსი) იზრდება წელიწადში 28,8%-ით მას შემდეგ, რაც რაოდენობრივი შერბილების პროგრამა ამუშავდა. ეს ფულადი აგრეგატი წელიწადში მხოლოდ 6,7%-ით იზრდება. ამ ახალი ფულის დიდი ნაწილი ბანკებს რომ კრედიტების სახით გაეცათ, ფულადი აგრეგატი „ს2“-იცა და ინფლაციაც მნიშვნელოვნად დაჩქარდებოდა. მაგრამ ახლა გამოუყენებელი რეზერვები 2,7 ტრილიონ დოლარს შეადგენს. აი, რატომ არ ჩქარდება ინფლაცია.

კეინსიანელები ამგვარ სიტუაციას „ლიკვიდურობის ხაფანგს“ უწოდებენ — სიტუაცია, როდესაც მომხმარებლები ფულს არ ხარჯავენ, ბიზნესმენებს კი ინვესტირება არ სურთ. სინამდვილეში საუბარია „დიდ სახელისუფლო ხაფანგზე“, სიტუაციაზე, როდესაც ხელისუფლება შეისრუტავს კერძო სექტორში ზრდის მთელ მოგებას და ინვესტიციებს მანამ, ვიდრე ეს ყველაფერი ეკონომიკამდე მივა.

ევროპაში ეკონომიკური ზრდა, დიდი ხანია, ნელდება და შესაძლოა, ამან ახალი ეკონომიკური კრიზისი არ გამოიწვიოს გლობალური მასშტაბებით, მაგრამ ხელისუფლებას უკვე გამოელია თავის მართლების ხრიკებიც.

**The Wall Street Journal**

ამერიკა

## McDonalds-ი ჰორმონებით გაზრდილ ხორცს იყენებს



**ამერიკულმა კორპორაციამ McDonalds-მა განცხადა, რომ ღორი, რომლის ხორცსაც ისინი თავიანთ პროდუქციის დასამზადებლად იყენებენ, ჰორომონების საშუალებითაა გაზრდილი.** მათივე განცხადებით, ეს ამერიკელ ფერმერებს შორის აპრობირებული და უკვე კარგად დანერგილი მეთოდია. ცოტა ხნის წინათ კომპანიამ პირველად შეუშვა მედიის წარმომადგენლები თავის ერთ-ერთ გადამამუშავებელ ქარხანაში. მათი თქმით, ისინი თავიანთ პროდუქტში როგორც მჭლე, ასევე ქონიან ხორცს იყენებენ, დაბინძურებული ხორცი კი, უბრალოდ, ვერ მოხვდება მათი წარმოების ხაზში.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტეკილას ისტორია VIII საუკუნეში იღებს სათავეს. როცა ინდიელთა ერთ-ერთმა ტომმა აგავისგან რძისფერი, ქაფიანი, 4-დან 6-გრადუსამდე სიძლიერის წვენის — პულკეს გაკეთება ისწავლა.**



# ყველაფერი ტეკილას შესახებ

**ტეკილა ძლიერი ალკოჰოლური სასმელია, რომელსაც ქალაქ ტეკილას მიდამოებში აკეთებენ. ეს ქალაქი შტატ ხალისკოს დასავლეთ ნაწილში, გვადალახარადან 65 კმ-ის მოშორებით ჩრდილოეთ-დასავლეთში მდებარეობს. სასმელის სიძლიერე 38-42 გრადუსია და მზადდება ცისფერი აგავის შუაგულისგან — მექსიკისთვის ტრადიციული აგავისებრთა ოჯახის მცენარისგან, დისტილაციის მეთოდით. ტეკილა უნდა შეიცავდეს აგავისგან მიღებულ 51% სპირტს; დანარჩენი ნაწილი — სპირტი მიიღება სხვა ნედლეულისგან (მაგ: სიმინდის ან შაქრის ლერწმისგან). ტეკილა „პრემიუმი“ იწარმოება მხოლოდ ცისფერი აგავისგან და ბოთლზე აუცილებლად უნდა იყოს წარწერა „100% აგავა“ ან „100% ცისფერი აგავა“. თუ წარწერა არ არის, ესე იგი ეს უფრო ტეკილას იაფფასიანი მარკა ეგრეთ წოდებული მიხტოა.**

აგავის სიროფი ან ნექტარი შეიცავს დაახლოებით 90% ფრუქტოზას და ხშირად გამოიყენება დამტკბილებლად.

ტეკილას წარმოების ისტორიულ ადგილებსა და მის გამომშვებ ქარხნებს იუნესკო იცავს, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს. ქალაქ ტეკილაში ტეკილას ნაციონალური მუზეუმიცაა.

ტეკილას სპეციალისტს ტეკილეროს უწოდებენ. მან უნდა იცოდეს არა მარტო სასმელის წარმოება, არამედ მისი ისტორიაც და მასთან დაკავშირებული მექსიკური ფოლკლორიც. სემინარები და საატესტატო გამოცდები ტეკილეროს სერთიპიკატის მისაღებად ქალაქ ტეკილაში ტარდება.

**ტეკილას ისტორია VIII საუკუნეში იღებს სათავეს. როცა ინდიელთა ერთ-ერთმა ტომმა აგავისგან რძისფერი, ქაფიანი, 4-დან 6-გრადუსამდე სიძლიერის წვენის — პულკეს გაკეთება ისწავლა. ლეგენდის თანახმად, ინდიელებმა პულკეს დამოუკიდებლად კი არ მიაკვლიეს, არამედ ამაში ღმერთი დაეხმარათ — აგავის ნაყოფს მეხი დაეცა, ორ ნაწილად გააპო, მისი გულიდან კი ნექტარი გადმოიღვარა. მანამდე მექსიკელებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ამ მცენარეში „ღმერთის წყალობა“ იმალებოდა.**

როგორც კი ამის შესახებ შეიტყვეს, ნექტარის გამოყენება დაიწყეს. დროთა განმავლობაში ჩვეულებრივი წვენი სასმელად იქცა. მოგვიანებით აგავა 400-მკერდიან ქალღმერთთან — მაიაუელთან გააიგივეს, ხოლო მის მთავარ ვაჟად შერაცხეს ომე ტოჩტლი, რომელსაც პულკეს ღმერთად მიიჩნევდნენ.

დიდი ხნის განმავლობაში პულკე ერთადერთ მექსიკურ ალკოჰოლურ სასმელს წარმოადგენდა. ეს იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე ესპანელებმა სპირტის გამოხდის ევროპული ტექნოლოგიები არ შემოიტანეს.

პირველად **მესკალი** — აგავის ტკბილი წვენის გამოხდის შედეგად მიღებული პროდუქტი — 1521 წელს აწარმოეს. ტეკილას მამად ისტორიამ შერაცხა ალტამირის მარკიზი — **დონ პედრო სანჩეს დე ტაგლი**, რომელმაც 1600 წელს ტეკილას პირველი ქარხანა დააარსა. სასმელის პოპულარობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა, 1608 წელს ადგილობრივმა მმართველებმა ამ სასმელით ვაჭრობისთვის სპეციალური გადასახადიც კი შემოიღეს.

XVIII საუკუნეში ტეკილა იქცა მნიშვნელოვან საექსპორტო საქონლად, რომლის წარმოებასაც ესპანეთის მეფე აკონტროლებდა. პირველი მწარმოებელი, რომელმაც 1795 წელს მიიღო ლიცენზია ტეკილას ოფიციალური წარმოებისთვის, ჟოზე მარია კუერვო იყო. მისი სახელობის მარკა დღესაც არსებობს და, ცხადია, მსოფლიოში უძველესად ითვლება.

ამ სასმელისთვის ოქროს ხანად იქცა XIX საუკუნის დასაწყისი, როდესაც იგი ამერიკელებმა აღიარეს, ხოლო მწარმოებლებმა მისი ევროპაში ექსპორტი დაიწყეს. იქამდე მესკალისა და ტეკილას ერთმანეთისგან გამოყოფა მოხდა. ისევე, როგორც ნამდვილი შამპანური მხოლოდ შამპანის პროვინციაში მზადდება, ტეკილად წოდების უფლება იმ მესკალის სახელს დაუკავშირდა, რომელსაც ხალისკოს შტატში, ქალაქ ტეკილას მიდამოებში აწარმოებდნენ. ცნობილია, რომ ერთ-ერთი დიალექტიდან ლიტერატურულ თარგმანში სიტყვა „ტეკილა“ გადასახადების გადახდის ადგილს აღნიშნავს.






**აგავას მცენარე, როგორც წესი, 7-დან 12-წლამდე უნდა იზრდებოდეს, რომ ტეკილას დასამზადებლად მისი გამოყენება შეიძლებოდეს. ამ დროს ის დაახლოებით 70კგ-ს იწონის**



სწორედ იქ ხარობს ეგრეთ წოდებული ცისფერი აგავა, რომელიც სიცოცხლეში ერთხელ ყვავის. **აგავას მცენარე, როგორც წესი, 7-დან 12-წლამდე უნდა იზრდებოდეს, რომ ტეკილას დასამზადებლად მისი გამოყენება შეიძლებოდეს. ამ დროს ის დაახლოებით 70კგ-ს იწონის.** ტეკილას წარმოების პროცესი აგავის მოშენებიდან იწყება, ეს პროცესი მიმდინარეობს მკაცრი და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რათა შეესაბამებოდეს ტრადიციებს.

**მექსიკური მცენარე Agave Tequilana blue weber იზრდება და ხარობს წითელ მიწაზე, მცხუნვარე მზის სხივებქვეშ.**

**ჰიმადორები** — ასე ეძახიან ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ ამზადებენ აგავას ექსტრაქტს. ისინი არიან ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში მწველი მზის ქვეშ აგავას უნდა შემოჭრან ფოთლები და ამოიღონ შიგთავსი, ეგრეთწოდებული პინა, რაც მექსიკურად „ანანასს“ ნიშნავს.

შეგროვილი პინა პლანტაციებიდან სახედრებს მიაქვთ სატვირთო მანქანებამდე, მანქანებს კი — ქარხნებში. მიტანისთანავე მათ ჩამოტვირთავენ და მუშები ცულებით დააპობენ, რათა მაქსიმალურად მოხერხდეს წვენის გამოწურვა.

ამის შემდეგ ნედლეული ღუმელში იგზავნება. **დაახლოებით 9 კგ პინა არის საჭირო იმისათვის, რომ საბოლოოდ 1 ბოთლი ტეკილა გამოვიდეს.** ღუმელში დამუშავების შემდეგ ნაყოფი რბილდება. **დამუშავების პროცედურა 46 საათს გრძელდება. 26 საათი — უწყვეტად ღუმელში გამოწვას, ხოლო შემდგომი 20 საათი გაგრილებას უნდება.**

გამომცხვარ პინას ჭრიან, რის შემდეგაც იგი იგზავნება სპეციალურ დანადგარზე, რომელიც წვენს წურავს.

მიღებულ წვენს უმატებენ ბუნებრივ საფუარს ხეხილის ხეებიდან, რომ სასმელი გაღვივდეს. გაფუების პროცესი 5 დღე გრძელდება, რის შემდეგაც აგავას წვენი იძენს 5%-იან სიძლიერეს. მიღებული სითხე სწორედ ის პულკეა, რომელსაც ძველი მექსიკელები მიირთმევდნენ. ამის შემდეგ წვენი გადის პირველ გამოხდას.

სასმელს სპეციალურ აპარატში ხდიან, რომელსაც ალამბიკი ჰქვია. ადრე ალამბიკი სპილენძის იყო. მასში წვენი ცხელდება 80 გრადუსამდე. სასმელი ორჯერ უნდა გამოიხადოს: პირველი გრძელდება 3 საათი, ხოლო მეორე — 6. ამის შემდეგ სასმელის სიმაგრე შეადგენს დაახლოებით 55%-ს, მერე უმატებენ წყალს, რითაც ამცირებენ გრადუსს 38-40 გრადუსამდე.

**ტეკილა შეიძლება იყოს ორი სახის — 100-პროცენტიანი აგავა და ტეკილა-მიკსტო (შერეული ტეკილა). მიკსტო აღნიშნავს, რომ ტეკილა 51%-ით შედგება აგავასგან და 49% — დამატებული ნივთიერებებისგან, როგორიცაა ლერწმის შაქარი და სიმინდის სიროფი. მექსიკელები არ სვამენ ტეკილა-მიქსტოს.**

მეორე გამოხდის შემდეგ სასმელის ერთ ნაწილს ასხამენ ბოთლებში, როგორც „თექუილა ბლანცო“, ხოლო მეორე ნაწილი კი ისხმება თეთრი მუხის კასრებში დასაძველებლად, რათა გახდეს უფრო ძვირადღირებული.

კასრი წინასწარ უნდა გამოიწვას შიგნიდან და დაიფაროს სპეციალური ნივთიერებით, რათა მასში ჩასხმული სითხე არ აორთქლდეს. თითო ასეთი კასრი 15 000 ამერიკული დოლარი ღირს. კასრის გამოყენება სულ ხუთჯერაა შესაძლებელი, რადგან გამოყენებულ კასრებს თავიდან წვავენ შემდგომი მოხმარებისთვის.

**მექსიკაში დღეისათვის ტეკილას ყველაზე** ▶




**მექსიკაში დღეისათვის ტეკილას ყველაზე პოპულარული ბრენდებია «Don Julion», «Herradura» და «1800 anos». ბუნებრივია, ყველა მათგანი 100%-იანი ლურჯი აგავას წვენია**

# NASA მარსზე გასაფრენად 13 წლის გოგონას ამზადებს

**პირველი ადამიანი, რომელიც წითელ პლანეტაზე დაადგამს ფეხს, შესაძლოა, ამერიკელი გოგონა გახდეს.** აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო ალისა კარსონს მარსზე გასაფრენად ამზადებს. 13 წლის სკოლის მოსწავლე, გარდა მშობლიური ინგლისურისა, კიდევ ოთხ ენას ფლობს: თურქულს, ესპანურს, ჩინურსა და ფრანგულს. გოგონას თქმით, მარსზე გაფრენა მისი ცხოვრების მთავარ მიზანს წარმოადგენს და ის არც კი უშვებს წარუმატებლობის ალბათობას. ალისამ უკვე შემოიარა NASA-ს სამივე ოფისი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია განლაგებული. მშობლების თქმით, ალისას ყველაფერი 20 წლით ადრე აქვს დაგეგმილი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**◀ პოპულარული ბრენდებია „Don Julion“, „Herradura“ და „1800 anos“. ბუნებრივია, ყველა მათგანი 100%-იანი ლურჯი აგავას წვენია.**

არსებობს ტეკილას რამდენიმე ძირითადი სახეობა:

**ბლანკო** — უფერო ტეკილა, რომელიც არ ექვემდებარება დაძველებას. მას, აგრეთვე, შეიძლება ეწოდებოდეს White ან Silver-ი;

**პლატა** — კასრებში 60-დღიანი დაძველებისა და ოდნავ შესამჩნევი მოყვითალო შეფერილობის;

**Mixto Gold** — თითქმის იგივეა, რაც ლანცა, ოღონდ ოდნავ შეფერიალი.

**Reposado** („დასვენებული“) — ტეკილა, რომელიც კასრებში 2-დან 11 თვემდე დაძველებისაა და ღებულობს ქარვისფერ შეფერილობას.

**Anejo** („ძველი“) — 1-3 წლამდე დაძველების. ამაზე მიგვითითებს მისი ქარვისფერი შეფერილობა.

**Extra anejo** — 3 და მეტი წლის დაძველებისაა. იგი ფრანგულ კონიაკს წააგავს.

**Tequila Gold an Tequila Oro** — ასე ეძახიან ტეკილას, რომელსაც კარამელის დამატების შედეგად ოქროსფერი შეფერილობა აქვს.

ჩვეულებრივ 50 მგ ტეკილას პატარა, ვიწრო სასმისში ასხავენ, გაშლილ ხელისგულზე იყრიან მარილს და იღებენ მწვანე ლიმნის ან ლაიმის პატარა ნაჭერს. შემდეგ მარილს იყრიან პირში, აყოლებენ ერთ ყლუპ ტეკილას და აყოლებენ ლიმნის ან ლაიმის პატარა ნაჭერს, მაგრამ მექსიკელები ამ მეთოდს არ აღიარებენ — ისინი არომატით სრულად ტკბობის მიზნით სასმელს ყოველგვარი დანამატების გარეშე გეახლებიან.

ტეკილა გამოიყენება, აგრეთვე, სხვადასხვა კოქტეილის დასამზადებლად, მათ შორის ყველაზე ცნობილი და ბარმენთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ აღიარებულია Tequila sunrise და Margarita.

დღეს ტეკილას წარმოება მხოლოდ მექსიკაშია დაშვებული, ისიც არა მექსიკის ტერიტორიაზე, არამედ მის მთავარ შტატ ხალისკოში და ასევე მის მიმდებარე 4 შტატში: გუანოხუატო, მიჩოაკანი, ტამაულიპასი და ნაიარიტი. ტეკილა მსოფლიოს 135 ქვეყანაში ექსპორტირებს, ხოლო ყველა სხვა ქვეყანა მექსიკის მიერ შერჩეულ დისტრიბუტორთა მიერ მარაგდება.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, თუ კარგ ტეკილას ხელის გულზე დაისხამ და შეიზელ, რამდენიმე წამში ალკოჰოლის სურნელი სრულიად ქრება და მხოლოდ აგავის სურნელი რჩება. თუ ტეკილას შავი წერტილები ახლავს, ეს მის ცუდ დისტილაციაზე მეტყველებს.

**ამ სასმელს არაერთი მითიც უკავშირდება. მაგალითად, ის, რომ ტეკილას კაქტუსებისგან ხდიან, სრული სიცრუეა.** აგავას კაქტუსებთან მიმსგავსება ვიზუალურად, შესაძლოა, არც ისე ძნელი იყოს, მაგრამ სინამდვილეში ის არ განეკუთვნება კაქტუსებს და, შესაბამისად, ტეკილასაც მათთან საერთო არაფერი აქვს.

ცხადია, სერიოზულად არავინ აღიქვამს თქმულებას, რომ აცტეკების ღმერთმა კეცალიკოატლმა თავისი უკვდავი სული აგავას წვენში ჩანერგა. მიუხედავად ამისა, ამ წვენის არასანქცირებული მოხმარებისთვის თავის დროზე მკვლელობებიც კი ხდებოდა. აცტეკების ვარაუდი, რომ მათ საყვარელ მხიარულ სასმელს სული ჰქონდა, მაშინ აბსურდულად სულაც არ გამოიყურებოდა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი თავად აგავასაც ქალღმერთთან აიგივებდნენ. ამ ყველაფრის გამო აცტეკები აგავას თაყვანს სცემდნენ და ეშინოდათ კიდეც მისი. მრავალშვილიანი და ოთხასმკერდიანი ქალღმერთის რძეს, ანუ აგავას წვენს მხოლოდ დიდი პატივისცემის დამსახურების შემდეგ თუ დაალევინებდნენ ვინმეს. ეს ბედნიერება, როგორც წესი, უხუცესებს ან ღვთაებისთვის მსხვერპლად შესაწირებს თუ ხვდებოდათ ხოლმე წილად, ისიც კალენდარული წლის უკანასკნელ ხუთ დღეში — ეგრეთ წოდებულ მიცვალებულთა დღეებში. ამ წესების დამრღვევებს აცტეკები სასტიკად უსწორდებოდნენ ცემით, საზოგადოებაში სტსტუსის დაკარგვით, ხანდახან კი — მკვლელობითაც. ახლანდელი მექსიკელები აგავას წვენს სულიერად აღარ მიიჩნევენ, მაგრამ მისდამი დიდი პატივისცემა დღემდე შემორჩათ.

**ზოგს სჯერა საიდანღაც გაჩენილი ცრურწმენისა, რომ ტეკილას ნამდვილობის მთავარი მტკიცებულება ბოთლში მოცურავე მატლები არიან. სინამდვილეში სუფთა ტეკილაში არანაირი მწერები არ ცურავენ და არ ბინადრობენ, რადგან სასმელის სისუფთავეს მთელი სიმკაცრით აკონტროლებს მექსიკის ტეკილას მარეგულირებელი საბჭო. ეს ავადსახსენებელი მატლი სხვა არაფერია, თუ არა სარეკლამო ხრიკი.**

სინამდვილეში საუბარია აგავას მატლზე, რომელიც, როგორც სახელიდანაც ჩანს, ამ მცენარეში ბუდობს. მცენარე, რომელზეც ამ მატლს აღმოაჩენენ, პარაზიტებით დასნებოვნებულად ითვლება და ტეკილას დამზადებისას მისი გამოყენება სასმელის დაბალხარისხოვნებას განაპირობებს. ამიტომ სპეციალური ორგანიზაცია უმკაცრესად აკონტროლებს რეცეპტურის დაცვას, რაც ტეკილას ბოთლებში რაიმე მწერებისა და მატლების არსებობას გამორიცხავს.

არსებობს მესკალის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეობა, რომლის ბოთლშიც მართლაც დებენ ზემოხსენებულ აგავას მატლს. ეს სარეკლამო სვლა იყო, რადგან 40-იან წლებში ევროპაში ტეკილას გაყიდვებმა საგრძნობლად იკლო. მაშინ მწარმოებლებმა მოიგონეს მატლთან დაკავშირებული ისტორია. ეს მატლი თანაბრად უნდა გაეყო ყველას, ვინც ბოთლიდან დალევას აპირებდა, და ტეკილას დაგემოვნებამდე უნდა შეეჭამა, რათა ზიარებოდა აგავასა და მისი წვენის საიდუმლოებას, პარალელურად კი ხასიათის სიმტკიცეც გამოევლინა. რეკლამამ გაამართლა — ეს იმდენად ეგზოტიკური პროდუქტი იყო, რომ გაყიდვები უმალ გაიზარდა.

ტეკილას ბოთლში მატლს მწარმოებლები არ დებენ. თუ მესკალში მატლია, მაშინ ბოთლის ეტიკეტს აუცილებლად უნდა ეწეროს „Con gusano“. თუ ამგვარი წარწერა ეტიკეტზე არ იკითხება, სასმელი არ არის ორიგინალი.

და ბოლოს, **ამბობენ, რომ ტეკილას შემდეგ ნაბახუსევი არ შეგაწუხებთ, მაგრამ უმჯობესია, არ შეეცადოთ ამ მტკიცებულების გამოცდას, თორემ შესაძლოა, მწარედ ინანოთ. საქმე ისაა, რომ ნაბახუსევს იწვევს ორგანიზმის მოწამვლა ალკოჰოლში გაჩენილი ზეთებით. ტეკილა რაკი ორგანული სპირტისგან მზადდება, ამგვარი ზეთები მასში ნაკლებია, თუმცა — ბევრად უფრო ვერაგი, ვიდრე ჩვეულებრივ არაყში.** საქმე ისაა, რომ აგავას წვენით თრობას, ფაქტობრივად, ვერ გრძნობს ადამიანი, მაგრამ ეს მატყუარა ეფექტია. ტეკილას გადამეტებულად მოხმარების შემდეგ ნაბახუსევი გარანტირებულია, თანაც საკმაოდ მტანჯველ ფორმებში.





# ანჯელინა ჯოლის საპატიო ქალბატონის წოდება მიენიჭა

**დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ ჰოლივუდის მსახიობ ანჯელინა ჯოლის საპატიო ქალბატონის წოდება მიანიჭა. ტიტული ანჯელინას მისი ჰუმანიტარული საქმინობის გამო გადასცეს. გარდა ტიტულისა, ჯოლის წმინდა მიხეილისა და გიორგის ჯვრებიც გადაეცა. დაჯილდოების ცერემონია ბუკინგჰემის სასახლეში გაიმართა.**

იმის გამო, რომ ანჯელინა ჯოლი არ არის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, ვერ შეძლებს ამ ტიტულის გამოყენებას, თუმცა, ჯილდო, რა თქმა უნდა, საპატიოა.

# თირკმელი ცოდვების სანაცვლოდ

**ყოფილმა პატიმარმა 32 წლის უესლი ჯოიმ და ორი შვილის დედამ სალი-ენ გრეინდერმა ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ, სანამ სალიმ ადგილობრივ გაზეთს დახმარების თხოვნით არ მიმართა, ეპოვათ დონორი თირკმლის გადასანერგად, რომლის გარეშეც ის ვერ იცოცხლებდა. თხოვნას 10 ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის ყოფილი პატიმარი უესლი ჯოი.**



ამჟამად ქალბატონი გრეინდერი რეაბილიტაციის კურსს გადის და აღნიშნავს, რომ ძალიან ბედნიერია, რადგან აქვს შანსი საკუთარი შვილების გაზრდის პროცესის მონაწილე იყოს. „არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო მადლიერება. გაოცებული ვიყავი, როდესაც სრულიად უცნობი ადამიანი დამთანხმდა, ჩემი დონორი ყოფილიყო. მეგონა, რომ ასეთი რამე მხოლოდ კინოში ხდება“.

უესლის თქმით, მან ეს საქციელი ცოდვების გამოსყიდვის მიზნით ჩაიდინა.

# ჩინეთში უცნაური არსება გამოჩნდა

**უჩვეულო გარეგნობის ცხოველის ქუჩაში გამოჩენამ ჩინეთის ხენანის პროვინციის მცხოვრებთ თავზარი დასცა. ტერიტორიაზე სამეცნიერო კვლევის ცენტრია და ადგილობრივებმა იფიქრეს, რომ ეს არსება ერთ-ერთი ცუდად ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგი იყო და უახლოესი ლაბორატორიიდან გამოიქცა.** შეშინებულმა მოსახლეობამ სასწრაფოდ პოლიცია გამოიძახა. აღმოჩნდა, რომ ეს უცნაური გარეგნობის ცხოველი ჯიშიანი ძაღლია და ძალიან ძვირადღირებულიც.



უცნაური ჯიშის ცხოველს აქვს ქოჩორი, ვარდისფერი კანი და სხეულზე შავი ლაქები. „ასეთი საშინელება არასდროს მინახავს! ქუჩაში რომ დავინახე, ვიფიქრე, ექსპერიმენტის ნაწილი იყო. ღორს მივამსგავსე. განაცხადეს, რომ ეს ძაღლია და, თუ მართლა ასეა, მაშინ ის მსოფლიოში ყველაზე უშნო ძაღლის ტიტულს იმსახურებს“, — ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მსოფლიოს რუკა დახატა

ერთ-ერთ იაპონელ მასწავლებელს დაავიწყდა, კლასში მსოფლიოს რუკა წაეღო, შენიშვნის მიღებას მოერიდა და გადაწყვიტა, ბავშვებისთვის ცარცით დახატული მსოფლიო რუკით ესწავლებინა. მასწავლებელმა დაფაზე მთელი მსოფლიო რუკა ზეპირად დახატა.

# აუხსნელი გამოცანები



## ყინულის ქალი

**ერთ დილით ლენგბიში კაცმა თავისი 19 წლის მეზობელი — ჯინ ჰილარდი გაყინული იპოვა. გოგონა თოვლში იწვა. იგი ცდილობდა, მეზობლამდე მისულიყო, რათა ეთხოვა დახმარება, მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფაში მოჰყვა.** მაშინვე გააქანეს ადგილობრივ ჰოსპიტალში, სადაც მისმა მდგომარეობამ ექიმები გააოგნა, გოგონას სხეული თითქოს ყინულისგან იყო გაკეთებული — მისი არც ერთი კიდური არ მოძრაობდა.

ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ სიტუაცია კრიტიკული რჩებოდა. ჯინი გონს რომ მოსულიყო, მას ტვინის სერიოზული დაზიანება ექნებოდა და საჭირო გახდებოდა ფეხების ამპუტირება. ოჯახი იმედოვნებდა, რომ მოხდებოდა სასწაული. ორი საათის შემდეგ პაციენტს კრუნჩხვები დაეწყო და გონს მოვიდა. ექიმების გასაოცრად, ჯინი თავს კარგად გრძნობდა როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიკურად. ყინვა ნელ-ნელა ქრებოდა მისი ფეხებიდან. იგი გამოწერეს 49 დღის შემდეგ ყოველგვარი ამპუტაციის გარეშე.




## კეროლ ა. დირინგი

**ხომალდ „მარია ჩელესტეს“ მისტიკური გაუჩინარებიდან 50 წლის შემდეგ, 1921 წლის 31 იანვარს, კიდევ ერთი გაუჩინარებული ხომალდი „კეროლ ა. დირინგი“ ჩრდილოეთ კაროლინის სანაპიროზე აღმოაჩინეს.** როდესაც სამაშველო გემები მივიდნენ და აღმოაჩინეს, რომ ბორტზე არავინ იყო, მაგრამ შეამჩნიეს, რომ საკვები გამზადებული იყო მომდევნო დღისთვის. სხვა ვერაფერი იპოვეს, რაც მიანიშნებდა ეკიპაჟის არსებობაზე. არანაირი პირადი ნივთები, არც ჟურნალი, არც რაიმე სიცოცხლის კვალი — ზუსტად ისე, როგორც „მარია ჩელესტეს“ შემთხვევაში. წარმოიშვა თეორიები პარანორმალური მოვლენების შესახებ, რადგან ხომალდი ბერმუდის სამკუთხედის რაიონში იმყოფებოდა. სხვებმა ჩათვალეს, რომ ეს მეკობრეების ნამოქმედარი იყო.



## რკინის კოლონა დელიში

**რკინა არის ყველა ლითონის მეფე, გამოიყენება პრაქტიკულად ყველაფერში — სახლის ფუნდამენტიდან დაწყებული, ველოსიპედით დამთავრებული.** სამწუხაროდ, რკინა ადრე თუ გვიან ნელ-ნელა ჟანგით იფარება, მაგრამ ეს არ ეხება ამ ფენომენალურ ნაგებობას — რკინის კოლონას დელიში, რომლის სიმაღლე შეადგენს 7 მეტრს და 6 ტონას იწონის. როგორ შეძლო მან 1600 წლის განმავლობაში კოროზიის თავიდან აცილება და გაეძლო ესოდენ დიდხანს? მეცნიერებამ ამაზე პასუხი იპოვა, მაგრამ როგორ მოახერხეს ეს უძველესმა მჭედლებმა 1600 წლის წინათ, ჯერაც აკვირვებთ არქეოლოგებს.



## გაქრობადი ტბა

**2007 წლის მაისში პატაგონიაში, ჩილეში, ტბა გაქრა და დატოვა 30-მეტრიანი ორმო, გაყინული ბორცვები და მშრალი მიწა.** ეს არ იყო პატარა ტბა, მისი სიგრძე 5 მილს შეადგენდა. 2007 წლის მარტში გეოლოგებმა ბოლოს დაათვალიერეს ტბა და უცნაური ვერაფერი ნახეს, მაგრამ რა მოხდა 2 თვის განმავლობაში ისეთი, რამაც არამხოლოდ ტბა გააქრო, არამედ მდინარე, რომელიც ტბიდან მოედინებოდა, პატარ-პატარა გუბურებად აქცია? ეს შეიძლება მოხდეს მიწისძვრის გამო, მაგრამ არანაირი ძვრები არ დაფიქსირებულა. პასუხს ვერც ამ გამოცანაზე მიაგნეს.



## ცხოველები ქვებში

**არსებობს რამდენიმე დოკუმენტური შემთხვევა, როდესაც ბაყაყებს, გომბეშოებსა და სხვა პატარა ცხოველებს ქვებში პოულობდნენ.** უცნაურია, რომ ადამიანები მათ პოულობდნენ არამხოლოდ ბუნებრივ ქვებში ან ხეებში, არამედ ხელოვნურებშიც. 1976 წელს ტეხასში მუშებმა ბეტონში იპოვეს ცოცხალი მწვანე კუ, ის იყო პატარა საჰაერო ტომარაში, რომელსაც ამ პატარა რეპტილიის ფორმა ჰქონდა. თუკი ის რამენაირად მოხვდა იქ, როდესაც ბეტონს ასხამდნენ, მაშინ როგორ შეძლო ასე დიდხანს სიცოცხლე? ბეტონში ვერ აღმოაჩინეს ღრიჭო, რომლითაც კუ შიგ შეძვრებოდა.



## ბელმესის სახეები

**ბელმესის სახეები პერეირების ოჯახში სახლის კედლებზე პერიოდულად ჩნდებიან და, უკვე 20 წელია, სხვადასხვა გამომეტყველებით იყურებიან.** სახეები კედელზე მხოლოდ დროებით ჩნდებიან და შემდეგ ქრებიან. ჩატარდა კვლევები იმის გასაგებად, თუ რა იწვევს ასეთ ეფექტს, ერთ-ერთი ამგვარი კვლევისას სახლის ქვეშ მიწა ამოთხარეს და ადამიანის ცხედარი იპოვეს, მაგრამ ამის შემდეგ სახეები კვლავ გამოისახებიან კედლებზე. მეცნიერებმა ამ მოვლენას ახსნა ვერ მოუძებნეს.



## ჰათჩისონის ეფექტი

**ჰათჩისონის ეფექტი მიეკუთვნება იმ ამაზრზენი მოვლენების სერიას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გამომგონებელ ჯონ ჰათჩისონის ცდებისას.** ეს ადამიანი შეეცადა, ხელახლა ჩაეტარებინა ნიკოლა ტესლას ექსპერიმენტები. ზოგიერთი მათგანი მოიცავდა ლევიტაციას, სხვადასხვა ტექსტურის, მაგალითად ხისა და ლითონის შერევას, წვრილმანი ნივთების გაქრობას და ა.შ. ყველაზე უცნაური არის ის, რომ ექსპერიმენტის შემდეგ ჰათჩისონი იმავე ექსპერიმენტს იმავე შედეგით ველარ ატარებდა. ეს ექსპერიმენტი იმდენად პოპულარული გახდა, რომ გამოიწვია სამხედროებისა და ნასას ინტერესი, მაგრამ წარმატებას ვერც მათ მიაღწიეს.



## დონი დეკერი

**მას წვიმის ბიჭი უწოდეს. 1983 წელს დონი თავისი მეგობრის სახლში იყო, როდესაც მოულოდნელად ტრანსში შევიდა.** ჭერიდან მაშინვე წამოვიდა წყალი და ოთახი სიბნელემ მოიცვა. მისმა მეგობრებმა დაუძახეს დიასახლისს, რომელიც შეწუხებული იყო სანახაობით. ერთხელაც დონი მეგობართან ერთად რესტორანში იჯდა და იქაც წვიმა წამოვიდა პირდაპირ მის თავზე. რესტორნის უფროსმა მაშინვე გამოაგდო დონი ქუჩაში. კანონის დარღვევის შემდეგ დონი ჩასვეს ციხეში, სადაც მან ქაოსი გამოიწვია, რადგან წვიმა პირდაპი მისი კამერის თავზე წამოვიდა. კამერაში მყოფთა ჩივილის შემდეგ დონიმ ახსნა, რომ შეუძლია წვიმის გამოძახება და მაშინვე მოახერხა ამის დემონსტრირება. ის ციხიდან გამოუშვეს, მან იშოვა სამსახური ადგილობრივ რესტორანში მზარეულად. დღეს არავინ იცის დონის ადგილსამყოფელი.



## 32 ტყუპი

**ჰენანის პროვინციის ერთ-ერთ სკოლაში სასწავლო წელი 4000 მოსწავლისთვის დაიწყო, მათგან 32 ტყუპია — 11 წყვილი გოგონასა და ბიჭისგან შედგება, ხოლო დანარჩენებში ერთი და იმავე სქესის ბავშვები არიან.** ბოლო დროის განმავლობაში ჩინეთში ტყუპების რაოდენობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ბლანტი წვიმა

**1994 წლის 7 აგვისტოს ვაშინგტონში მდებარე ქალაქ ოუკვილის მოსახლეობას სიურპრიზი ელოდა. ჩვეულებრივი წვიმის ნაცვლად, ხალხი ხედავადა ჟელეს, რომელიც ციდან ციოდა.** როდესაც ამ წვიმამ ჩაიარა, თითქმის ყველას გაუჩნდა გრიპის მსგავსი სიმპტომები, რომლებიც გრძელდებოდა 7 კვირიდან 3 თვემდე. ციდან ჩამოყრილ ნივთიერებასთან შეხებით დაავადებულმა ერთ-ერთმა ადამიანმა „წვიმის" ნუმუშები გამოსაკვლევად გაგზავნა.

შედეგებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო — წვეთები შეიცავდა ადამიანის სისხლის თეთრ უჯრედებს. შემდეგ ნივთიერება მიიტანეს ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც გააგრძელეს კვლევა. აღმოაჩინეს, რომ ჟელატინი შეიცავს ორი სახის ბაქტერიას, რომელთაგან ერთ-ერთი ასევე აღმოჩნდა ადამიანთა საჭმლის მომნელებელ სისტემაში, მაგრამ ვერავინ იცნო ეს ნივთიერება და ვერც ვერავინ ახსნა, როგორაა ის დაკავშირებული უცნაურ დაავადებასთან.



## შავი ვერტმფრენი

1994 წლის 7 მაისს შავი ვერტმფრენი 45 წუთი უთვალთვალებდა მოზარდს. შეშინებულმა ბავშვმა ახსნა, რომ ვერტმფრენიდან გადმოვიდნენ ადამიანები და მიუშვირეს იარაღი. ბავშვმა არ იცის, რატომ უთვალთვალებდნენ და შემდეგ რატომ გაუშვეს. ერთი კვირის შემდეგ მანქანით მიმავალ ადამიანებსაც იგივე დაემართათ — მათ დაინახეს შავ უნიფორმებში გამოწყობილი და შეიარაღებული კაცები, მაგრამ ისინიც გაუშვეს. შავი ვერტმფრენები ფიგურირებენ UFO-ს ანგარიშებში და ზოგიერთისთვის ამას მარტივი ახსნა აქვს, მაგრამ ბევრისთვის ეს ჯერაც ამოუხსნელი მოვლენაა.

## მკვლელობა ყავის ჭიქით



**იაპონელმა დიასახლისმა ემიკო ხიროსემ ქმარი — იასუო ხიროსე ყავის ჭიქით მოკლა, რადგან მეუღლე მას იმ ქალთან ღალატობდა, რომელიც ემიკოს სძულდა.**

61 წლის ემიკომ მინიმუმ 10 ჯერ ჩაარტყა 70 წლის ქმარს ყავის ჭიქა თავში. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

მკვლელობისთვის დაკავებულმა ემიკო ხიროსემ დანაშაული აღიარა.

# პალკოჰოლი — მშრალი ალკოჰოლი



**ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიგონეს ახალი პროდუქტი, რომელსაც ეწოდება პალკოჰოლი. ეს არის ალკოჰოლური ფხვნილი და ის შეიძლება დაამატოთ სხვადასხვა სასმელსა და საკვებში.**

იდეა ეკუთვნის მარკ ფილიპსს. ერთ დღეს მას მობეზრდა მძიმე ბოთლების ტარება და სწრაფი ალკოჰოლის შექმნის იდეა მოუვიდა: პაკეტიდან ფხვნილი გადმოყარა, წყალში გახსნა და სასმელიც მზადაა.

პალკოჰოლის შექმნამდე მარკი დიდხანს ეძებდა რაღაც მსგავსს, მაგრამ ძიებამ შედეგი არ გამოიღო, ამიტომ გადაწყვიტა, ის თვითონვე შეექმნა. ამას დასჭირდა წლები და მეცნიერებთან თანამშრომლობა და, როგორც იქნა, შედეგიც მიიღო. ეს საკმაოდ მოსახერხებელია — **ერთი პაკეტი იწონის 30 გრამს და ეტევა ჯიბეში. ახლა ალკოჰოლურ ფხვნილს კერძო კომპანია LIPSMARK უშვებს.**

პალკოჰოლს მოცემულ მომენტში აქვს ექვსი გემო: ოთხი — კოქტეილის და ორი — სტანდარტული. პალკოჰოლის სტანდარტული გემო — „V" ვერსია, უმაღლესი ასორტის არყისგან მზადდება, მას ოთხჯერ უტარებენ დისტილირებას, ხოლო ვერსია „R" პირველი ასორტის პუერტორიკოული რომისგან კეთდება. კოქტეილურ ვერსიებს აქვს 4 გემო: ლიმონის, მოჰიტოს, კოსმოპოლიტენისა და პოუდერიტის.

ჯერჯერობით პალკოჰოლი არ იყიდება. პროდუქციამ სულ ცოტა ხნის წინ გაიარა სერთიფიკაციის ყველა დონე და მიიღო ამერიკის ტერიტორიაზე გაყიდვის უფლება. მწარმოებელი კომპანიისთვის ეს მოულოდნელობა აღმოჩნდა. ისინი არ ელოდნენ, რომ პალკოჰოლი გაიყიდებოდა. დღეს ის შეგიძლიათ შეიძინოთ ინტერნეტით და ამის უფლება აქვთ 18 წელს მიღწეულ ადამიანებს.

# უშვილო ქალმა სამი ტყუპი გააჩინა

**24 წლის ინგლისელმა ანაბელ უილიამსმა სამი ტყუპისცალი გააჩინა და არა მხოლოდ ქმარი და ახლობლები გააოცა, არამედ ექიმებიც. საქმე ის არის, რომ მისი წინა ორსულობა ცუდად დამთავრდა: დაორსულებიდან 4 თვეში მუცელი მოეშალა. მედიკოსებმა ქალს იშვიათი თანდაყოლილი დეფექტი აღმოუჩინეს, რომელმაც ასეთი ტრაგიკული დასასრული გამოიწვია და მომავალი სრულყოფილი ორსულობის გარანტიაც ვერ მისცეს.**



სანამ ექიმები მსჯელობდნენ, თერაპიის რომელი მეთოდები აერჩიათ პაციენტისთვის, ანაბელმა იგრძნო, რომ ისევ ორსულად იყო. გადაწყვიტეს, დრო მიეცათ ნაყოფისთვის და რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა მუცელში სამი გულისცემა გაიგონეს. სამი ტყუპის გაჩენა წინასწარ ჰორმონალური პრეპარატების მიღების გარეშე საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. სტატისტიკურად ასეთი რამ შეიძლება ერთხელ მოხდეს ასი მილიონი ორსულობიდან.

ბიჭები — ჯეკსი, ჯესი-ჯეიმსი და ჯოი ორსულობის 28-ე კვირას გაჩნდნენ საკეისრო კვეთით. თითოეული ერთ კილოგრამზე ოდნავ მეტს იწონიდა. დაბადებისთანავე სპეციალურ ინკუბატორში მოათავსეს, თუმცა 8-9 კვირის შემდეგ პატარები უკვე კარგად წამოიჩიტნენ და შინაც გაუშვეს.

მოულოდნელად მრავალშვილიან მშობლებად გარდასახული ანაბელი და ჯეიმსი აღიარებენ, რომ გვარიანად იღლებიან — სამი ბიჭის მოვლა არც ისე ადვილია. ძვირადღირებული მანქანა შვიდადგილიანი კომფორტული მანქანით შეცვალეს — ტყუპებს მეტი ადგილი სჭირდებათ, თუმცა, ამ იძულებითი ცვლილებების მიუხედავად, მშობლები აღიარებენ, რომ ძალიან ბედნიერნი არიან და ასეთ დიდ საჩუქარს ღმერთისგან ნამდვილად არ ელოდნენ.

# კალიფორნიაში ერთჯერადი ცელოფნები აიკრძალა



**კალიფორნიის გუბერნატორმა ჯერი ბრაუნმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ერთჯერადი პლასტიკური პაკეტების გამოყენებას კრძალავს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კანონი მთელ შტატზე პირველად გავრცელდა.**

ახალი კანონმდებლობის თანახმად, მომავალი წლის ზაფხულიდან მსგავსი პაკეტები აიკრძალება ყველა დიდ სუპერმარკეტში, ხოლო 2016 წლიდან — აფთიაქებსა და მინიმარკეტებში.

**„ჩვენ პირველები ვართ, ვინც პოლიეთილენის პაკეტების მოხმარება აკრძალა, მაგრამ არ ვიქნებით უკანასკნელნი"**, — აღნიშნა გუბერნატორმა.

პაკეტების მწარმოებელი ნაციონალური კოალიცია ირწმუნება, რომ შეძლებს ამ კანონის გაუქმებას, რომელიც ძალაში 2015 წლიდან შევა. კანონი ითვალისწინებს 2 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტების გამოყოფას კომპანიებისთვის, რომლებიც პარკებს აწარმოებენ, რათა მათ შეძლონ ისეთი პროდუქციის წარმოება, რომლის მრავალჯერადი მოხმარებაც იქნება შესაძლებელი.

დღემდე მსგავსი კანონი კალიფორნიის დიდ ქალაქებში: სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესსა და სან-ხოსეში მოქმედებდა.



# დოკუმენტები კლინტონების «ბნელ საქმეებზე»

**აშშ-ის ნაციონალურმა არქივმა ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში მომზადებული დოკუმენტებისა და მიმოწერის 10 ათასი გვერდი გაასაჯაროა.**

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კლინტონის მმართველობის 8 წელიწადში უამრავი სკანდალი მოხდა. დოკუმენტები, რომლებიც 10 ოქტომბერს გამოაქვეყნა აშშ-ის ნაციონალურმა არქივმა, დაწვრილებით აღწერს, თეთრ სახლში დაწყებულ აურზაურს პრეზიდენტ კლინტონსა და თეთრი სახლის სტაჟიორ მონიკა ლევინსკის სექსუალური სკანდალის შემდეგ.

გარდა ამისა, დოკუმენტებში შესულია კლინტონის ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი „ბნელი საქმეებიც". მაგალითად, დოკუმენტები გამოძიების შესახებ, რომელიც სასამართლო ორგანოებმა ბილ და ჰილარი კლინტონების ქონებრივი მდგომარეობის გამო დაიწყეს (1994 წელს ჰილარი კლინტონი მთავარი ფიგურანტი იყო კომპანია Whitewater-ის საქმეში. ეს კომპანია 1970-80-იან წლებში კლინტონების მონაწილეობით უამრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს აწარმოებდა არკანზასის შტატში). ამ დოკუმენტებში არის თეთრი სახლის იურიდიული ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილის, ადვოკატ ვინს ფოსტერის სიკვდილის გამოძიების საქმეც. ფოსტერი, რომელსაც კლიენტებთან მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა, თავში ცეცხლსროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიით დაიღუპა.

გამოძიების ვერსიით, ეს თვითმკვლელობა იყო (სხვათა შორის, სია იმ ადამიანებისა, რომლებიც კლინტონთან მუშაობისას ნაადრევად ან უცნაურად დაიღუპნენ, 50 გვარს ითვლის); დოკუმენტებში არის, აგრეთვე, განკარგულებები შეწყალებაზე, რომლებიც კლინტონმა მოულოდნელად გამოსცა პრეზიდენტის პოსტზე მუშაობის ბოლო საათებში.

## ნიკოლოზ მჟავანაძე:
# «ნაციონალური მოძრაობა» 1991 წლის 2 სექტემბრის გამეორებას გეგმავს



**„ნაციონალურ მოძრაობასთან" დაახლოებული სატელიტი ორგანიზაციები 1991 წლის 2 სექტემბრის მსგავსი პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ 21 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.**

„მათ მიერ ორგანიზებულ აქციაზე განახორციელებენ გასროლას. ეს დაბრალდება პოლიციას, ყოველივე შეიფუთება, როგორც ხელისუფლების მიერ მშვიდობიან მომიტინგეებზე იარაღის გამოყენება და პრემიერი ღარიბაშვილი დადანაშაულებული იქნება ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაში.

1991 წლის 2 სექტემბერს „კინოს სახლთან" მოხდა გასროლა, რომლის შედეგადაც დაიჭრა ერთი ადამიანი და ხელისუფლება დადანაშაულებულ იქნა მშვიდობიან დემონსტრანტებზე იარაღის აღმართვაში, ხოლო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დიქტატორად გამოაცხადეს. სწორედ 2 სექტემბერმა განაპირობა ევროპაში ეროვნული ხელისუფლების იმიჯის შერყევა, შემდგომში კი — ხელისუფლების დამხობა. „ნაციონალურ მოძრაობასაც" სწორედ ამგვარი სცენარი აქვს მომზადებული და ისინი ამ მეთოდებით აპირებენ ხელისუფლების ცვლილებას", — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ, რომელმაც მოსალოდნელი სისხლისღვრისა და პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად შს სამინისტროს შესაბამისი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა.

## ირაკლი ღარიბაშვილი:
# მოვუწოდებ შსს-ს და პროკურატურას, მაქსიმალურად გააკონტროლონ ამ ადამიანების პროვოკაციული ქმედებები



**პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მის სახლთან მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა და მომხდარი დაგმო. ღარიბაშვილის განცხადებით, სახელმწიფო მსგავს პროვოკაციებსა და დესტრუქციულ ქმედებებს არ დაუშვებს.**

**„სადაც უნდა იყოს ის, დედაქალაქში, სოფელში თუ რაიონში, არ დავუშვებთ, რომ მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა, რომლებიც გამომწვევად, დესტრუქციულად და პროვოკაციულად იქცევიან, ქვეყანაში არეულობა შექმნან. მინდა, მოსახლეობას კიდევ ერთხელ განვუმარტო, რომ თითოეული პოლიციელი 24 საათის განმავლობაში მძიმე შრომას ეწევა და, როდესაც პროვოკატორი პოლიციელზე ხელს აღმართავს, ეს დასჯადი ქმედებაა. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ შსს-სა და პროკურატურას, მაქსიმალურად გააკონტროლონ ამ ადამიანების პროვოკაციული ქმედებები, ვინც არ უნდა იყოს ის — „ქართული ოცნების" თუ სხვა პარტიის წარმომადგენელი. ეს არის სახელმწიფო, მოქმედებს ძალიან მკაცრი კანონები და მას ყველა უნდა დაემორჩილოს",** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# პრემიერის სახლთან მომხდარი ინციდენტის დროს შვიდი პირი დააკავეს



**შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 19 ოქტომბერს, 19:00 საათზე თბილისში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის საცხოვრებელ სახლთან ბაჩანა ახალაიას მხარდამჭერების და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის" ორგანიზებით აქცია გაიმართა. სამინისტროს განცხადებით, აქცია საქართველოს კანონის „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" მე-5 მუხლის მოთხოვნათა (ტრანსპორტის სავალი გზის შეფერხების დაუშვებლობა) უხეში დარღვევით მიმდინარეობდა.**

**„ადგილზე მყოფმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აქციის მონაწილეებს მოუწოდეს მათ მიერ არაერთხელ გადაკეტილი სავალი გზის გახსნისა და კანონის დაცვისკენ. პოლიციელების კანონიერ მოწოდებას აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ, გახდნენ აგრესიულნი და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ როგორც პოლიციელებს, ასევე გამვლელ პირებს. წვრილმანი ხულიგნობის ფაქტის აღკვეთის დროს აქციის მონაწილეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით დაკავებული იქნა ხუთი მონაწილე",** — განაცხადეს შსს-ს წარმომადგენლებმა.

მათივე ინფორმაციით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქციის მონაწილეთა შორის მყოფმა დაკავებულმა ტელეარხ „ტაბულას" ჟურნალისტმა ალექსანდრე გიორგაძემ (რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს) საპატრულო პოლიციის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით ამოაცალა რადიოგადამცემი.

„რაც შეეხება ადვოკატ რომეო საჯაიას, იგი დაკავებული იქნა ამავე კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა). გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა ჩადენილი ძალადობით) დაკავებულია აქციის ერთ-ერთი მონაწილე ლევან კვარაცხელია", — განაცხადეს შსს-ს წარმომადგენლებმა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვევენების გარეშე.

**ტელ: 599-913-765; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894